

652  
1976/3



1 9 7 6 6 V

ପ୍ରମାଣିତ, ୧୯୭୫

୧. ଏବେନିଆର୍ — ଲ୍ୟେସ୍‌ବି	3
୨. ସାରଜାନୋପ୍ପା — କିମି ଇଏଟୁ- ଲୀଟିଂ ଫରନ୍‌ଗ୍ରେଡ୍	12
୩. କେବାପ୍ପା — ପ୍ରକାଶିତ ପାଶ୍ଚାତ୍ୟକାଳୀନ ମନୋରକ୍ଷଣବା	35
୪. ଏବେନିବ୍ରାନ୍ଟା — ଲ୍ୟେସ୍‌ବି, ତାର୍କିମିନ୍	
୫. ସାଲୁକ୍‌ଫାସି	39

## ପାଶ୍ଚାତ୍ୟକାଳୀନ ଉତ୍ସମ୍ବନ୍ଧିତ ଇତିହାସିକ ପାଦି ପାଦିତାବା

୬. ପ୍ରେରଣାବାହିକ୍ — ଏଲ. ଉତ୍ସମ୍ବନ୍ଧି- ପା ଏବା ମହାନ୍ଦିଶ୍ଵରପୁରି ମହା- ରାଜବା ପାତ୍ରମାତ୍ର	47
--	----

13498

## ପାଦିତାବା

୭. ହାତିଲାଦିବାଲୀଙ୍କାଳି — ଏତିବାରି- ଦୀ ଏବା ପାକିସଟାନାରିକ ଶକତିବାରି- ଭାବିତାକିମ୍ବାରିଶ୍ଵରପୁରିର ପାଦିତ- କ୍ଷେତ୍ରବାଲି	54
୮. ଅଶ୍ଵବାହିକ୍ — ଲାଭିରାତ୍ରିଶ୍ଵରପୁରି ମହାରାତ୍ରିଶ୍ଵରପୁରି ପାକିସଟାନାରିକ ପାଦିତାବାଲି	62
୯. ମେଲାଦିବାଲୀଙ୍କାଳି — ଏତିବାରି ଦୀ- ର୍ଯ୍ୟାନ୍-ତତ୍ତ୍ଵବାଦୀ ପାକିସଟାନାରିକ ଦୀ- ଶ୍ଵରପୁରି ଏବାରାଶ୍ଵରପୁରି ପାଦିତାବାଲି	75
୧୦. ହିତାରାମା — ପାକିସଟାନାରିକ ଏବା ମହାରାତ୍ରିଶ୍ଵରପୁରିର ପାଦିତାବାଲି ଦୀର୍ଘ ପାଦିତାବାଲି	80

## ପାଦିତାବାଲି ପାଦିତାବା

୧୧. ପାଦିତାବାଲି — ସାମାଜିକାନ୍ଦିର- ଦୀ ପାଦିତାବାଲି	91
--	----

ଲାଭିରାତ୍ରିଶ୍ଵରପୁରି-ମହାରାତ୍ରିଶ୍ଵରପୁରି  
ପାକିସଟାନାରିକ ପାଦିତାବାଲି  
ଶ୍ଵରପୁରି

ପାଦିତାବାଲି ପାଦିତାବା  
ମହାରାତ୍ରିଶ୍ଵରପୁରି ପାଦିତାବାଲି  
ଏବା ପାକିସଟାନାରିକ ପାଦିତାବାଲି  
ପାଦିତାବାଲି

ପାଦିତାବାଲି — 1976

ପାଦିତାବାଲି — ଏବାରାଶ୍ଵରପୁରି

2021

### რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ. მდიგარი),  
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.  
ტელეფონი — 3-33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.12.76, საბეჭდი თაბაზი 6, საგამომცემლო 5,  
შეკვეთის № 5289, ემ 01365, ქაღალდის ზომა 60×901/16. ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა  
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აქარის პოლიგრაფიული  
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის 20.

## ବାଣୋଦାରଙ୍ଗାଳ ବିଷୟରେ କଥା

\* \* \*

ମନୁଷ୍ୟରେ ନାହିଁ ଦେଲୁରେ ବୁଦ୍ଧି.  
 ତିରିଲିଲିଲି ସ୍ଵର୍ଗରେ ଦାମଦଗାରା ପାର.  
 ମେ ଲେଖ ରାମେ ଅଜ୍ଞାନରେ ମନୁଷ୍ୟର.  
 ଶେନ ମହାନ୍ତରି ମନୁଷ୍ୟ, ରାତ୍ରି ଅଠି.  
 ଡା ରାମ ଫୁଲକୁପୁରେ ଦାରାତିରେ ସ୍ଵରନ୍ଦେଶ  
 ହେବନ୍ତି ତାତାରା ରଦ୍ଦିଲକୁପୁରେ ସନ୍ତୁଷ୍ଟିରେ,  
 ଶ୍ଵେତ-ଶ୍ଵେତ ଶ୍ରୀରାମକୁନ୍ତରେ ହେବନ୍ତି ଦୁର୍ବଳିରେ  
 ମନୋମାନିରେ ପ୍ରେତି ନାପାରି.  
 ମନୋମାନାତ୍ରରେ ବିଲାଦ ଶେନି କଥିବୁ ମୁନିଜନିର,  
 ଏବଂ ରା ପୁଣ୍ୟ ମନୋଦେଶରେ ଦାବିଲି.  
 ଶୁକ୍ରକାଳରେ ପାନାର ଉତ୍ତରଣିରେ,  
 ଶୁକ୍ରକାଳରେ ହେବନ୍ତି ମେହିମରା ସାବଲି.  
 ମଧ୍ୟମାହିରାତିରି...  
 କାନ୍ଦିତ ପ୍ରାଚୀରନ୍ତି ପାନ୍ଦିତ,  
 ମନୁଷ୍ୟରେ ପାନ୍ଦିତ ଦା ପ୍ରେତ ମନୁଷ୍ୟରେ.  
 ମେନାତ୍ରରେ ବିଲାଦ, ସିଦ୍ଧମାରିଶି ଗନାତ୍ରୀ  
 ଡା ତାତୀ ମାନିବୁ ସିଦ୍ଧମରାଦ ମେଗନା.  
 ଗାର୍ହରେ ସିପିଓରେ ଲର୍ଦ୍ଦିଯାଲ୍ପୁରେ ମଗଲୁରାଦ,  
 ମଧ୍ୟ ଗୁରୁତ୍ବରେ ମତ୍ତାରେ ମତ୍ତାରେ ଦେଲୁରେ.  
 ଶୁକ୍ରକାଳରେ ସାବନାଦ ମତ୍ତାରେ ମେତୁରା,  
 ଶୁକ୍ରକାଳ ଗଢିଯାଇଲିଲି ସିକ୍ଷାପିଲିଲି ପ୍ରେତରେ,  
 ଶୁକ୍ରକାଳରେ ମିଥି ଗୁରୁତ୍ବରେ ଗଲେତୁରାଦ,

ბალახის სუნი ვაყნოსე შინელს.  
 წუხელის უბით ვათბე ბეღურა  
 და სიკვდილს ისე გადავარჩინე.  
 ვით მონადირე შამბარში ვიწექ,  
 და სამიზნეზე მეჯდა მსტოვარი.  
 წუხელ საზღვართან ვფხიზლობდი მტკიცედ,  
 როგორც მიჯნური და მეომარი.

\* \* \*

ისე ტკბილია ეს გახსენება,  
 რომ კაცი ლამის ცრემლად მაქციოს.  
 შენ რომ არ იყო, რა მეშველება,  
 უშენოდ აბა, საით ვავწიო.  
 შევხედავ მთვარეს, რომელიც ახლა  
 ირმის ცურივით ისე საესეა...  
 მე შენზე ფიქრი მუდამ თან მახლდა  
 და ეს, ძვირფასო, ახლაც ასეა.  
 როგორც სიშორით დალლილი მგზავრი  
 მე შენთან კოცნას მთვარეს ვაბარებ.  
 ვიცი, უჩემოდ იძინებ ჯაერით  
 და ცხრა მთას იქით საბანს მაჟარებ.  
 ვიცი, მანდ ახლა დედოფლობს მარტი,  
 ბუდეს იშენებს სხვენზე მერცხალი.  
 შენ რომ არ იყო, მე მომქლავს დარდი,  
 როგორც გასროლა რამ უეცარი.  
 შევხედავ მთვარეს და მის კრთომაზე  
 სიშორის შიშით გული მეესება.  
 მე მოვალ ისევ შემოდეომაზე  
 და დაგმიჭიფდები შენს წინ ლექსებად.

\* \* \*

ჩემი სიმღერა, —  
 ოცნება შენზე

ჩიტებმა შენსკენ მარცვლებად ზიდეს.  
 მე რასაც შევძლებ, შენს გამო შევძლებ,  
 სადაც დაგჭირდეს,  
 როგორც დაგჭირდეს.  
 თუ მამულს ჩემი ეკუთვნის გული,  
 თუ მამულს ჩემი მკლავი სჭირდება, —  
 ვარ მის ზეარაკად დაბადებული  
 და ორც სიკვდილი გამიჟირდება.  
 როგორც შეფიცულ მიწის ერთ მისხალს,  
 მისთვის გულისთქმა მეც მიხშირდება.  
 თუ მამულს ჩემი სჭირდება სისხლი,  
 თუ მამულს ჩემი სული სჭირდება.  
 და ვიდრე მშვიდად შრიალებს ქარში \*  
 კბილშევერცხლილი სიმინდის ყანა, —  
 მე კარავს ჩემსას მიწაზე გავშლი,  
 სხვა სამყოფელი რად მინდა განა.  
 ვინატრებ, — გლეხი ინატრებს როგორც,  
 მზით ავსებული მეღვას ქვევრები.  
 ვით ძუძუები მოწიფულ გოგოს,  
 ისე ასკდებათ ვახებს მტევნები.  
 ჩემი სიმღერა. —  
 ოცნება შენზე  
 ჩიტებმა შენსკენ ზიდეს ნისკარტით.  
 მე რასაც შევძლებ, ვიცი რომ შევძლებ  
 შენი ლამაზი სიცოცხლის ხათრით.

\* \* \*

არ დასრულება ბედნიერ დღეებს,  
 რომელსაც ჩუმი იცნებით ღვიძავს.  
 შენ მაპატიე, რაც ვერ გიმღერე  
 უსაყვარლესო სამშობლოს მიწავ.  
 არ დამწუხება თოვლისფერ ხელებს,  
 ვინც შენს ყვავილებს კონებად დაწნავს,  
 რომ სიყვარული სიკვდილის მერეც  
 ჭრილობასავით სტკიკოდეს საფლავს.



როგორც ფრთლებში სიცოცხლის თრთოლა  
და როგორც კვირტი, ცრემლის მფრქვევა  
შინ დამრჩა გოგო ყვავილის ტოლა,  
გოგო, მოლად გულზე დასაბნეველი.  
წამშამებს წყდება ობოლი წვეთი,  
ციცი, ის ტირილს ცერ შეცავებს.  
ცაო, უწმინდეს ღალადით გვეღრი,  
შის ტკბილ მოლოდინს ნუ გამიმწარებ.  
არ დასრულება ბელნიერ დღეებს,  
მზე იყოს ოქეენი სილალის აფრა.  
რომ ხეყვანული სიკვდილის მერეც  
გადაეჭაროს ჩემს ობოლ საფლავს.  
ცაო, ნუ მოშლი ნათებას კეთილს,  
ცაო, დილამდე ცოტაც იცალე.  
ცაო, წყალობა არ მინდა მეტი,  
მის ტკბილ მოლოდინს ნუ გამიმწარებ.

\* \* \*

შე არ მეხერა მშის მუზარადი  
და ახლა მისით ვერც გაგაოცებ.  
თაყვანი იმათ აწ და მარადის,  
ვინც ძმებად წვანან სასაფლაოზე.  
შე არ შემყრია პირისპირ ფრიცი,  
ძმათამკვლელისოფის წესი ამეგო.  
სიკვდილი რაა, მე ჯერ არ ვიცი  
და ნუმც მასწავლი მაღალი ღმერთო.  
გუშინ უეცრად აიმღვრა დარი,  
წარბშეკოჭილი ატყდნენ ღრუბლები.  
მომდევდა ქარი, როგორც აფთარი  
და მომძახოდა — „დაიღუპები“.  
ხანდახან ელვის გაპერავდა ასანთს,  
თითქო ცლესილ კბილებს აღრშენდა.

გარშემო ბუჩქიც არ ჩანდა არსად,  
 რომელიც სიკვდილს გადამარჩენდა...  
 ეს იყო ომი.

და მე მესმოდა  
 როგორ ცვილედა სიცოცხლე ველზე.  
 ღრუბლები ვარდებს სეტყვას ესროლნენ,  
 მე შეელა მათი ვერაფრით შევძელ.  
 ეს იყო ომი,  
 ამაზე მწარე  
 ჯერ არ მენახა სხვა განსაცდელი.  
 მთებზე ირმები რეკავდნენ ზარებს  
 და რქებად გლოვის ედგათ სანთლები.  
 ბლორინი მათი, უხმო და ღრიშე  
 მესმოდა,  
 მჩხვლეტდა,  
 გულს მიბზარავდა.  
 ლილება ბიჭებს,  
 მხიარულ ბიჭებს,  
 მოგებულია ვისიც მარაბდა...  
 ძახილი მათი დალუპულ ძმებზე  
 მესმოდა,  
 ვწუხდი,  
 სულში მზარავდა.  
 მე არ მეკიდა სიკვდილი მხრებზე,  
 და დედის ლოცვა არ მიუარავდა.  
 მაგრამ, საფლავში მეც მათებრ მიჭერს  
 სველი მაზარა და მუზარადი.  
 ლილება ბიჭებს,  
 დალუპულ ბიჭებს,  
 ლილება ბიჭებს აშ და მარადის.

\* \* \*

ო, ახლა შენი ხვევნით გამაძლო  
 და მერე მომკლა, აღარ დავეძებ,  
 ინაღვლე ჩემზე, ქალო, ლამაზო,  
 რომ კურცხალივით მედგე თვალებზე.

ინაღვლე ჩემზე, რომ შენ გეძინოს  
 და აქ ძნასავით მეწევ მკლავებზე.  
 ინაღვლე, რომ მეც უფრო მემძიმოს  
 უშენოდ ყოფნა უცხო მხარეზე.  
 როგორც სანთელი ფარავნელ ყმაშვილს,  
 შორიდან ისე მიხმობ და დნები.  
 მოდი, მომხერე და ბარემ დამწვი  
 ქარში ალისფრად გაშლილი თმებით.  
 ჩასძინებიათ უდაბურ ველებს  
 ფერდდამშეული ქარის თარეშში.  
 აქ მოვა კაცი დიდი ხნის მერე  
 თოფის, დენთის და ეჭვის გარეშე.  
 გაფხოზავს მიწას გუთნით თუ კავით  
 და სასოებით დამარხავს მარცვალს.  
 რომ გაუტოლოს შემოქმედს თვი  
 ხნულში ჩამდგარმა უბრალო კაცმა.  
 აქ მოვა იგი,  
 და თუ ოდესმე  
 უცხო აბჯარი ამოჰყვა ბელტებს, —  
 ეს მე ვიქნები, ცოცხალი მოწმე,  
 რომელიც მამულს დავჭირდი ერთხელ.  
 მაგრამ შენ ერთს გთხოვ ანგელოზს, კეთილს,  
 ტრფობაში დამწვი პატარა ქალო,  
 რომ დაფერზლილი მეომრის ძვლებიც  
 მამულის მინდვრებს გადააყარონ .

\* \* \*

ახლა და ახლა გიგონებ წყენით,  
 როგორც ტყისპირას დაკარგულ ნიმფას.  
 სხვამ სილამაზე რა იცის შენი,  
 სხვა რას მიხვდება შენ ჩემთვის ვინ ხარ.

ახლა და ახლა იღვიძებ ჩემში,  
როგორც ბალახის მწევანე სხეული.  
მე ეს დღეები უთუოდ შემშლის,  
აზრდაკარგული და დამსხვრეული.

ვით ქვესქნელიდან მახვეწარს მაღლა  
მიხმება სული და მელანძება.  
თითქო დამხო აფრები წარლენამ  
და მე ხელები შემრჩა ანძებად.

შევი ჩდეა, —

ჩემი ლურჯი დობილი  
ამაოდ მისმობს შემსკენ ეიჩარო.  
ვით ნავი ბედის ჭარს მინდობილი  
უნდა ისევე შენ შემიყვარო.

ახლა და ახლა მე შენზე ვდარდობ,  
როგორც ტყისპირას გამერალ ნიმფაზე.  
იქნებ დარჩენილს აუ მარტოდ-მარტო  
ოცნების თავიც არ გაქვს ძვირფასო.

ახლა და ახლა ჩემს დღეებს ჰშვენი  
ეით მზის ბრძინი ნაწვიმარ ველზე.  
სხვამ სილამაზე რა იცის შენი,  
სხვა რას ვაიგებს სიმღერას შენზე...

ა მ ბ ბ ს ბ ძ ძ რ თ ვ ე ლ ო ს

ვუყურებ წარსულს,  
როგორც შორით მოსული მგზავრი,  
ზღვით და სმელეთით ვეპუები მითსა და ზღაპარს.  
არა იგიო — წამებულის და არა ჭვარის  
მე არ ვუმადლი გულუხვობას მამულის ნახვას.

დავალ მიწაზე და თუ ვალი დამზევს მარტილებ  
მოლაშქარეთა,  
მიწის მხველთა,  
კირით-ხუროთა.



აქ თამარის მზე ანათებდა და ხალხს ათბობდა,  
იდგა რუსთველი და აქ ვეფხის წიგნს კითხულობდა.

და თუ ანთია მზე ცხოველი,  
მზე ცხრა ნათელი,

შემორჩა ახლაც სული მისი მძლე და მგზნებარე.  
ვეფხის გალადით გაზრდილია ყველა ქართველი,  
აი, რად ჰქვია საქართველოს მგრძანთა მხარე.

აქ ჩიტებს მოძევთ მტრედისფერი ღილა სისხამი,  
აქ მზის ბალები უკვდავების ვაშლებს ისხამენ,

არ მოაკლდება სულს სილალე, ერთი მისხალიც,  
აი, რად ჰქვია საქართველოს მარად მზის მხარე.

აქ შეშეერილი ფორთოხლები ხარბად ცის ღარებს  
სვამენ ვარდისწყალს,

სეელდებიან,

მხრებზე ისხამენ,

იყოს უფესოც ხე ნატერისა, ჩარევ, იხარებს,  
აი, რად ჰქვია საქართველოს სიცოცხლის მხარე.

ავმა ღრუბლებმა საავდაროდ რაც უნდ იხარის,  
იცავენ მთები გოლიათი ქართვლის სიწყნარეს,

ცერც რას წაიღებს მტერი გულორძო და მოსისხირი,  
აი, რად ჰქვია საქართველოს უდრევი მხარე.

ცოტა ხალხია, ამირანულ მოდგმის და ხანის,

აქ ვაჟკაცები მართლაც ნოქავენ საღილად ხარებს,  
სანდოა ვისიც მოძმისათვის გული და მხარი,

აი, რად ჰქვია საქართველოს დევ-გმირთა მხარე.  
და ვით ჩუქურთმა სეეტიცხოვლის,

ნაწნავით, ცხრანით,

ცხრა ანგელოზის სილამაზედ ერთქმნილი ცხრავე, —  
წარბები ფრენად მოქნეული ფრთები მერცხალის, —  
აი, რად ჰქვია საქართველოს ლამაზთა მხარე.

და რომ შევკადრო, სხვა მე რა მაქვს,  
ჰა ჩემი გული,  
ყაყაჩობად დასანთხევი კახაბრის ხავერდს.  
დგას მომავლისკენ რუსთველივით განდიღებული  
ედემის მხარე,  
საქართველო,  
ედემის მხარე!

მამის ვაჩანიძე

## ჩავი დო დო დო დო დო დო

შინაწერი: იმ დამეს ქაზიმ მეხონევურეს თავგადასავლით დავემაყოფილდით. მეორე საღამოს უნდა გაგვეგრძელებინა. დილით წასკლას რომ ვაპირებდი ქალაქში, დეიდა ხატიჯეს კარზე მოადგა მემედ ჭაპნიძე, ამავე სოფლის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე. მიესალმა, ჰკითხა როგორ ბრძანდებითო, ჩვენ თითქოს ვერ გვამჩნევდა. წერილი გამომართებით. დეიდა ხატიჯემ გახსნა კონვერტი და კითხულობს — „ქორწინების ბარათი. შაბათს, გამტიუებთ ჩვენი შვილების თამარისა და მიხეილის ქორწილში. მობრძანდით. მემედ და ფატიმე ჭაპნიძეები“. უცქირა, უცქირა კონვერტს დეიდა ხატიჯემ და ერთი ამოიხენეში.

— კარგი, — თქვა მან — ესე ივი, ორმოცდათი მანეთი გავამზადო, არა? წინა შაბათს ახმედს ჰქონდა ქორწილი. იქაც ვიყავით, ძიავ, დაპატიუებული. წელს კიდევ რამდენი ქორწილი იქნება ჩვენს სოფელში ეინ იცის. მერე და განა მარტო ჩვენი სოფლის ქორწილებში გვპატიუებენ? საიდან არ მოვწივდებიან ნათესავები. ჩემი მემედ, შენ კომუნისტი ხარ, შენი ერთი შვილი ქალაქში მსახურობს, ისიც კომუნისტია, მეორე სოფლის მასწავლებელია და ისიც კომუნისტია. მერე და შე კაი კაცო ქორწილს ფულის მოსახევად იხდი? პარტიულმა კაცმა უნდა უჩვენო სხვებს მაგალითი და შენ აკეთებ ამას? აყი, აკრძალულია ფულიანი ქორწილებით. მათ, გადაიხადე ქორწილი იმხელა, რამხელაც შეგიძლია, თუ არა და თავი დაანებე. რამდენკაციანი ქორწილი გაქვს? ოთხსაკაციანი? ესე ივი, ფიქრობ საშუალოდ ორმოც მანეთს მოვიტანს კაცი? მაშასაღამე ოთხასი კაციდან

\* გაგრძელება. დასაწყისი „ქოროხი“, 1975 №№ 5, 6; 1976 №№ 3, 4, 5.

მიიღებ თექვსმეტ ათას მანეთს. კოჭვათ, ნახევარი ხარჯს უნდა, და გადა-  
ეს იგი, რვა ათასი მანეთი მოგება დაგრჩება. ჰაუ, უყურე, შენ, რა კა-  
გადა გაანგარიშებული. მე, ჩემო ძმაო, ისე დავაქორწინე შეგვარულებული  
არავისგან კაბიყი არ ამიღა; როგორც შემეძლო, ისეთი ქორწილი გადა-  
გიხადე. — მერე საქორწილო ბარათი კალთის ჯიბეში ჩაიდო და მემედს  
შეხედა. თვალებს ჭუტავდა მემედი, თითქოს არაფერი ესმოდა.

— კარგი, კარგი — გესტურებით, გესტურებით, ისე ვიხუმრე, თო-  
რემ... მოვალ, აბა რას ვიზამ. — ეს ისე, უგულიდ თქვა დეიდა ხატიჯემ,  
თავმოყვარების გულისათვის. მერე ბოლიში მოიხადა და ბალჩაში ჩავი-  
და. მემედმა ერთი კი შემხედა და ხმამაღლა თქვა:

— ეს ვის ვხედავ, აქამდე ვერ ვიცანი. ო, ჯემალ, ჯემალ, როდის  
ვისტუმრე?

— ორი დღეა აქა ვარ, — ეუპასუხე მე.

— ალბათ საქმეზე, არა? აბა, ისე ჩათესავები სად მოგავონდება. —  
თქვა მემედმა, შერე ჩაციქრდა და დაუმატა:

— შეც უნდა დაგაბატიუთ ქორწილში, როგორც ჩემი ბავშვობის ამ-  
ხანავი, ლმერთმანი, შენგან ფული არ მინდა, არ მინდა ლმერთმანი. აგრე,  
ცარელი „ქორწინების ბაზათი“ მაქვს. — ამოილო ჩანთილან მემედმა,  
ჩაწერა ჩემი სახელი და გვარი და მომაწოდა.

— ჩემო მემედ, შენ კი იმბობ ასე, მაგრამ ყველა რომ ფულს მოგი-  
ტანა, მე იაქცია განწე ხომ ვერ დავდგები, მეც უნდა მოვიჩხრიკო  
ჯიბეები.

— მერე ო, მწერალი ხარ, იმდენ წიგნებს ბეჭდავ და ფულს ფუთო-  
ბით ხევტავ. ერთი გრამი ჩემსკენაც გაღმოისროლე, მერე რა მოხდება, —  
თქვა და გააბოლა.

— კი, ჩემო მემედ, მაგრამ მე კომუნისტი მწერალი ვარ და არავინ  
მაპატიებს. ნევატიურ მოვლენებს მე უნდა ვებრძოდე... გამოდის, რომ  
ხელს კუწყობ ამ მავნე ჩვეულებას, — ვუთხარი მე.

— მართალია ჯემალი, — თქვა ულომ, რომელიც ისე ამოგვდგო-  
მოდა გვეტავი, რომ არაფერი ვავვივრა. არც გულოს მოსწონდა ცულა-  
ანი ქორწილი, იშვარიად თქვა, უსინდისო უნდა იყო გაცი, რომ ორმოც-  
რაათი, ასი მანეთი გადაახდევინო კაცს შენს ქორწილში. ეს იგი, იმიტომ  
უნდა დაპატიუთ, რომ ფული მოგიტანოს.

მემედმა ყველაფერი ეს ხუმრობად მიიღო, ვითომდა არაფერიან. აბა  
გაგულისება რას მოუტანდა. მადლობა გადაუხადა დეიდა ხატიჯეს, ძლიერ  
მიაწვდინა ხმა ბალჩაში მოფუსაფუსს და თავის გზას გაუდგა. კიდევ ბევ-  
რი წერილი ჰქონდა დასაჩიგებელი.

მეც ღროებით დავემშვიდობე დეიდა ხატიჯეს და ქალაქის გზას და-  
ვადექი.

— წუხელ სად გეცალა, შენ „ჩემს დედულეთს“ კითხულობდი. მერა და აქენებ საჩუმათო რამე მინდა გითხრა, — თქვა ბულბულიძ და ნაღვლიანი თვალი თვალში გამიყარა.

— ვერ მიგიხვდი ჩემო ბულბულა, ვერა. იქნებ ნაწყენი ხარ ჩემგან, რა ვაწყენინე? მე ხომ შენთვის ცუდი აოაფერი მითქვამს. მითხარი, ვა-თაყვა, მითხარი გული რატომ გრკივა. — შევეხვეწ მე. ბულბულას ცუ-მლი მოერია, სახე მომარიდა და ამოიოხრა.

— შენს გამო გაუთხოვარი დავრჩი, — მისაყველურა ბულბულამ.

— ბულბულა ჩემო. მე შენ მიყვარდი, როგორც მეზობელი, როგორც  
შევიღო. გულში არ გამიელია, რომ მყვარებოდი სხვანირად. დაწყნარდი,  
აქლა ასეთი გრძნობების გამხელა ჩემში მხოლოდ სიბრალულს იშვევს.  
მე ხომ უკვე ხანდაზმული კაცი ვარ, და ისიც ცოლ-შვილიანი, დაწყნარდი,  
დაიკარწყე ყოველი. — დაუჭვავე მე.

— მე ვიცი, რომ გვიანია, მე ვიცი, რომ შენ ხანდაზმული კაცი ხარ, რაც მთავარია. ცოლშვილინი. ახლა არც კი ვფიქრობ ამაზე, საყვედური კი უნდა გითხრო აბა. რა. ქალს ერთი ტკბილი სიტყვა ჰყოფნის. მე კი შენ კი უნდა გითხრო აბა. რა. ქალს ერთი ტკბილი მელაპარაკებოდი. ასე ვიზრდებოდით ერთ-სულ ტკბილად და ტკბილად მელაპარაკებოდი. ასე ვიზრდებოდით ერთ-სანს ერთად. და ჩოცა თავი ჩემი შევიცანი. როგორც ქალმა, გულმა მი-ხანს ერთად. და ჩოცა თავი ჩემი შევიცანი. როგორც ქალმა, გულმა მი-მტყუნა, ჩემმა საბრალო გულმა. ვფიქრობდი. რა მემართება, რატომ მი-მტყუნა, ჩემმა საბრალო გულმა. ვფიქრობდი. ამას რა ჰქვია. მიწევს გული ჯემალისაკენ-მეთქი. პასუხს ვერ ვპოულობდი. ამას რა ჰქვია. მე არ ვიცი, ის კია, რომ უშენოდ ვერ ვძლევბდი. შენ კი წახვედი დედო-ლეთიდან და ოლარ გამიხსენე, — თქვა და დახარა თავი.

— როგორ არ გავიხსენე? განა არ მოვდიოდი ჩემს დედულებში /განა არ გხვდებოდი მაშინ, რატომ ცრუობ ბულბულა, რატომ? — გუთხე-  
რი მე. იმ დღეებმა გამიელვა თავში, მომავინდა ის დალოცვილი გადასახლებულები  
და გული გამეთანაღრა.

— განა შენ ეკრ ხედებოდი, რომ მიუვარდი? — დარცხვენით მითხ-  
რა ბულბულის.

— არ მეგონა ჩემო ბულბულა, არ მეგონა, რომ ეს ასე იყო, და აა  
ექნა. რა ვიღონო, გაფრენილ ახალგაზრდობას და გაფრენილ სიყვარულს  
ეკლარ დაიბრუნებს ადამიანი. მათზე ლაპარაკი ახლა არ ღირს, მაგრამ რას  
იჩამ, თურმე შენ სალაპარაკო და სასაყვედლურო გქონია. მერე და რატომ  
არაფერი მითხარი მაშინ? — კითხე მე ისე, დასამშვიდებლად.

— მე მეგონა შენ მეტყოდი, და ვიყავი ასე ლოდინში. ამ მოლოდინ-  
ში ჩემს სულს ჭალარა გამოერია. მე იმ დღეს მოხსუცდი, როცა ვაერე,  
შენ დაქორწინდი.

— ჩემო ბულბულა, შენს გაუთხოვრობას მე ნუ დამაბრალებ და  
საყვედლურით ნუ ამაგებ. აქაო და ქალი ვარ, შენ კაცი, და უპირველესად  
შენ უნდა გეოქვაო, მიუვარხარ! „ვეფხისტყაოსანი“ ხომ წაგივითხაეს?

— კი.

— ჰოდა, აბა, კარგად უმახსოვრება ნესტანისა და ტარიელის ამბავი. ერთ  
გაუმჯდავნა სიყვარულა — ნესტანმა თუ ტარიელმა? რატომ არ იღებ  
ხმის? ნესტანმა გაუმხილა სიყვარული, ნესტანმა. — ნიშნის მოგებით ვუ-  
თხარი მე.

— ტარიელივით შენც რომ ბნედა აგყოლოდა, მაშინ ვიფიქრებდი, ჩემი  
სიყვარულით ემართება-მეოქვი და გაგიმხელდი, აბა რა, — თქვა მან. მერე  
მოიტრიბა ლონე, ცრემლები მოიხოცა, მეჩქარებაო, — და ბილიკს  
მიაშერა, აღმართს გასროლილ საზტყელივით რომ გართხმოდა. „რანი  
არიან ქალები!“ — გაფიქრებ მე და გზა განვაგრძე...

\* \* \*

დუქნებთან რომ ჩამოვედი, ყარამან ბიძიას თვალი დავატანე. ჭოხის  
ბიჯება-ბიჯებით მოდიოდა. ნეტავი რა გაუჭირდა ასე? ამ ერთი წლის  
წინათ ფრინავდა ეს მოხსუცი და ახლა რა დაემართა? როცა მომიახლოებდა,  
მომაძახა:

— ეს ვის ეხედავ, ბიჭო, ჭემალ, შენ საით ყოფილხარ? ვიცი, ვიცი  
დეიდა ხატივესთან იქნებოდი. ხომ კარგი ამბავია, ა?

— კარგი და კარგის უკეთესი, ყარამან ბიძია. რატომ კოჭლობ, ყარა-  
მან ბიძია? ძლიესძლივობით, კოჭლობით მოდიოდი. ერთი წლის წინათ კი  
ჩიტივით ფრინავდი.

— რა ვიღონო არ ვიცი, მარილები მკლავს. ჯერჯერობით წარმატება არაუერი მიშეველა. თბილისში უნდა წამიყვანოს ჩემია შეილმა. მაგრა კარგი ნაცნობი ექიმი პყავს და უთქვამს, მომიყვანე მამათქვეშიშვილი გარდა წარბები შექმუხნა, ეტყობოდა, მარილმა მაგრად დააჭირა და მოხუცი აუტანელ ტკიფილებს გრძნობდა, მაგრამ რა უნდა ეწნა.

— მეც იქა გარ, ჩემთანაც მობრძანდით, მეც მყავს კარგი ნაცნობი ექიმები. უეჭველად გიშველიან, ზოპველად, — დავაიმედე მე.

ყუჩად მოგვიახლოვდა მოხუცი სულეიმანი, ყრუდ მოგვესალმა. არც არაუერი უკითხავს, ისე განაგრძო გზა. გამიკვირდა, მანამდე ასე მხარს არ ამიქცევდა, აუცილებლად გამეღაპარაკებოდა. ყარამანს ვკითხე, ის მოხუცი რატომ არის ასე უბრი, უგულოდ მოგვესალმა, ხმა არ გაგვცა და წავიდა, ეს მოჭიკვიკე მოხუცი რამ დაადუმა-მეთქი.

— ეჲ, ჩემო ჯემალ, — თქვა ყარამან ბიძიამ, — მაგას ხალხში გამოსაყოფი თავი არა აქვს. ახლა ისეთი დროა, რომ სახელი უნდა მოიხვეჭო კარგი საქმით, კარგი კაცობით. ოუ შეგიძლია, კოსმოსშიც უნდა გაფრინდე. აბა, სახელისათვის ყველაფერი უნდა გააკეთო. ხომ იცი რუსთაველი რას ამბობდა: — „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსაო“. სულეიმანის შვილმა, ბედოვლათს რომ ეძახიან, ასი ათასი მანეთი გაფლანგა. ერთ-ერთი დიდი მაღაზიის გამგე იყო. კაცო, იმხელა მაღაზია განდო მთავრობამ და არ უნდა გაუმართო, პატიოსნად არ უნდა იმუშაო? მე არ მიყვარს მასეთი ქარაფშეტა, უპასუხისმგებლო ახალგაზრდები. პოდა. ქე ამოყო თავი ციხეში. რა ქნას მშობელმა, რა მისი ბრალია, მაგრამ რცხვენია, თავი ვერ აუღია მაღლა სულეიმანს, აღარც სურს ვინქეს-თან ლაპარაკი. ამბობს, ნეტავ მოკვედებოდეო.

— შენი შვილი იგთანდილი სად არის?

— მოსკოვში. ახლახან დაიცვა ხარისხი, — ამაყად მიპასუხა მოხუცმა. — გოგო, ზიატა?

— გაოხოვდა. თბილისშია. კარგმა კაცმა წაიყვანა. ექიმია. ხარისხი აქვს დაცული. ჩემი ქალიშვილიც მაღლ დაიცვას ხარისხი. — სხაპასხუპით, ამაყად თქვა ყარამან ბიძიამ. შერე მეოთხა, შენ რას აკეთებ, საღა ხარო. თბილისში-მეთქი, ვუპასუხე. ვმუშაობ ერთ-ერთ გამომცემლობაში-მეთქი.

— ვიცი, შენ გზაგავეალული კაცი ხარ და არსად არ დაიკარგები. შენი ნაჩუქარი წივნები თავსასთუმალთან მიწყვია და ღამლამობით ვეკითხულობ ხოლმე. მე მიყვარს შენი ტკბილი და თბილი ლექსები, — და ყარამანმა ერთი ჩემი ლექსი ზეპირად თქვა. გამეხარდა და მოვესიყვარულე ყარამან ბიძიას, მოვეხვივ და ჩავკოცნე. მერე ბოდიში მოვუხადე, ქალაქში მიმეჩარება-მეთქი და დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ხანდახან უკან მოვუხედავდი მოხუცს. იგი მიცეროდა მე, ვიდრე მის თვალს არ მივეფარე.

მწერალთა კავშირს ვესტუმრე. იქ დამხვდნენ ილია, რაისა... ჭარბელი  
და ერთი სტუმარი. ფეხზე ადგომით მომესალმნენ ჩემი მეგდინულების  
არ მყითხეს, როდის ჩამოდიო, რატომ ხშირად არ ვესტუმრებიო. შენ  
კი კაცი ხარ და ჩვენს წრეს შენისთანა ადამიანის მოშორება ძალიან  
აკლიაო. ყოველ შემთხვევაში, ვინაც ვიცით კაცური კაცის ფასი, იმათ  
გული გვიღონდება ხოლმე, როცა მოგიღონებთო. რა არ მყითხეს. სავარ-  
ძელში უქად იჯდა სიმპატიური შესახედაობის ლამაზ-ლამაზი ქალი, რო-  
მელსაც მე დიდი მოწინებით ხელი ჩამოვართვი.

— ეს არის კომპოზიტორი ნუნუ, თბილისიდან. მას სურვილი აქვს.  
სიმღერებად აქციოს ჩვენი პოეტების საუკეთესო ლექსები. მაგრამ ძალი-  
ან წუნიაცა. ჩემს ერთ ლექსეს სიმღერა დაწერა, მაგრამ გამაწვალა, რამ-  
დენჯერმე ჩამიყვანა თბილისში და ლექსი არაერთხელ გადამაკეთებინა, —  
თქვა ტარიელმა.

მე: — მომთხოვნი კომპოზიტორი ყოფილია. ეს კარგია, მას სურს.  
კარგი სიმღერის შექმნა და ეს წრფელი სურვილითა გამოწვეული. მე ვუ-  
წონებ ასეთ მომთხოვნელობას ქალბატონ ნუნუს.

ტარიელმა ღიმილ-ღიმილით თქვა, ნუნუ მედავებაო რალაც-რალაცეე-  
ებზე. კარგი, რომ შენ მოხვედი. მე ვერაფერს გვიხდი. ბოლოს შენი წე-  
რილი უნდა გამომეყენებინა ნუნუს დასამარცხებლად. და აი, კიდეც შენ  
გამოჩნდი, ახლა სასიმოვნო იქნება საუბარი ჩვენს ძვირფას სტუმართან.  
მე იმ შენი წერილის ასლი აგრეთ უჯრაში მაქს სასოებით შენახული.

და უმაღლე მონახა ჩემი რვა წლის წინათ დაწერილი წერილი, რომე-  
ლიც გაეგზავნა ქართველ შექრლებს თბილისში. ტარიელმა გვანიშნა, შე-  
ვიდეთ ცალკე ოთახშიო. მობრძანდითო, შეიპატიუ ნუნუ. ჩვენ სამნი გა-  
ნემარტოვდით ოთახში. ტარიელი ნუნუს თხოვს კარგად მიუგდოს ყური,  
და სათქმელი ბოლოს თქვას. ნუნუს ჰელია, რომ ჩვენ, პროვინციელი,  
პოეტები გაუბედავნი ეართ, თუმცა ეს სიტყვა იწყინა ნუნუმ, ასეთ რამეს,  
როგორ გადატებთო. ტარიელი კითხულობს წერილის ნაწყვეტებს. ალბათ  
კითხულობს წერილის იმ მონაკვეთებს, რომლებსაც საჭიროდ სცნობს..

— აბა, ყური მიგდე ქალბატონ ნუნუ. მე წავიკითხა მხოლოდ ზო-  
გიერთ აბზაცს. იყოს გაგონება. — და ტარიელი ნელ-ნელა, დაბალი ხმით  
კითხულობს, ხანდახან თავს ზევით აიღებს და ნუნუს აკალებში შეაცემ-  
რდება. აბა როგორ იმოქმედა ამ სტრიქონებმათ. ნუნუც თვალს შეატანს,  
მაგრამ, პირობის თანახმად, ხმას არ იღებს, უსიტყვოდ ზის და სმენადა,  
შეცემი. მეც მოწაფესავით ვარ გაყუჩებული, თითქოს პირელად უნდა,  
მოვისმინ ეს სტრიქონები, დაწერილი დიდი სასოებით და აღტყინებუ-  
ლი, მგზნებარე გულით.

„...რუსთაველის, ბარათაშვილის, ვაჟას, აკაკის, ილიას, გალაციანას ჩანგზე ამღერებული ჩვენი მხარის მკვიდრთა სულში უხვად ჩუხჩუხევენ ჩვენი ქართული, მარად უშრეტი წყაროები. ჩვენი კუთხე, რომელიც უკავებარა დიად სულიერ განახლებას. ის აღარაა, რაც იყო წინათ, თუნდაც ათა წლის წინათ... ძეველად ხომ თითქმის ყოველ სოფელში მუსლიმანური სამ-ლოცველოები — ჯამეები იყო. ყოველ სოფელში შეხვდებოდით ჩალმიან ხოჭა-მოლებს. რომლებიც ისლამის ფანატიკური მორწმუნები და თავდა-დებული მქადაგებლები იყვნენ. დასამალი როდია, რომ ოდესლაც არაბი მუჭამედის მიერ შექმნილი რელიგია ისლამი, მძლავრად იყო ფეხმოდ-გმული ჩვენი მხარის მკვიდრთა ყოფაში და მათ სულს თითქოსდა ნების-შეირად აბარბაცებდა... დიახ, ძირითადად ამ რელიგიამ განაპირობა“...

— ჰო, ჰო, დიახ, — თქვა ნუნუმ. — მერე, მერე, განაგრძე.

„— ახლა ვიკითხოთ რას წარმოადგენს დღეს ეს მხარე... რომელი მისი სიდიადე ჩამოვთვალო! განა საჭიროა თითო-თითოდ განმარტება იმისა, რაც ცხადია, რაც ყველამ იცის?! დიადი ძვრები მოხდა არა მარტო ამ მხარის ეკონომიკისა და კულტურის დარგში; დიადი ძვრები მოხდა ძველი მესხეთის ამ შუაგულის მკვიდრთა სულიერ ცხოვრებაშიც. აბა, შიჩვენეთ, სად არის ახლა ისლამიზმის ნიში? ისლამს ვინ მისცა იმის ძალა. რომ მისი გავლენით მიმდინარეობდეს ამ კუთხის მკვიდრთა სულიერი ფორმირების პროცესი?! ვინ მისცა იმის მაგიური ძალა ქრისტიანულ რელიგიას, რომ კვლავაც მისი გავლენით მიმდინარეობდეს ქართველი კაცის სულიერი ფორმირების პროცესი: ვის სულში არიან შეყუეულნი რელიგიური აჩრდილები? ვინაა, რომ კვლავაც გულის კარებს უღებს მათ? არის ვინმე ასეთი? თუკი ასეთი კვლავაც ცოცხლობენ, დარღი ნუ გვაქვს, ამ მიმქრალ ლანდებს ვინ ჰკითხავს ქვეყნის კი არა, თუნდაც ერ-თი სოფლის ბეღსა და ავანჩავანს! ესეც არ იყოს, კონსტიტუციის ძალით რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და მას სახელმწიფო და ერო-ვნეულ საჭირობოროტო საქმეებში იმთავითვე მოეკვეთა ყოველგვარი უფ-ლება. უვიცი უნდა იყო კაცი, რომ ახლა ჩვენში რელიგიას რაიმე როლი მიაკუთვნო და თითქოს მისი გავლენით დიადი ეროვნული ტაძრის ბზა-რები ერის გულის ძახილისა და ინტერესების კვალობაზე ვერ დაადუ-ლაბო.

გასაოცარია, ვინ მოიგონა ეს დეკადა!.. ეს დეკადა ახლა ამ მომენ-ტში, საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე პარტიკულარიზმის გა-მოვლინებაა და ვინც მას დაიცავს... იგი პარტიკულარიზმისა და კიდევ ვინ უშეის რა სენითაა შეპყრობილი და სერიოზული მკურნალობა დას-ჭირდება.

კარგი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებისათვის არ არსებობს პროვინცია და ცენტრი. ახლა ცენტრებსა და პროვინციებს იმდენი მაგის-

ტრალები იერთიანებს, რომ სად იწყება და სად თავდება ცენტრი, რა საუ-იწყება და სად თავდება პროვინცია, ველარ დადებ ზღვარს. ჩვენი დო-დი ეპოქის წყალობით უამრავი ძლიერი საშუალება გაგვაჩნია მცხვნენი, ერთი სულის შესადუღბებლად, მის აღსაზევებლად დიადი ჰქონდებოდა ვეობის მოთხოვნილების კვალობაზე, ოღონდაც გამოვიყენოთ ეს საშუ-ალებანი, ოღონდაც ვიყოთ ენერგიული და გულწრფელი ყოველ საქ-მეში...

მშობლიური ქვეყნის ფუძე-ბალვარს, მის სულსა და გულს ადულა-ბებენ სულ სხვა, ძლიერი და ცხოველი ფაქტორები, და არა ისეთი ემპა-რიული ხასიათის ღონისძიებანი, არა ისეთი ხმაურიანი დეკადები, რომ-ლებაც თორმეტ-თხუთმეტ წელიწადში ერთხელ გაიმართება ხოლმე. ეს ყველამ კარგად იცის... არსებობს სხვა უფრო ცხოველი, თითქოს უბრა-ლო, მაგრამ საჭირო ღონისძიებანი; არსებობს სრულიად საქართველოს ლიტერატურის ერთ მდინარედ გადაქცევის უხვი და მყარი საშუალებანი. აქ უნდა ვიყოთ ფხიზელნი და იმ ფაქტორთა მძლავრი მეუფენი... უნდა ვძლიოთ განკერძოებულობისაკენ თავისთავადი ლტოლვა, ჩვენდა უნებუ-რად ლტოლვა „ცენტრობანასაკენ“. უნდა აღვიკვეთოთ გულიდან ტენდენ-ცია იმისა, რომ თითქოს ცენტრში მოღვაწე ყველა შემოქმედი მაღალნი-ჭიერია, და მათ მიერ შექმნილი ყოველი, ბრწყინვალე და ეტალონია, ხო-ლო „პროვინციაში“ ყველა დაბალნიჭიერია და მათ მიერ შექმნილი — არ დირს კაიკად... თქმა არ უნდა, ყველაფერში გადამწყვეტი როლი ნიშა-ნეკუთვნის, თუმცა ანბანური ჰეშმარიტებაა ამ დიდარი გარემოს დიდი დადებითი გავლენა შემოქმედზე...

ჰეშმარიტება, რომელიც ამ სტრიქონებს ჩაუთქვი, მჯერა, უკვალოდ არ გაქრება“.

— შესანიშნავი აზრებია, შესანიშნავი. ო, ჩემთ ჯემალ, კარგად ვით-ქვაძი. დიდი გუმანის კაცი ყოფილხარ, — აღფრთოვანებით მითხრა ნუ-ნუმ და კინაღმი გადამხევია. „ეტყობა გრძნობით აღსავს ქალია, თავისი ქვეყნის ჭირ-გარამის გულთან მიმტანი“ — გავიცლე გულში.

— ამ წერილში ჩემს მეგობარს სხვა საინტერესო აზრიც აქვს გამო-თქმული. — თქვა ტარიელმა

— მე კი მაინტერესებს მთლიანად წერილი. ვერ დამითმობთ ამ წე-რილს? — ჰკითხა ნუნუმ.

— გადავაბეჭდვინებთ. შენ ხომ აქ ისვენებ. — ეუბნება ტარიელი.

— არა, მე ერთი კვირის შემდეგ ჩამოვალ, აქ, მწერალთა კავშირში დამიტოვე.

— კეთილი, კეთილი, — უპასუხა ტარიელმა.

— მერე და რა შედეგი მოჰყვა ამ წერილს? — იკითხა ნუნუმ.

— შედეგი? დადებითი. — მიუგო ტარიელმა.

— ღმერთმანი, საინტერესო ამბავია. რა კარგი მამულიშვილები არით, გულს ვურთებ თქვენს შემართებას.

იმ რამდენიმე წუთში ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, მე მარჯვენა მუზიკას. ახლა კი არა, ათი წელიშადია ვიცნობ. მე და ტარიელს გვთხოვა მიცოლოდით რადიორედაქციაში, იქ ჩემი ჩაწერა უნდათო. ტარიელს სადღაც მიეჩარებოდა და ბოდიში მოუხადა სტუმარს. მე და ნუნუ კი წავე-დით რადიორედაქციაში.

რამდენიმე წუთი და ჩვენ უკვე სტუდიაში ვისხედით.

რედაქტორმა ახსნა-განმარტება დაიწყო თუ რა სურთ, რა უნდა ჩაიწერონ. მე შევნიშნე, უმჯობესია ჩამოწეროთ ამ გამოსვლისათვის აუცილებელი კითხვები-მეთქი. რედაქტორმა თქვა, ასეთი რამ არ მიყვარს. მე მიყვარს აქვე მოფიქრებული კითხვა და ასევე პასუხიო. ნუნუც დაეთანხმა, მეც ასე მიყვარსო. ნუნუმ მთხოვა, კარგად მომესმინა მათი საუბარი და. თუ მოვიწონებდი, თანახმა იქნებოდა გადაეცათ. სხარტი კითხვები-იყო და ნუნუს პასუხიც — შევერმეტყველი. ნუნუმ აქაური პოეტების გასაგონად თქვა: ჩემთვის არ არსებობს გამორჩეული პოეტი. მე მაინტერესებს კარგი ლექსი და არა ის, თუ ვის ეკუთვნის იგი. მე მინდა აქაურ პოეტებთან მტკიცე კონტაქტები მქონდეს, რომ ჩემს ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდეს მათი წიგნები. გულდასმით წავიკითხავ თვითეულს, ავარჩევა: კარგ ლექსებს და მერე სიმღერებად ვაქცევ. ვფიქრობ, ჩემი საყვარელი პოეტები მხარს დამიჭერენ.

მერე ხან როიალზე დაუკრა და იმღერა, ხან კიდევ საუბარს განავრძოდნენ კომპოზიტორი და რედაქტორი.

— როგორ მოგეწონათ ჩვენი გამოსვლა? — მკითხა ნუნუმ, როცა უცელაფერი დამთავრდა და ჩაწერილი ტექსტი მოგვასმენინეს.

— კარგია. თქვენი პასუხები მომეწონა. ერთი კია... — და აღარ და-მიმთავრებია, შეცნუდულმა მკითხა — რაო? რაშია საქმე? — არა. ის უნდა მეთქვა, რომ შენი თხოვნა მე აღზრ მეხება-მეთქი.

— რატომ? — და თვალებში ჩამაცქერდა.

— მე ხომ ერთ წელზე მეტია, თბილისში გადავედი. ახლა თბილი-სელი პოეტი ვარ.

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ. ჩემთვის მაინც აქაური პოეტი ხართ. თუკი მომაწვდით თქვენს კრებულებს, მე გულდასმით შევარჩევ კარგ ლექსებს, რომ კარგი სიმღერა გამომივიდეს. — თქვა მან ისე წრევლად, თითქოს მთელი მისი გული ჩემს ხელისგულზე დადო და მე ვხედავდი როგორ ძერდა მისი გული. „ეს ქალი ძალიან გრძნობირიცა და გულღაც. ნეტავი ასეთი იყოს ყველა. მაგრამ ასეთი აღამიანები იშვარია“ — გავიღლე გუნებაში.

დავემშვიდობეთ რედაქტორს და სტალინის პროსპექტს გამოვყენოთ.

ეაგზლამდე მივაცილე. უკვე ჩამომდგარიყო „ელექტრიჩიკა“ და დაროებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს...

წუნუს, რომ დავშორდი, საკოლმეურნეო ბაზარში შევიარე, იქნებ ჩემი თანასოფლელები ვნახო-მეტქი. ერთი-ორი ვნახე კიდევ.

— თენწილე ხანუმ, ხომ არ იცით, როგორ არიან ჩვენები, — ვკითხე ჩემს მეზობელს მშობლიური სოფლიდან.

— კარგად, რა უჭირთ. ცოტას შენი და შადი ავადმყოფობს. — მიპასუხა მან.

— ლოგინად ხომ არაა ჩავარდნილი?

— მგონი კი.

დავემშვიდობეთ თენწილე ხანუმს და საკოლმეურნეო მოედანზე გამოედი ტაქსის გაჩერებასთან. გული მიუანცქალებდა, რა დაემართა-მეტქი ჩემს დას. ისეთი ხასიათისაა, უბრალო ავადმყოფობას არ ჩაუწევება, ალბათ მძიმელა აფალ... მალე ტაქსიც ჩამოდგა და გაესწიე ჩემი სოფლი-საკენ.

ჩემი ტაქსი ნელა მიჰქონდა. ვამჩნევდი, მძღოლი უძინარი იყო და თელემდა. ასლა მთებში რომ კიყოთ, სადაც უფსკრულებს ხახა აქვთ და-ლებული... და უცებ მძღოლმა წასთვლიმოს, მტრისას, უფსკრულში აღმოჩნდები და შემს გვამს ყორანიც ვერ მონხსავს. მოსახვევში ონკანიდან წყალი მოჩუხესუხებდა. ტაქსი გააჩერა, ბოლიში მომიხადა, ხომ არ გეჩქარებათ.

— არა, რა მაჩქარებს, მიღით, დალიეთ, გეტყობათ მარილიანი საჭ-მელი მიგირთმევიათ.

— არა, წყალი კი არ მწყურია, ისე სახე უნდა გავიგრილო, — მი-სასუქა მძღოლშა და ნაბიჭი გადადგა. წყალთან მიეკიდა, ერთი გაიზმორა და მეტე ერთხანს სახეზე წყალი ისხურა. ცხვირსახოცი ამოილო. შერცხეა, დაჭმულებინილი ცხვირსახოცი მქონიათ, შებრუნდა და ისე შეიმშრალა სახე, მეტე ნელი ნაბიჭით წამოვიდა.

— კარგაა, ცოტა გავერილდი. ძილიც დამიფრთხა, — თქვა და დაჯდა თავის ადგილას, — დალახეროს ღმერთმა კაცის გაჩენა!

— თქვენ რალაც გაწუხებთ მეგობარო, არა? — ვკითხე მე.

— ო, ვინ არის ქვეყნად ისეთი, რომელსაც რაიმე არ აწუხებდეს. იტყვიან, თვითონ ღმერთსაც კი აქვს საწუხარიო, და მე იდამის შვილს როგორ არ მექნება მწუხარება. — ცოტა სიჩუმის შემდეგ შემეკითხა, — შენ ამჯევენად არაფერი გაღარდებსო?

— რა თქმა უნდა, კი. მეც შენსავით კაცი ვარ, შენსავით გული მაქვს, — ეუპასუხე.

— არა, ჩემსავით კაცი კი ხარ, მაგრამ ყველა კაცი ერთნაირი დოდება... ზოგიერთს ქვის გული აქვს, ქვისა. აი, თუნდაც გეტყვი ერთ ფუნქციით შექმნავ მეზობელს, ამ ორმოცდაათი წლის კაცს ზღვაში დაეხრი გოგონა. რარა რა გოგონა, იტყვიან, ვარსკვლავს ეთამაშებოდათ. ვიდრე კუბო სახლში ედგა ოხრავდა, ჰგოდებდა. დაასაფლავა და... სულ მაღვე მიივიწყა, ვითამიც არაფერი მოსელია. ხშირად თვრებოდა კიდეც, — თქვა მძლოლმა და პაპიროსს მოუკიდა.

— ხშირად თვრებოდა არა? ასე იცის მეტისმეტად დარდიანმა კაცმა-მაშასადამე. შენს მეზობელს ქვის გული კი არა, კაცის გული ჰქონია. ტყუ-ილად სძრახავთ იმ უბედურს, მეგობარო.

— არა, ტყუილად არ ვძრახავ. ერთხელ ყური მივუგდე ცოლ-ქმრის საუბარს თუ კინკლაობას და დავრტმუნდი, რომ იგი უგულო კაცი ყოფილია. აი, მომისმინე და ზუსტად გადმოგცემ მათ საუბარს.

ცოლი: — შენ რა კაცი ხარ არ ვიცი. სამი თვეა, მოგვიკვდა ბაუში და ერთხელაც არ გინდა მისი საფლავი ინახულო?

ქმარი: — მეზიზღება საფლავები. ვერ წამოვალ.

ცოლი: — მაშასადამე, გეზიზღება შენი გოგონას, გულისვარდის საფლავი, არა?

ქმარი: — დიახ.

ცოლი: — მაშასადამე, გეზიზღება გულისვარდი, არა?

ქმარი: — არა, ვერ გამიგე შენ. ჩემი გოგონა მიყვარდა და მიყვარს, მაგრამ არ მიყვარს საფლავი. არ მიყვარს საფლავის მიწა და ხელს ვერ დავაკარებ მას.

ცოლი: — გულისვარდი ხომ მაღვე მიწად იქცევა. ესე იგი იგი იქცევა საფლავის მიწად... და თუ გიყვარს გულისვარდი, უნდა გიყვარდეს მისი საფლავის მიწაც, რადგან იგი შეიერთებს საბოლოოდ შენი ასულის ხორცია და ძელებს.

ქმარი: — არა, არ მიყვარს საფლავი... და ვერ წამოვალ-მეთქი...

აი, ეს იყო უკნასენელი პასუხი მამაკაცისა, მერე თავი - ჩალუნა და სადღაც გასწია. ცოლმა გაოცებით თვალი გააყოლა და ერთი ხმამაღლა ამოიხრა. — ახლა ისიც კაცია?! — თქვა მძლოლმა ზიზღით.

მე: — ჩემი აზრით, ის შენი მეზობელი გასაკილავი არ არის. ცოტა თვაისებური ხასიათის ვინმე ყოფილა, თორემ შვილის საფლავს როგორ არ მოინახულებს კაცი. როგორც ჩანს, საყვარელი შვილის სიკედილმა შეაძულა საფლავები და ვერ იტანს საფლავთა შორის გავლას. ამაზე ახლა ნუღარ ვიდავებთ, ოღონდ შენ ის მითხარი — რატომ თვლებ? ხომ შეიძლება ტაქსი დააჭახო ტაქსს ან რომელიმე მანქანას... და მშვიდობით. შენ

თავი უკი განწირული გაქვს, მე რას მერჩი. თუ ასე გიჭირდა, უფრო სი-  
სთვის გეთხოვა და გაგათავისუფლებდა.



ის: — არა უჭირს, ჭირსა შეგან გამაგრება ისე უნდა ვისტურებოთ უცხადა. მე ცოდვა კაცი ვარ, ცოდვა. — თქვა მან და თვალთაგან კურცხალი ჩამო-  
უგორდა.

მე: — ნუთუ ისეთი რამე გვირს, რომ კაცი ვერ გიშველის?

ის: — ჩემს ბავშვს სარკომა აქვს, სარკომა, გესმის? ცალი ფეხი ულ-  
პება. ახ, ჩემთ თავო, — და თავზე ხელი იტკიცა.

— წუხელ არ გვიძინია მე და ჩემს ცოლს, წუხელ ჩემი გული ასჯერ  
მოკვდა და გაცოცხლდა.

რა უნდა მეთქვა ამ უბედურისათვის. ვერაფერი ვანუგეშე. გავჩუმ-  
დი. ის კი ნერვიულად იტხეოდა. მერე ტაქსი ჩართო და ნელი სვლით  
წაიყვანა.

ჩაის ფაბრიკასთან შევაჩერე, სამმანეთიანი მივაწოდე, მაგრამ შენც  
არ მომიკვდე, არ მიიღო, ორი მანეთი და ხურდაც უკან გამომიბრუნა, მე-  
ტი არ მეტებაო. „ნუთუ ასეთი პატიოსანია? იშვიათია ისეთი მეტაქსე,  
ხურდა რომ გამოგიბრუნოს“, გავიღე გულში და დავემშვიდობე, თან  
მივაძახე, კარგი კაცი ყოფილხარ და ღმერთი არ გაგწირავს, შენი ბავშვი  
განიურნება!

შარაგზოდან გადაუცხვევი და ბილიქს გავყევი. ჩემი და, აი, იქ, მაღლა  
გორაზე ცხოვრობს. ამ გორას სიყვარულის გორას ეძახიან. გაინტერესებთ  
გთხრათ, თუ რატომ შეურქმევია ხალხს სიყვარულის გორა? აბა, ყური  
მიგდე, ჩემი მეგობარო და მე შენ გიამბობ ერთ ამბავს, ბავშვობიდან  
გულზე ლოდად რომ მაწევს. მე იგი ბაბუაჩემმა მიამბო, ხოლო ბაბუას  
თურმე ბაბუამ, ესე იგი ამბავი ძველისძველია,

იყო ერთი ვეფი — ვეფხას ეძახოდნენ. იყო ერთი გოგონა — გუ-  
გულის ეძახდნენ. ევფხა მარდი იყო და ფიცხი, ვითარც ვეფხი. გუგული  
ტანწერწეტა და ნაზი იყო, ვითარც... არ ვიცი რას შევადარო. ერთი გო-  
რის აქეთ სახლობდა, ხოლო მეორე — გორის იქით. ვაჯს შეუყვარდა გო-  
გონა. გუგულის შეუყვარდა ვეფხა. ისინი აქ, ამ გორის ყველაზე უფრო  
მყუდრო ადგილას ხედებოდნენ ერთმანეთს, წითლის ძირას, ახლომახლო  
სახლობდა ერთი ბებრუხანა ქალი, რომელიც გაუთხოვარი დარჩა და  
სხეისი ბედი შურდა. თუ გაიგებდა, ამ ვაჯს ის გოგო უყვარსო, შურისა-  
გან დაწვებოდა და აბოლდებოდა. ჭორების გუდა იყო ბებრუხანა. შხამს  
დათესავდა ორთა შორის, გველს გადაპყიდებდა გველს. მკვლელობაც კი  
მომხდარა მისი ჭორების გამო. პოდა, ამ ბებრუხანამ შენიშვნა, რომ სა-  
ლამოობით ამ წითლის ძირას გოგო და ბიჭი ხვდება ერთმანეთს. ბებრუ-

ზანას თვალს აკლდა და შორიდან ვერაფერს არჩევდა, სამაგიეროდ გამოცნობის უტყუარი გუმანი ჰქონდა... და ამ ხმით ამოიცნო გერმანული მერე ქალი. ვეფხა და გუგულია, გაივლო გულში. ერთ საღამოში წრიული ახლომახლო ბუჩქებში ჩაიმალა და დაუცადა მიჯნურთა გამოჩენას. აი, ისინიც გამოჩნდნენ, წიფლის ძირას დასხდნენ. „პო, ნამდვილად ის გო-გოა, გუგულია... პო, ნამდვილად ის ვაერა — ვეფხა“ გაივლო გულში... და რაღაცამ გულში უკბინა. „მე მიყვარდა გუგულის ბაბუა. მისთვის სული მელეოდა, მაგრამ მე კი ორა და ვიღაც ფეხბურდლიანი გოგო ითხვოვა. ვახ, როგორ გული მტკივა ახლაც... და თუ შევძლებ, მის ბადიშს სიცოცხლეს მოვუწამლავ, არ ვაღირსებ ბედნიერებას“, ამბობდა გულში ბებრუხანა. დაასმინა ძმას ასლანს, შენი და ცუდ საქციელს სჩადის, ვეფხას ხვდება ღა-მით, ვეფხა კი ეხვევა და ჰკოცნის. ეს როგორ შეიძლება, როგორ შეიძლება! ასლანსაც ერთი გოგო უყვარდა და ისიც ყოველ საღამოს ხვდებოდა ტრფიალს, ტუჩებს უკოცნიდა, მარწვევის ტუჩებს გოგონას და სტებო-და. ამიტომ ასლანმა არაფერი უთხრა დას. დააბეჭდა გუგული დედას. დედაც გაჩუმდა, მასაც ახსოვდა შეხვედრა სატრაფოსთან და უგემნია მა-ლული კოცნის სიტებოება. არაფერი გაუვიდა ბებრუხანას.

შორს მთა რომ მოჩანს, იმ მთის ძირას ყიზილბაშები ცხოვრობდნენ. უსაქმურნი იყვნენ და ძარცვა-გლეჭით ცხოვრობდნენ, მაგრამ ამ სოფლა-მდე ვერ აღწევდნენ; მერე კი ამ სოფელსაც შემოეჩივნენ. ყიზილბაშები სოფელში მონახავდნენ ხოლმე ისეთ კაცს, რომელიც უზალთუნზე გაპყი-დდა მამულ-დედულს, და ასეთი აქაც მონახეს — ბებრუხანა. ეს საძაგელი ბებრუხანა მარცვალ-მარცვალ უამბობდა ხოლმე, რაც კი იცოდა.

— ჰერ, ყიზილბაშო, კარგი გოგო არ გინდა? — ჰეითხა ერთხელ ყი-ზილბაშსს ბებრუხანამ.

— როგორ არა — უპასუხა ყიზილბაშმა.

— ჰოლა, მე მიგასწავლი კარგ გოგოს, დუნია რომ მოიარო, ვერსად ნახავ იმისთანას.

— ვერ მიგვასწავლი სახლს, ბებრუხანავ?

— ერთ ოქროს თუ მომცემ, კი მიგასწავლი.

— მერე და შენი გოგო ამდენი ღირს?

— ღმერთს ვეფიცებით, ათ ოქროდ გაყიდით.

— აბა, მომიცია, — და ყიზილბაშმა ოქროს ფული კალთაში ჩაუგდო.

ბებრუხანამ ასწავლა გოგოს ასავალ-დასავალი, და ისიც უთხრა. გო-გოს შეყვარებული ჰყავს, მაგარი ბიჭია და ფრთხილად იყავითო. ყიზილ-ბაშები დაუდარაჯდნენ ღამით.

აი, მთვარე რომ ამოვიდა (და ადრე ამოვიდა მთვარე), მაშინ მიჯნუ-

ქთა აჩრდილებიც ალიკლიცინენ წიფლის ძირას. მთვარეზე ხანჯალი კო  
პლაპებდა, ბიჭის იგი წელზე ეკიდა. უიარაღოდ არ უყვარდა ღამიურს სულის  
რული. როცა ბიჭი გოგოს ტუჩებს დასწედა და ბადაგმა გააბრუნებულია  
დროს თავს დაესხნენ ყიზილბაშები, მოულოდნელი რამ მოხდა აქ... ვეუ-  
ხამ ორ ყიზილბაშის სული გააურთხობინა, გოგოს კი ქვა ეჭირა ხელში, გა-  
თლილი, წვეტიანი ქვა, ზედ რომ წინაპარს რაღაც აღებეჭდა, მაგრამ ვინ  
იყო მისი წამკითხველი. იგი ამ ქვით იბრძოდა...

ორნი რამდენ გაუმკლავდებოდნენ!

დასჭრეს ვეფხა.

ატირდა გუგული.

ერთი კიდევ მოჰკლა ვეფხამ.

ერთი კიდევ დასჭრა გუგულიმ.

ყიზილბაშმა სასიკვდილოდ დასჭრა ვეფხა.

გავეჭხდა გუგული და ერთ ყიზილბაშს საფეთქელში ჩაარჟო წვეტი-  
ანი ქვა.

ყიზილბაშს სულთამხუთავი სწვდა ყელში და გაგუდა.

ყიზილბაშს მიეშველა ყიზილბაში. კიდევ დასჭრეს ვეფხა. კიდევ  
მოიშველია ქალმა ქვა და გულში იძგერა ყიზილბაშს. ო, აღარ ახსოვს,  
შეტი მას.

ყიზილბაშებმა ტომარაში ჩასვეს და მოებისკენ გააქროლეს. მაგრამ  
სად წაუვილოდნენ სოფელს. გაუგეს, აღსდგნენ, დაედევნენ, ჩეხეს და  
ჩეხეს ხანჯლებით... „ამ ქალის ბრალიაო, კველაფერი ეს“ და ერთმა ყი-  
ზილბაშმა ხანჯალი ჩასცა გულში ვეფხას სატრფოს...

სად არის ვეფხა? იქ წიფლის ახლოს ძინავს მას საუკუნო ძილით...

სად არის გუგული? და მასაც აგერ ჩასძინებია, ისე რომ ვეღარასო-  
დეს გაიღვიძებს.

მერე რა მოხდა? ყიზილბაშები როს ამოსწყვიტეს, მერე მიხედეს მი-  
ჭნურებს. მერე... იქ სოფლის გულში ორი კუბო იდო და ხალხი ცრემლად  
იღვრებოდა, ხალხი ჰვოდებდა. გულზე აყრიდნენ ყვავილებს, ფერადს  
და სურნელოვანს. მერე ასწიეს ორი კუბო და... იქ აიტანეს, საღაც. გორია,  
გორი ლამაზი, ხავერდოვანი, ყვავილოვანი... და იქ დამარხეს წყვილად,  
მხარიმხარს.

მის შემდეგ იმ გორას ეძახიან შეყვარებულთა გორას, ხან სიყვარუ-  
ლის გორას. ო, როგორ მიყვარს ეს გორა!

აი, უკვე სიყვარულის გორაზე ვარ. აქედან ხელისგულივით მოჩანს  
ქალაქი, ზღვა, გემები. რა კარგი გადასახედია! რა ლამაზია ჩემი ქალაქი.  
ოდეს ვატარა იყო, მერე და მერე გაიზარდა. დახე, სანამდე გაუშლია კა-

ლოთები, მყერდზე თვალმარგალიტები დაუბნევია. ერთი მწერალი  მემუარებში წერდა: — ის, იქ კათოლიკური ეკლესია რომა, მფლობელური ში გაუვალი ტყეები და ჭაობები იყო, რჩე გარეული ღორები დაწორებული რომ, ვნადირობდით კიდეცო. ახლა? ერთი შეხედე, რა დიდებული რამ არის!

## ამბავი მერვე

### ჩაუმარალი ჩირალდანი ანუ გახსენება მეცოთი

ჩემო ძეირფასო მოყვასნო, უკვე ღამდება და ჩვენი უამიც დადგა. უნდა გავაგრძელოთ „ჩემი დედულეთის“ კითხვა. აქ არის ცყველა? ჰო, აქ არიან — დეიდა ხატიჯე, სულო ბიძია, ქაზიმ მეჩინგურე, გულო... ხომ არ გვაკლია ვინმე? ხომ არ ეწყინება ვინმეს? განვაგრძოთ კითხვა?

— გავაგრძელოთ კითხვა, გავაგრძელოთ, — თქვა ქაზიმ მეჩინგურემ, — ვის უნდა ეწყინოს. ვინც დაინტერესებულია მოგისმინოს, აქ არის.

— აბა, ცყვლას ხომ ვერ მოვუცდით. იქნებ ზოგი არც კი მოვიდეს. ვინ იცის რა საქმემ დააკავა, გავაგრძელოთ, გავაგრძელოთ, — კვერი დაუკრა გულომ. მაგრამ ჩემთვის აუცილებელი იყო კიდევ ერთი ადამიანის დასწური. იგი დუმდა. ვინ იცის რაზე ფიქრობდა. ჩემმა შეკითხვამ, დავიწყოთ თუ არა დეიდა ხატიჯე, ბურანიდან გამოარკვია იგი.

— დავიწყოთ. გააგრძელე ჯემალ, ჩემი თავი გეყურბანოს, — თქვა და ალერსით თავზე ხელი გადამისვა. დედის ხელივით ტკბილი იყო დეიდა ხატიჯეს ხელი. დედა მომავინდა და ლამის თვალიდან ცრემლი გადმომივრდა. ეს შემნიშვნა დეიდა ხატიჯემ, — გულში ჩაგხედავდა უმალვე და შენს ტკიცილს გულთან მიიტანდა.

— შენ რაღაც გაწუხებს, ჩემო ჯემალ.

— არაფერი, დეიდა ხატიჯე, არაფერი. — ვცადე ჩემი სევდის დამალვა და განვაგრძე: — სმენა იყოს და გაგონება, მე ვიწყებ.

ოქენე აღბათ გახსოვთ რაზე იყო ლაპარაკი წინა თავში. მაგრამ კვლავ გაგახსენებთ. ხომ გახსოვთ, აჭარლების დეპუტაცია თბილისში წავიდა და მას გაპყვა ჩვენი ქაზიმ მეჩინგურეც. დეპუტაცია დავვიბრუნდა, მაგრამ მას არ ჩამოჰყოლია ქაზიმ მეჩინგურე, იქ დარჩა რამდენიმე დღეს, თავკაცებმა შემოიტოვეს. მერე დაასაჩუქრეს ძეირფასი წიგნით „დედა ენით“ და გამოამგზავრეს სახლისაკენ. თბილისის ვაგზლამდე მოაცილეს, თავკაცებმა და მატარებლის გასვლამდე ეალერსებოდნენ. დამშვიდობებისას ზაქარია ჭიჭინაძემ უთხრა...

— ვინ იყო ზაქარია ჭიჭინაძე? — შემეკითხა დეიდა ხატიჯე.

— ეს იყო დიდი მწიგნიბარი, სამხრეთ საქართველოს, კურძოდ აჭა-

რის დიდი მოყვარული ადამიანი. ხშირად ჩამოდიოდა აჭარაში, ჩატარებული ნდა ქართული წიგნები და უფასოდ არიგებდა. ამბობენ, რომ ჰელენ აბდულ მიქელაძეს, ყვავილის საუკეთესო მკურნალი რომ იყო, მაგრა ამავე კართული წერა-კითხვა. აბდულის ცოლ-შვილსაც კი შეასწავლა ქართული წერა-კითხვა. შინაურად თვლიდნენ და არც კი ემალებოდნენ მას. ქალები... აბდული მერე თბილისის გაზეთების კორესპონდენტი იყო და აჭარის ჭირ-ვარამზე ბევრი წერილი გამოაქვეყნა. მას პატივს სცემდა. ილია ჭავჭავაძეც... პოდა, ქაზიმს ზაქარიამ უთხრა:

— აბა, შენ იცი ქაზიმ მეჩონგურევ, შენი იმედი გვაქვს, „დედა ენა“ იმიტომ კი არ გაჩუქრეთ, რომ შეინახო თაროზე. დღეიდან შენს ოჯახში ყველა უნდა დაეწაფოს ამ ძეირფას წიგნს. შენ იცი წერა-კითხვა და შენ უნდა ითავო ყველაფერი ეს.

ქაზიმ მეჩონგურემ ფიციფით აღმოთქვა:

— ო, რა ხანია გვენატრება „დედა ენა“. უდაბნოში მგზავრს წყალი რომ მოსწყურდება, ისე გაწყურია. მერე მგზავრი რაზისს გადაეყრება და ისე ხარბად დაეწაფება, თოთქოს სხეულის ყოველი უჯრედით ისრუტავდეს წყალს, ჩვენც ასე დავეწაფებით „დედა ენას“, ჩვენ დიდ წყურვილს მხოლოდ ის მოვეიყლავს. ღმერთმა მომკეთოს ენა, მეხიც დამეცეს თავ-ზე, თუკი „დედა ენა“ ჩემი ოჯახის ყველა წევრს არ შევასწავლო. და სოფელშიც მსურველები როგორ არ იქნებიან. გვიცავთ, იმათაც შევასწავლი „დედა ენას“. — და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. ქაზიმ მეჩონგურის სიტყვის გული აუჩუკა ზაქარიას, ცრემლი მოერია.

დიახ. დიდი სიყვარულით დაემშვიდობენ ქაზიმ მეჩონგურეს და გზა მშეიდობისა უსურვეს.

\* \* \*

ქაზიმ მეჩონგურემ შორიდან თვალი რომ მოავლო მშობლიური ქალაქს, მთა მტრიალაზე ბრდლიალა მზე ამოდიოდა.

ზღვას ორთქლი ასდიოდა. ზღვა იტწეოდა ჰამაკიუთ. ტალღების ტყლაშენი არემარეს ალვიძებდა.

„მომნატრებია ჩემი ქალაქი“, — ვაიოლო გულში ქაზიმ მეჩონგურემ. ერთი... ორი სადგური და პა, ქალაქში შეიქრა მატარებელი. „ესეც ვაგზალი“, თქვა ვიღაცამ და სარქმელს მოშორდა. ყველა ფაცი-ფუცუპობლა. ქაზიმ მეჩონგურე არ ჩქარობდა. „დედა ენა“ გულდასმით მოსინგა, შეათვალიერ-შემოათვალიერა, იღლიაში ამოიღო და ვაგონიდან გადმოვიდა. ფეხებიარი განვლო მინგრეულ-მონგრეული ქუჩა. ყავახანასთან მოლა მეფეზე განვლო მინგრეულ-მონგრეული ქუჩა. ყავახანასთან მოლა მეფეზე განვლო მინგრეულ-მონგრეული ქუჩა. იგი ვაიზებს კითხულობდა ხოლმე სოფლებში და ეს ვლუდი შეეფეთა. იგი ვაიზებს კითხულობდა ხოლმე სოფლებში და ეს ისლამის ქადაგი ბევრ ფულსაც ხვეტავდა. პარასკევობით (აქაურები) ჭურის

მა დღეს ეძახიან, განსაკუთრებულ სალოცავ დღედ ითვლება) არენაზე-  
ლით უყვარდა ჯამეში მისვლა. დღეს ხომ ჭუმა დღე იყო და მეტადან მეტ-  
ლუდს ჯამესაკენ მიეჩქარებოდა. ქაზიმ მეჩონგურეს არ უყვარდა მარტინი  
მევლუდი, ნავსი კაციაო, და თავის არიდება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა  
და მიესალმა. მევლუდი მასთან მივიდა და ყასიდად შეეკითხა:

— ეს ურანია თუ თებარექე?

→ არც ერთი და არც მეორე.

— აბა, მაჩვენე, ვნახო რა არის, — და ხელი გაიშვირა ქაზიმ მეჩონ-  
გურისაკენ. მეჩონგურემ უკან დაიწია, ვერ მოგცემო და წასვლა დააპირა.  
შევლუდი შათოანი კაცი იყო და მეჩონგურეს გუმანს მიუხვდა. „ქაზიმი  
გიაურების წიგნებს კითხულობს. ახ, ალაპის და წმინდა მუჰამედის მო-  
ლალატე!“ → მრისხანედ გაივლო გულში, ხოლო ქაზიმ მეჩონგურეს ხმა-  
დაბლა უთხრა:

— არ გარებს ჭო, გიაურების წიგნების კითხვა. ცოდვაა, მაგი სახლ-  
ში არ შეიტანო, არ დაავსო შენი ოჯახი. შენ ისეთი დიდნენე გყავს, ვიცი  
დაგიხევს და ცეცხლში ჩაგიყრის მაგ გურჯი ქითაბს. ახიც იქნება შენზე.  
და მეც ჯამეში ხოჯას შენს ფეთვას გადავაცემინებ, რომ ამიერიდან ამ-  
ოწყდეს შენი ჯილაგი.

ქაზიმ მეჩონგურე არ მოერიდა მოლას, პირიქით უფრო გააღიზიანა  
პასუხით:

— ეს ისეთი წიგნია, ყველას ენას რომ ამოადგმევინებს. ამიტომ ღმე-  
რთი არ გამიწყრება ამ წიგნის სახლში შეტანისათვის. მაშასადამე, არც  
დიდნენე გამიწყრება.

— ვნახოთ, ვნახოთ, — მწყრალად თქვა მოლა მევლუდმა. მეჩონ-  
გურემ ბოლიში მოუხადა, მეჩქარებაო, და გზას გაუდგა. უყურა, უყურა  
შოლა მევლუდმა, ვეღარ მოითმინა და მუქარასავით მიაძახა:

— ბოლოს ინანებ შე გიაურო, ინანებ, მაგრამ გვიან იქნება სინანული.  
დაგწყევლით, ფეთვას გადაგცემთ და დაივსება შენი ოჯახი. ჭინჭარი ამო-  
ვა შენს ნასახლარზე. — მწყრალად თავი გააქან-გამოაქანა და თავის გზას  
გაუდგა.

„საზიზლარი კონჭოლოზი“, ხმამალლა თქვა ქაზიმ მეჩონგურემ და  
ზღვის სანაპიროსკენ გადაუხვია...

\* \* \*

გულდათუთქული მიღიოდა სახლისაკენ ქაზიმ მეჩონგურე, რამ გადა-  
ჰყარა ამ დილით მოლა მევლუდს!

სოფელში პირველი ყარამან ბიძია შეხვდა. ხელი „დელა ენას“ შეავ-  
ლო და ჰყითხა სად იყიდეო. ქაზიმ მეჩონგურემ ყველაფერი უამბო. აღ-

ფრთვანებულმა ყარამანმა ხელები ლოცვად აღაპყრო და ცას  და:

— ო, დაილოცოს „დედა ენავ“ შენი შემქმნელი იაკობ გოგიაშვილის ჩვენს ხალხს აწი, არაფერი უჭირს. კურთხეულ იყავ, კურთხეულ, წმინდა წიგნი! — მერე ქაზიმის მიუბრუნდა: — ჩემო ქაზიმ, ეს სიბრძნეა ჩვენი, ჩვენი აშშყო და მომავალია. „დედა ენა“ შენს სახლში რომ იქნება, აღარაფერი გავიჭირდება. ქაზიმ, ხომ ხელავ, როგორი ყურყუმეთი სიბრძნელითაა მოცული ჩვენი სოფლი. სიბრძნეში და სიღარიბეში იღრჩობა. თუ კი შენ მოინდომებ, შენი მეზობელიც ისწავლის, შენი ნათესავიც, მერე მთელი სოფელი... აჭარას ეს წიგნი რომ ჰქონოდა... ჰე... — მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, თითქოს ლამპარიათ და ბრელი გზა გინათა, — ეს წიგნი რომ ჰქონოდა, რა იქნებოდა აჭარა! ის კაცი ვინც „დედა ენა“ გაჩუქა, დღეგრძელი იყოს, — იგი ვადაეხვია ქაზიმს და გადაკოცნა. ერთხანს ისაუბრეს, ამ მთისა და იმ მთისა თქვეს. ბოლოს დაემშვიდობენ ერთმანეთს.

— შენ არამარტო ჩვენი სოფლის, მთელი აჭარის საყვარელი ახალგაზრდა ხარ! — მიაძახა ყარამან ბიძიამ ფეხქარა მიმავალ ქაზიმ მეჩონგურეს. ქაზიმი მაღლობის ნიშანდ ხელს უქნევდა. აღფრთოვანება მოემატა ქაზიმს. წალინ თუ გული მოუწამდა მოლა მევლუდმა, ახლა ყარამან ბიძიამ გაუხარა, აუყვავა, ნეტარების ნექტარით აავსო. ო, რა დიდი ძალა აქვს კაი კაცის დალოცვილ სიტყვას!

\* \* \*

ქაზიმ მეჩონგურე თავის სახლს რომ მიუახლოედა. მოლა მევლუდის სიტყვები გაახსენდა: „შენ ისეთი დიდნენე გყავს, ვიცი დაგიხევს და ცეცხლში ჩაგიყრის მავ გურგი ქითაბს“. მისი დიდნენე, პავახანუმს რომ ეძახიან, ისლამის თავდადებული მორწმუნეა, პირწმინდად ასრულებს ისლამის წესებს. ხოჯათან კარგადაა ვანსწავლული და ყურანს თავისუფლად კითხულობს, ზოგიერთი სურა ზეპირადაც იცის. მას აქვს საკუთარი ყურანი, მაგრა ყდოში ჩასმული. ყოველ საღამოს, ძილის წინ, გადაშლის ყურანს და კითხულობს. სულით და გულით კითხულობს. ბოლოს — ჰუუ, ჰუუ, გადაიბერეს მარცხნივ და მარჯვნივ და თავის საწოლ მოთხში შევა, ყურანს დადებს თაროზე და გაშლის ლოგინს. დაწოლისას ხმამაღლა იტყვის — „ბისმილლა“, ხოლო როცა დაწვება, დიღხხანს რაღაცას ჩურჩულებს. პავახანუმი აღაპის უერთგულესი მსახური რომა, ეს მთელმა სოფელმა იცის, ეშინიათ მისი დაწყევლისა. ამ ქალს ღმერთი გაუგონებს. ქაზიმ მეჩონგურე წინასწარ გრძნობს, უკმაყოფილება მოუვა დიდნენესთან, მაგრამ დაუთმობს კი ქაზიმ მეჩონგურე? არა, არ დაუთმობს

არც დიღნენეს და არც არავის, თუ ეს „დედა ენას“ შეეხება. დიღნენები, ამ ზეიადმა ქალმა, კარგად იცის ბადიშის ხასიათი — რასაც დაიჩვენები, ვერავინ გადაათქმევინებს, ფოლადივით მტკიცეა. ისიც უნდა უკუცის უკუცის რომ ქაზიმს დიღნენეს დიდი რიდი აქვს, მისოვის სიტყვა არასოდეს შეუბრუნებია. დიღნენეც ხშირად იტყვის ხოლმე — ჩემი ქაზიმი თავსაც კა მირჩვნიაო, და ასეთი ადამიანის განაწყენება ეძნელება ქაზიმ მეჩონგურეს. „ან რაზე უნდა განაწყენდეს? „დედა ენა“ ხომ მადლით მოსილი წიგნია. იგი ყველამ უნდა შეიყვაროს, დიღმაც და პატარამაც, ქალმაც და კაცმაც. დიღნენესაც შევაყვარებ“ — ფიქრობს მეჩონგურე.

ამიერიდან ერთ სახლში უნდა იდოს ყურანი და „დედა ენა“. ამას ხომ ჭიდ ცოდვად ჩათვლის ჰავახანუმი? ვნახოთ, როგორ შეხვდება ამ ამბავს.

\* \* \*

სახლში დიღნენე დახვდა. დაგავიანდა და ედარდობდითო, ეს იყო დიღნენეს პირველი სიტყვა. როცა მეჩონგურემ სახლში ფეხი შეაბიჯა. ზადიშმა დაუყვავა მოხუცს, ამხელა კაცს რა გამიჭირდებაო, კარგ ხალხში ვრყავი და კარგი რამებიც გავიგონეო. მერე „დედა ენა“ საგულდაგულოდ შეინახა თაროზე. დიღნენე დაინტერესდა და ჰკითხა, რა არის ეს.

— „დედა ენა“ — უპასუხა ქაზიმ მეჩონგურემ.  
— რა არის „დედა ენა?“  
— „დედა ენა“ ესე იგი, დედის ენა. შენი ენა დიღნენევ, შენი.

ვერაფერი გაუგო დიღნენემ და თაროს მიაშურა. ჩამოილო „დედა ენა“ და გაოცებით დაცექრდა.

— რა ენაზეა დაწერილი?  
— ჩვენს ენაზე, ესე იგი ქართულ ენაზე.  
— მაშასადამე, გურჯების დაწერილი ქითაბია, არა?  
— ეს დიდი ჭკუინი კაცის, ჩვენი ხალხის დიდი მოსიყვარულე კაცის დაწერილია. ბავშვმა ამით უნდა ითდგას ენა. დღეიდან შენც უნდა გასწავლო „დედა ენა“, ჩემო საყვარელო დიღნენევ, — ალერსით უთხრა ქაზიმ მეჩონგურემ ბებიას. — დიღნენე შეცბა, მისდაუნებურად „დედა ენა“ ძირს დააგდო და იყვირა:

— ეს რა ვქენი, ცოდვა ჩავიდინე, გიაურების წიგნს ხელი მოვკიდე, ღმერთო მაპატიე, ღმერთო მაპატიე, — და ქვითინი აუვარდა.

— დაწყნარდი დიღნენე, დაწყნარდი, არაფერი ცოდვა არ ჩაგიდენია. მალე ეს წიგნი იქნება ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ჩირალი. — უთხრა ქაზიმ მეჩონგურემ და დიღნენეს მოქვითა, დიღნენეს ესიამოვნა ბადიშის მოხვევა, მაგრამ გულს ვერ მოერია, გამწყრალ გულს და ბადიში ხელის კვრით მოიშორა. მეჩონგურე წიგნს დაეტანა, ხელი დასტაცა და თავის

საძინებელ ოთახში შეიტანა, ხელი არავინ მოკიდოსო, გააფრთხილა ქვე-  
ლა. დიღნენ „ცოდვიან“ ხელებს დიღხანს იხეხავდა საპნით.



\* \* \*

პირველი დამის სიზმარი. ჰავახანუმი საღლაც მიემგზავრება. ძნელსა-  
ვალს მიადგა. აქეთ ქარაფი, იქით ქარაფი, მარჯვნივ კი დიდი შავი მდინარე  
ჰქუებს. მდინარეზე გაკიდული ბეწვის ხიდია. ბეწვის ხიდს თუ კი გაივლის,  
აღარაფერი უცირს, სამშვიდობოზე გასულია. აი, საცაა გააღწევს კიდეც  
მეორე ნაპირზე... და უცებ წინ გადაუდგება ჩალმიანი კაცი.

— შესდევი, ვერა მხედავ? ალაპის მოციქულის წმინდა მუხამედის სუ-  
ლმა ვამოგზავნა, მისი მსახური შეიხი ვარ. შენ დიდი ცოდვა ჩაგიდენია  
და ამ ბეწვის ხიდიდან მდინარეში უნდა გადაგაგდო. — უთხრა შეიხმა.

— აჲ, შემიბრალე შეიხო. მე არაფერი ცოდვა არ ჩამიდენია, არაფე-  
რი. სულ ყურანს კითხულობ და ვლოცულობ. რამაზანი მოვა და ვმარ-  
ხელობ, ლოცვას თავს ვაკლავ, ყურბან ბაირამი მოვა და კარგ ცხვარს  
ვალავ წმინდა მუხამედის სახელზე. მეტი რა მოქეთოვვება მე საბრალო  
ჭალს. ისე მოვიქცევი, როგორც შენ მირჩევ. შემიბრალე, — აკანკალდა  
ჰავახანუმი.

— ნუ მალავ, შეითანს კუდში ნუ გამობმიხარ, შენი ენით თქვი რა  
ცოდვაც ჩაიღინე ამ დლეპში, თორემ გადაგაგდებ მდინარეში, — და-  
მუქრა ჩალმიანი.

— ვფაცავ წმინდა მუხამედს, ვფიცავ ალაპს, არაფერი ცოდვა არ  
ჩამიდენია. ნუ მომჟიდებ ხელს. უცხო მამაკაცს არ გაქვს უფლება ქალს  
ხელით შეეხო. წმინდა მუხამედის სული ამის ნებას არ მოგცემს. — ატი-  
რდა ჰავახანუმი.

— ჩქარა, ყველაფერი თქვი, თორემ, — კვლავ დაემუქრა შეიხი.

— არაფერი მახსოვს, — გაუმეორა ჰავახანუმმა. მაშინ ჩალმიანში  
ორივე ხელი ჩავლო ჰავახანუმს და ბეწვის ხიდისკენ წაათრია. შეშინე-  
ბულმა ქალმა ერთი ხმამალლა შეჰქივლა...

და მას გამოეცია, მერე ქაზიმ მეჩონგურეს, მერე კი სხვებს.

დიღნენ კანკალებდა. შეკითხვაზე — რა დაგემართა, რამ შეგაშინაო,  
პასუხობდა. მაცალეთ, გული მიკანკალებს, დილით ყველაფერს გეტყვი-  
თო; თუმცა დილით არაფერი უთქვაშს, ღმერთი მიწყენსო გამუღავნებას.

მეორე დამის სიზმარი. კონდარით ახლად აბიბინებულ კორდზე ზის  
ჰავახანუმი და ყურანს კითხულობს. კითხულობს კი არა, გალობს. საღ-  
იყო და სად არა, უცებ მას გამოეცხადა ის ჩალმიანი კაცი, შეიხი.

— მე ღმერთის მოციქულის წმინდა მუხამედის სულმა გამომგზავნა.  
შენს სახლში დიდი ცოდვა ტრიალებს. თუკი ასე გაგრძელდება, შენ ჯეპ-

წერმში ამოგაყოფინებ თავს. — ეს ისე მრისხანედ თქვა და ხელისაჩი ისე მაგრად დაჰკრა მიწას, რომ მთა ექოდ აგუგუნდა. გაიპო მიწა და უც-სკრულად იქცა. უფსკრულში მოჩანდა შავი წყალი, რომელი მიწა უც-სკრულად და შეცეცებს ისროდა. — აი, ამ კუპრის მორევში ჩაგაგდებ, თუკი შენს ოჯაშში ცოდვის მორევს არ დააშრობ.

— არაფერი ცოდვა არ ჩამიდენია. მე წმინდა ვარ, წმინდა. — აყვი-რდა ჰავახანუმი. შეიხმა ხელი მკლავში ჩაავლო და უფსკრულში გადაგ-დება დაუპირა... და მაშინ საშინლად აკივლდა ჰავახანუმი... გამოეღვიძა. თრთოდა. გამოეღვიძა ქაზიმ მეჩონგურესაც. სხვებიც წამოდგნენ, ვარს შემოერტყნენ, დიდნენეს და გაოცებული ეკითხებოდნენ, რა მოხდაო. დიდნენეს პასუხი ერთი იყო — გული მიკანკალებს, ენა არ მემორჩილება, მაცალეთ, დილით ყველაფერს გეტყვითო, მაგრამ დილით არაფერი უთ-ქვამს, იქნებ ღმერტს ეწყინოს შეიხის გამხელაო.

მესამე ღამის სიზმარი. აივანზე მარტო ზის ჰავახანუმი. ქვევიდან ვი-ღაცის ხმა მოესმა. გადახედა. ისევ ის შეიხი მოსდგომია კარზე.

— მე წმინდა მუჭამედის სულმა გამომგზავნა და დამაბარა, უკანასკ-ნელად გაგაფრთხილო. შენს სახლში დიდი ცოდვის მორევი ტრიალებს. შენ ხარ სახლის უფროსი და ალაპის წინაშე შენ აგებ პასუხს. გამოას-წორებ თუ არა შენს დანაშაულს ჰავახანუმ?

— არ ვიცი შეიხ-ეფენდი, არ ვიცი რაზე მეუბნები. — ათრთოლდა ჰავახანუმი.

— შენს სახლში გიაურების წიგნი ინახება, იგი შენმა ბადიშმა მოი-ტანა. თუკი ხვალ იმ წიგნს ცეცხლში არ დასწვავ, მაშინ ალაპის ბრძანებით ცეცხლს მივცემ შენს სახლს და ერთიანად გადაგბუგავ. გესმის თუ არა ეს? — პასუხს დაელოდა შეიხ-ეფენდი.

— კი, მესმის შეიხ-ეფენდი.

— ალასრულებ თუ არა წმინდა მუხამედის სულის ბრძანებას?

— კი შეიხ-ეფენდი, კი...

და გაქრა შეიხი...

დიდნენეს გამოეღვიძა და აკანკალდა. შიშმა აიტანა, ულმობელმა ში-შმა. რა ექნა არ იცოდა. ქაზიმის რიცი ჰქონდა, თორემ ახლავე ალასრუ-ლებდა შეიხის ბრძანებას. ანდა როგორ არ უნდა ალასრულოს შეიხის ბრძანება. ეს ხომ ივივე წმინდა მუხამედის ბრძანებაა; ეს ხომ ალაპის ბრძანებაა. რა ქნას, რა ქნას საბრალო ქალმა, როგორ მოიქცეს... ფიქრობს და ფიქრობს... და ამ ფიქრებში ჩაეძინა. კვლავ შეიხი გამოეცხადა და მუ-ჭირით უთხრა:

— ხვალ საღამოს მოგაყითხავ. თუკი ჩემი ბრძანება არ იქნება შეს-რულებული, ალაპის ბრძანებით ცეცხლს მივცემ შენს სახლს და შენც შიგ.

ამოგწევავ. — უთხრა და ჩიტად იქცა, და ცაში გაფრინდა, ჰავაზანის  
თვალი ჰქიდა ღრუბლებში, მერე გაუჩინარდა.

დილით შინაურებს განუცხადა, დღეს ჩემს ძმასთან მივდიჭმიული მართვა  
წაკრული ვარ, ღამით გლახა. სიზმრებს ვნახულობ და ხოჯას უნდა ვაკით-  
ხევინო.

იმ დილით ქალაქში წავიდა ქაზიმ მეჩონგურე.

იმ დილით შინაურებიც საქმეზე წავიდ-წამოვიდნენ. შინ მარტო და-  
რჩა დიდნენე, რომელიც ძმასთან წასასულელად ემზადებოდა. შუადღე არ-  
იქნებოდა, რომ გაემგზავრა დიდნენე. უბეში ყურანი ედო და ჩურჩულ-  
ჩურჩულით მიღიოდა. ძმასთან სტუმრობა იმას ნიშნავდა, რომ ერთ თვეს  
მარნე არ დაუპრუნდებოდა თავის სახლს. ასე ხანგრძლივი იყო ხოლმე  
მისი სტუმრობა ძმასთან. დიდნენეს ძმა, სადღაც დაკარგულ სოფელში  
ცხოვრობდა, თუმცა არც ისე შორს იყო ეს სოფელი.

\* \* \*

ქაზიმ მეჩონგურე ორი დღის შემდეგ დაბრუნდა სახლში და უპირ-  
ველესად „დედა ენა“ მონახა. ეძება, ეძება და ვერსად იპოვა. ო, რა დღე-  
დააყენა მშობლებს! ფიცით დააჭრეს, რომ მათ ხელი არ უხლიათ. „დიდ-  
ნენე თან არ წაილებდა, რადგან ხელის შეხება ცოდვააო. იქნებ ცეცხლში-  
ნენე დაწერა ეს გულში მანვილმა გაპერა ქაზიმ მეჩონგურეს და სიმწირისაგან  
დაწერა, ა? „გულში მანვილმა გაპერა ქაზიმ მეჩონგურეს მშობლები. სწუხდა ახლო-  
თვალიდან ნაპერწელები დაპყარა. სწუხდნენ მშობლები. სწუხდა მეზობელი-  
მეზობელი ჰარუნი და მისი მეუღლე საადეთი. იფიცებოდნენ, არაფერი-  
შეგვიმჩნევიათ, დიდნენე დაგვემშვიდობა და წავიდო. ამ დროს მათი-  
ჰატარა ბიჭი სახლიდან გამოტანტალდა და ატიკტიდა:

— იქ, იქ, იქ... — რაღაცას ნიშნავდა ეს სიტყვები. ქაზიმ მეჩონგურე:  
მივიდა ბავშვთან, ხელში აიყვანა და ჰქითხა:

— რაო, ბიჭუნი, რა თქვი?

— იქ, იქ, იქ. — და თითო ნაქილისარისაკენ გაიშვირა ბიჭუნამ. „ეს-  
ბიჭუნა ტყუილად არ იშვერს თითო ნაქილისარისაკენ. იქნებ...“ გაივლ-  
გულში მეჩონგურემ. ხმა აღარ ამოულია, ისე გაუყვა იმ ბილის, ნაქილისა-  
რთან რომ მიიყვანდა. მას მეზობლის ფინია ძალლი დაედევნა. ასე ჩვეოდა.  
ფინიას — ხან დიდნენეს აედევნებოდა, ხან ქაზიმს და ხან მის პატრონს.  
ფინიას კვალდავალ ადევნება არაფერს მოასწავებდა, მაგრამ გუმანს-  
მაინც მოვიკლავო, ფეხრობდა ქაზიმ მეჩონგურე და ნაქილისარისაკენ მი-  
იწევდა... ოცი წუთი და... უკვე ნაქილისარის კედლებთან ტრიალებს. იქით-  
ეცა, აქეთ ეცა და ვერაფერი შენიშნა. გული დაუღონდა... სადღაც ფინია,  
აწკმუტუნდა. ერთი მივალ და ვნახავ რა დაემართა ფინიასო, და ფეხ-  
ჩქარა მიირბინა იქ, საიდანაც წერტუნი ესმოდა. ფინია ბარდებში ტრი-



ალებდა და წკმუტუნებდა. მივიდა ახლოს და რა ნახა: ფინია წინა, თავ-  
შით ჩიჩნიდა ახლად დაბარულ მიწას. მეჩონგურემ ხეს მსხვერულებელი შეატეხა და ბარივით ხელში მოიმარჯვა. ნელ-ნელა ორმოდან მიწა ამოპ-  
ყარა. რამდენიმე წუთის შემდეგ მაგარი რაღაც მოჰყვა. დაუკაუნა ჭოხი,  
დაუკაუნა კიდევ... მერე ხელით ამოასუფთავა, ამოასუფთავა და გამოჩნ-  
და ლოდივით რაღაც. ძლიერსძლივობით ამოიღო სქელ ქაღალდში ვამოხ-  
ვეული ამანათი. გახსნა და რა ნახა — „დედა ენა“.

— ახ, ყველაფერი ეს დიდნენეს ბრალია, დიდნენეს. კი მიყვარს ჩე-  
მი დიდნენე, თავს ვანაცვალებ, მაგრამ ამას არ ვაპატიებ, არა. ჩემს დიდ-  
ნენეს. — ბოლო სიტყვები ისე წარმოთქვა, ეტყობოდა, ბრაზი მორეოდა  
და მტრისას ახლა რომ შეხვედროდა დიდნენე. „დედა ენა“ გულში ჩა-  
ხუტა და ნაქილისარის დიდ გათლილ ქვაზე ჩამოჭდა. ვაღაფურცლა და  
კითხულობს: აი, ია! მერე სოფელს გადახედა. იქედან ხელისგულივათ  
მოჩინდა სოფელი და ქაზიმ მეჩონგურემ სოფელს გადასძახა: — ვიპოვე  
ჩეენი შმინდა საგალობელი!

ქაზიმ მეჩონგურის სიზმარი. ღამეა. საცეცხლურში ცეცხლის ნაცვ-  
ლად რაღაც დიდი ჩირალდანი ანთია. ნეტავ ვინ აანთო ეს ჩირალდანი?  
ჩირალდანის შუქი კუჭრუტანიდან, კარიდან, სარკმლებიდან გარეთ იჭრე-  
ბა და მთელ სოფელს ეფინება. შუქი ბუქს, შუქი მარა რა შუქი, ღვთიუ-  
რი შუქი! უკვირს ქაზიმ მეჩონგურეს, ეს ჩირალდანი საიდან გაჩნდა და  
რა ძალა პქონია! ხელი შეახო თუ არა, იგი წიგნად იქცა, წიგნად, რომე-  
ლზედაც სწერია — „დედა ენა“. და ქაზიმ მეჩონგურე სასოებით გულში  
იხუტებს... და ამ დროს გამოეღვიძა. სარკმელი გააღო და გახედა მზით  
გაჩირალდნებულ მთა მტირალას.

მზე ამოდის!

„დედა ენას“ ხელში დაიჭერს, მზისკენ აზიდავს და ხმამალლა გასძა-  
ნებს სოფელს:

— გილოცავთ, მეზობლებო, მზის ამოსვლას!

(გაგრძელება იქნება)

გრიგორ ჩხაიძე

## პირგელი გასრულება

ავტოსტო იყო, ცხელოდა. გულმა ზღვისკენ გამიშვია. შედარებათ მყულდო აფილი შევარჩიე, გაოფლილი შუბლი ნიავს მიგუშვირე, მეამა. მშერდი ზღვა აკვანიეთ ირწეოდა. დიდხანს, დიღხანს გაცემერდი მის ლურჯ, ოვალურწედენ სივრცეს. იგი ჩემს მოჯარულ ფიქრებს თავის მოლელევ ზეცირთებში არონინებდა და შორს, შორს მიპქონდა თვალურწედენ ჰორიზონტს იქით. ვინ იცის, რამდენხანს ვიყავი ასე, რამდენხანს მარწევდა ზღვის ტალღები.

მოულოდნელად ჰერეხზე დაცვენილი ყავარჯების ხმაურმა მიმახედა. ჩემს - გვერდით ვიღაც უცხოელი მამაკაცი ხელებზე დაყრდნობით ნელ-ნელა დაეშვა და ცხვირსახოცით სახე მოიწმინდა. წინ ვიღაცის ნაცნობი თვალები მედგა, მაგრამ ვისი?.. ახლა ამაზე ფიქრმა ამიყოლია. საიდან, სად მინახავს ეს თვალები? ნეტავ ვინ უნდა იყოს? „მზიური“ ამოვიღე და ასანთი კოხოვე, სანთებელა გამომიწოდა. ნაფაზი დავკარი და სანთებელა უკანვე დაგუბრუნე, გმადლობთ-მეთქი, ვუთხარი გერმანულად. მან შემომხედა. არაფერი უთქვამს. ნუთუ ის არის, ერთ დროს მტრად რომ მოვიდა ჩვენს ქვეყანაში, ნუთუ ის არის? — ვფიქრობდი ჩემთვის. მერე უცებ იმ ნაცნობმა თვალებმა ყველაფერი მომავონა.

არ ვიცი, რა ჰქვია — ფრიცი თუ ჰანსი! ვიცი მხოლოდ, რომ ჩემით არის ცოცხალი, ჩემი წყალობით უცქერის მოწმენდილ ცას, ჩემი წყალობით სუნთქვეს.

მან არც კი იცის, ვინ ვარ მე და მასზე ფიქრით რამდენი ღამე თეთრად გამითენებია!

ჰენ, შენ ჰიტლერელო ჯარისკაცო, ალბათ, გუშინდელივიწო გამსრეუს დიდი დონის თვალუწვდენი ველი. ის დღე, უსახელო ყორლანდული ჟურნალის კვამლით შესუდოული ზეცა. აბა, რა დაგავიწყებს! შენ ხომ იქ დააბთავ-რე შენი ლაშქრობა.

ჩვენ არცერთი არ ვიყავით დონელი. შენ იქ, შენმა თუ არა, მაგნა-ტებისა და ჰიტლერის ნება-სურვილმა მიგიყვანა. ცეცხლითა და მახვილით გამოიარე ასობით კილომეტრი ვარშავიდან წყნარ დონამდე. შენი ნებითა თუ უნებლიერ, ამ თვალუწვერ, ტყითა და მობიბინე პურეულით დაფარულ ველებზე სიკვდილს თესავდი, წვავდი და ანადგურებდი საუკუნეობით ნაშენ-ნაამაგარ სოფლებსა და ქალაქებს, არ ინდობდი ძუძუთა ბავ-შვებსა და მათ თვალცრემლიან დედებს.

კისერზე გეკიდა შავი ავტომატი, იცოდი მხოლოდ სასხლეტზე ხელის დაჭერა და, ალბათ, არასოდეს, არასოდეს გიფიქრია იმაზე, თუ რა უბე-ღურება მოჰქონდა შენი თითის უბრალო მოძრაობას. მანქანად ქცეული მხეცი იყავი და შენი საკადრისიც იწვნიე.

მე დონზე შურისძიებამ მომიყვანა. სკოლის მერხი მივატოვე და სამ-შობლოს დამცველთა რიგებში ჩავდექი.

არ მიყვარდა ომბანას თამაში. ბავშვობილანვე მძაგდა სისხლისოვრა, საკალანდო ღორის ჭყვირილზეც კი ეზიდან გავრბოდი.

საშინელებას მაინც ვერ გავექეცი.

როცა პირველად სამიზნე ფარის წინ დამაყენეს...

იცი რა?! მეც გამიკვირდა — ორმოცდაათი შესაძლებლიდან ორმო-ცდაცხრა ქულა მოვაგროვე. ეს იყო და ეს ჩემი პირველი საბრძოლო ნა-თლობა.

შემდეგ სამხედრო ფიცი, მხარზე რუსული სამხაზიანი უშანა ოპ-ტიკური ხელსაწყოთი და ნელა მოლივლივე წყნარი დონი...

ფრონტი.

ლამე.

ვზიგარ სახელდახელოდ გათხრილ საფარში. ვზიგარ კი არა, მთელი დღე-ლამეა დახოქილი ვდგავარ, ველოდები პირდაღებული მხეცის გამო-ჩენას. ჩემს ახლოს ვიღაც დაჭრილი მთელი ლამეა კვენესის, შველის ით-ხოვს, მე კი ვერ ვშველი.

ცაზე ალიონის ვარსკვლავი ჩაქრა. ჰაერში მაშხალების შხუილმა იკ-ლო.

ეჰ, რა ტებილია ამ დროს ძილი! მაგრამ ერთი წათვლემა და ალარ-არის კაცი.

ჩემს პირდაპირ მთელ ღამეს ტანკი იწვოდა. ზარბაზანს პირდაპირ ცხლი და ბოლი ამოსდიოდა. გარიურაუზე ჩაქრა და ჩაიფერფლა. გათენდა. დამწერი ტანკის მახლობლად ლანდი დაბორიალურული შეჩერდა.

ტანკი ურუანტელმა დამიარა. ნუთუ ისაა?! უნებლიერ შაშხანა აღვმართე და ოპტიკურ ხელსაწყოში გაიხედე. წამი და ვიღაცის ზღვისფერი თვალი ჩემი შაშხანის სამიზნეზე უძრავად დაჯდა. კიდევ ერთი წამი და აღარ იქნება ამ თვალების პატრონი.

მაგრამ უეცრად შაშხანის სამიზნეზე ფაშისტი მხეცი გაქრა და მისი აღგილი ადამიანმა დაიკავა. იგი სრულიად ჩვეულებრივი კაცი იყო, პერნა და ზღვისფერი თვალები, ლამაზი, სწორი ცხვირი, წაბლისფერი წამწამები, ოდნავ მოლიმარი სახე და, ალბათ, ჰყავდა დედა. ეტყობა, რაღაცაზე ოცნებობდა, იქნება დედა, ან გულის სატრფოს ეალერსებოდა. ვინ იცის, ამ წამში ფაშისტი კი არა მართლაც კაცია და მკერდში ადამიანის გული უდევს, სინდისი ქევნის.

ვინ იცის!?

დრო არ იმენდა, სულ ადვილი შესაძლებელი იყო ჩემთვისაც მოეკრა თვალი... ამის გაფიქრება და ის ჩემთვის უკვე კაცი კი არა, თვალხილული მტერი იყო. მტერი, რომელიც ჩემი სამშობლოს მიწას თელავდა. საკმარისი იყო ჩემთვის თვალი მოეკრა, წამიც ეყოფოდა, ხელი არ აუკანკალდებოდა. მე ეს კარგად ვიცოდი.

### რატომ შეჩერდი?

მისი ღაფესჭელად გაშვება არც კი მიფიქრია, მაგრამ ეს ხომ ჩემი პირველი ტყვია იყო. რომელსაც ადამიანისათვის სიცოცხლე უნდა წაერთმია და არა ის სამიზნე ფარი, რომელსაც პირველად ვესროლე. ფრონტზე ასევა — ვინ ეს მოასწორებს.

შაშხანა შევმართე, ოპტიკურ ხელსაწყოში კვლავ ის ზღვისფერი თვალები გამოჩნდა. უცემ წუხანდელი დაჭრილის კვნესა შემომესმა.

წყალს ითხოვდა.

სამიზნეზე უეცრად კაცი გაქრა, მის მაგივრად კამარა შეკრული მხეცი წამოიმართა, თვალები დაკვეთა და ნაკვერჩხლები გაღმოპყარა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ იმ წამს ასე ვარჩიე, უკვე დამიზნებულ შაშხანას ნელ-ნელა თავი დაუუწიე, სამიზნე მუხლისთვის დავუყენე და სასხლეტი მოვწიე.

ვათავდა... მე პირველი ტყვია გავისროლე! დავინახე, დაჭრილს წამოეშველნენ, მაგრამ უკვე წელანდელი გულწილი სნაიპერი აღარ ვიყავი. წუთში ორ მაშეელს ტყვია შუბლში ვესროლე. სროლას სროლა მოჰყავა.

ეინ იცის ყოველივე ეს რით დამთავრდებოდა, რომ ერთ ბრუკან გვეხსენას ჩემთვის მუზარადი არ მოეგლიგა და მიწურის ფსკერზე არ გაეჭვარებული მალე გამოვერკვიე. დაჭრილი არ ვიყავი. ორგვლივ მიმოჟარებული უკავა მარე დავზერე. ის უკვე სამშვიდობოზე გაეყვანათ.

ომის განმავლობაში ვინ იცის, რამდენი ტყვია გავისროლე და რამდენი ჰეტლერელი გავგზავნე საიქიოს, მაგრამ ის პირველი გასროლა ახლაც ოცდათოთხმეტი წლის შემდეგ, სიზმარში თუ ცხადში მაინც თვალწინ მიდგას და მოსვენებას არ მაძლევს.

...გავიდა წლები, ზოგს აღარ ახსოვს, რომ იყო ომი, მაგრამ შენ? შენთვის ომი არასოდეს არ გათავდება.

ახლა ფიურერი აღარ არის, ახალი ცხოვრება დაიწყო, და შენც მოვალე ხარ, ფეხდაფეხ მიჰყევ მას.

ვიცი, ძნელია, ძნელი! გაგიჭირდება, მაგრამ რას იზამ, ცხოვრება-თავისას მოითხოვს, კუჭი გაქვს და ცოლ-შვილი გყავს. ყველაფერი უნდა გააკეთო: უნდა წაილო და მოიტანო, უნდა დასწო და ასწიო. მტერ-მოყვარე ხომ თავისას ითხოვს.

— გიჭირს?

მჯერა, რომ გიჭირს.

მე შემეძლო გამეთავისუფლები ამქვეყნიური მოვალეობისაგან, გასაჭირისაგან. ყველაფერი ერთ წამში დაგავიწყდებოდა. მაგრამ შენზე უფრო კარგად ვის უნდა ეთქვა მომავალი თაობისათვის, რა არის ომი?

ქუჩაში ბავშვებს ვისზე მიეთითებინათ, თუ არა შენზე, შენ ხომ ომის-ცოცხალი მატიანე ხარ! ვისაც არ უნახავს ომი, შენით იგრძნობს, რა არის, ივი!

დიახ, მე სრულებითაც არ მინდა ქვეყანამ დაივიწყოს, რაც მოხდა!

რადგან გადარჩი, შინდა დიდხანს, დიდხანს იცხოვრო, იბრძოლო-სიცოცხლისათვის, ჩვენი პატარების მომავლისათვის.

მინდა ქვეყანას უთხრა, რა არის ომი, რა მოაქვს ომს და რა მოგიტანა-მან შენ, უბრალო ჯარისკაც!

მინდა ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად იყვირო შენ: ადამიანებო, არა დაუმიზნოთ ერთმანეთს თოფი! არ გაისროლოთ პირველი ტყვია!

## სიახლი ესენინი

\* \* \*

სნული და ხნული თვალუწვდენელი.  
კოლომნის სევდა გულზე მეხლება.  
გულს მახატია დღე გუშინდელი,  
რუსეთი შუქად გულში მეღვრება.

სივრცეს თვალებით ვეალერსები,  
ნალი წყრიალით ნაპერწკლებს გაყრის.  
სწრაფად მიჰქრიან უკან ვერსები  
და ოქროს წვიმას მზე პეშვით მაღვრის.

ო, გაზაფხულის თვინიერ ძალთა  
და დიდროობის მრისხანე მხარევ,  
აქ მასწავლებლად ცისკარი მყავდა  
და ვარსკვლავები სხივმოელვარე.

ანბანის წიგნი მე ქარმა მომცა,  
ქარის ბიბლიით აზრიც გავხედნე,  
და ისაიაც თან მახლდა, როცა  
ჩემს ოქროს ძროხებს ვაბალახებდი.



კარგია, სთველში, როდესაც გრილა,  
სულს ბერტყდე ქარით, ვით ვაშლის ხეებს,  
სახნისი მზისა პირმოპირული  
როცა მიაპობს მოლურჯო ღელეს.

მოისვენებ და სულს მოიბრუნებ,  
არ გტანჯავს ლექსი, ვერ თქვი რომელიც.  
თეთრ ტანსაცმელზე მაშინ იზრუნებ  
და მონატრებულ სტუმარს მოელი.

და ვსწავლობ, ვსწავლობ გულმოდგინებას —  
არ დაავიწყდეს თვალს შოთხვი ეგებ.  
გრძნობის მოთოვეით პოებენ შვებას,  
როდესაც ამსხვრევს მძუვნობა ნეკნებს.

გარსკვლავთ სამრეკლო რეკაეს მდუმარედ,  
ფოთლები სანთლად უნთია ცისკარს.  
ველარ შემოვა სახლში სტუმარი —  
მე არ გაეუღებ არავის ჭიშკარს.

ჰა, იგი — ბრიყვი, კეთილი ბედი —  
ბალს გადაპყურებს ფანჯრები ფართო.  
თითქოს დაცურავს წითელი გედი,  
ტბაზე დაისი იმგვარად ნათობს.

მიყვარს სიჩუმის ეს ოქროს წუთი,  
ტბაში არყების ლანდი რომ მოჩანს!  
სახურავიდან ჭირი მთელი გუნდი  
ვარსკვლავებისთვის აღავლენს ლოცვას.

ბალს მიღმა სადღაც ყვავის ძახველი  
და ტოტებს უნთებს შუქი რძიანი,

მღერის ნაზი და ჩუმი ნაღველით  
ნაზი გოვონა თეთრკაბიანი.



ნიავი, როგორც ლურჯი არილი  
მოშრიალებს და მიმწუხარს მოჰყვება...  
ბეღო სულელო და საყვარელო,  
სიყმაწველეო ვარდისლოყება!

\* \* \*

კერცხლის გზაო, ნეტავ სადა,  
სად მიგყაფარ, რას მიქადი?  
წმიდა ხუთშაბათის სანთლად  
ცით ვარსკვლავეო გაღმოგნათის.  
სოქვი, რა მელის — სიხარული,  
თუ სიშმაგის მქონდეს შიში?

თოვლის სუსხი მიყვარს გულით,  
ამ სიყვარულს ნუ დამიშლი.  
თუ მარხილად მომცემ ცისკარს  
და ბზის ტოტის მომცემ აღვარს  
მივაღები წმიდა ბჭის კარს,  
რომ ვიხილო უფლის სახლი.

\* \* \*

ლ. კაშინა

უცოდველი მკერდი,  
მოლისცერი თმა.  
არყო ტანწერწეტო,  
რად ჩასცერი ტბას?

მთვარე შენზე ბოდავს?  
ქვიშა შენზე მღერის?  
რა სურთ დალალ-ტოტებს?  
მთვარის სავარცხელი?

რაზე გიფიქრია  
საიდუმლო მანდე.  
ვეტრფი შენს ჩუმ შრიალს  
შემოდგომის დამდეგს.

„იყოს შენი ნება,  
გეტყვი, — მითხა კვნესით, —  
წუხელ ვარსკვლავებად  
აქ ცრემლს ღერიდა მწყემსი.

მთვარე ჩრდილებს ფენდა,  
ჭეჭილს შუქი ედგა  
და ჩემს შიშველ მუხლებს  
ბიჭი მკლავებს ხვევდა.

ფოთლის შრიალს თიტო  
შისი ოხვრაც გაჰყეა:   
— მაში, შევიდობით უზრიენლული  
გაზაფხულზე გნახავ 

\* \* \*

ცის დარაჯო, შენ გაწუხებ,  
ლურჯი კარი გამიხსენი —  
ანგელოზმა თეთრმა წუხელ  
მოიტაცა ჩემი ცხენი.  
ღმერთს რად უნდა რამე სხვისა,  
მე კი ცხენით ვიყავ კაცი.

მოჭიბეინემ საბრალისად  
ვერ გაწყვიტა ოქროს ჯაჭვი.  
ვერც ქამანდა გადაიგდო,  
ვეღარც აცხრობს ვერაფერი  
და ბალანი ცვივა, თითქოს  
მთვარეს ცვევა ოქროს მტცერი.

\* \* \*

თეთრო ქარებო, წარსული ჩემი  
გაფანტეთ, როგორც თოვლის ფიფქები.  
მინდა, რომ ვიყო უმანკო მრწემი,  
ანდა ღილილოდ გარდავიქმნები.

მე მინდა მწყემსის საყვირის ხმაზე  
მოუკვდე თავს და მოუკვდე ყველას.  
ვარსკვლავთ ეუვანით ყური მაქვს საესე,  
მიმწუხრის თოვლიც ვარსკვლავად ელავს.

ამა მისი უღერა ნაჩნარი,  
ტკივილს რომ ატანს ქარბუქის ფიფქებს.  
მინდა ხესავით, თოვლდანაყარი,  
მეც სოფლის გზასთან ცალ ფეხზე ვიდგე.

მინდა ცხენების ფრუტუნის ხმაზე  
ბუჩქს ჩავეხვიოთ თვალანაცრემლი.  
მთვარის თათებო, მაშ აიტაცეთ  
ცაში ვედროთი ნაღველი ჩემი.

მე მივატოვე სახლი მშობელი,  
 რუსეთის ზეცა თვალშეუდგამი  
 და დედის სევდა ჩაუქრობელი —  
 სამი არყის ხე — ვარსკვლავი სამი.

ოქროს ბაყაყად გართხმია მთვარე,  
 და არ ირხევა მდუმარე წყალი.  
 თოთქოსდა ვაშლის ყვავილი არი,  
 მამაჩემს წვერი უბრწყინავს უღალი.

ვერ დავბრუნდები მე ასე უცებ!  
 თოვლში უჩემოდ იძლერებს ქარი.  
 ისევ დარაჭობს ჩემს ცისფერ რუსეთს  
 ხე ნაკვერჩხლისა, ცალ ფეხზე მდგარი.

ფოთლების წვიმით ვინც არის მთვრალი,  
 მისი თვალები ხალისთ ყვავის.  
 ეს იმიტომ, რომ ის ნაკვერჩხალი  
 თქროსფერია, ვით ჩემი თვი.

## ს უ ლ ი ბ ა ნ ი

ტირიფთა სკორეს სეელი ცოცხებით  
 ხვეტავს წვიმა და მინდვრებს მიპყვება.  
 ქარო აშარო, ფურთხვას მოჰყევი —  
 ვაჩენილი ვართ ჩვენ ხულიგნებად.

მიყვარს ტყეების ლურჯი ხანძარი!  
 ტყეებს ხარები რატომ არ ჰქვიათ —  
 მოაბიჯებენ ფოთლით გამძლარნი  
 და ტანს მუხლამდე სკორეთი სვრიან.



აი მწითური ჩემი ჯოგები!  
 ვინდა უმღერებს მათ ჩემშე კარგად?  
 მე ვხედავ, ვხედავ, თუ როგორ ლოკაჟი<sup>ურუვულები</sup>  
 კაცის ნაკვალევს ბინდი და ჰქარგავს.

ჯარგვლის რუსეთო, ჩემო რუსეთო!  
 შენი მესიტყვე ვარ ერთადერთი.  
 მხეცებზე ნათქვამ ლექსების სევდას  
 ვკვებავდი პიტნით და რეზედათი.

შუალამეო, მთოვარის სურით  
 რძედ ამოხაპე არყის ხეები.  
 თითქოს ვიღაცის დახრჩობა სურდეთ,  
 სასაფლაოზე წახრილან ჯვრები.

დადის უფშური გულშემზარავი  
 და ქურდულ ბოლმას ჩვენს ბაღში ისვრის.  
 მეც ხომ თავხედი ვარ და მჰარავი,  
 თან ცხენის ქურდის მიჩქროლავს სისხლი.

გინახავთ ღამით შუქის ჩახჩახი?  
 ეს თეთრი შოთხვი — ყვავილებს ინთებს.  
 მეც ხომ შემშვერის, როგორც ყაჩალი,  
 ცისფერ მინდორში კისტუნით ვიდგე.

აჲ, ეს თმა, როგორც ბუჩქი გადახმა,  
 ლექსის მონობამ გადამიყოლა.  
 მე მისჭილი მაქვს გრძნობის კატორდა  
 და პოემების ვაბრუნებ დოლაბს.

წუ გეშინია ქარო — იქარე,  
 ფოთლების ფურთხვით იქროლე ველად.  
 მეც სიმღერებში ვარ ხულიგანი,  
 თუმცა პოეტი მქვია სახელად.

ძველი სამყარი — ტყე და ველები  
 სდუმან და ალბათ ალსასრულს გრძნობენ.  
 წაუჭერიათ ყელში ხელები  
 შვაფენილებს და ახრჩობენ სოფელს.

საშინელება მიდამოს უთოვს,  
 ტრიალებს ქარში და აღარ გვინდობს.  
 სალამი შენდა, დალუბვის წუთო,  
 შექს შესხვედრად მოვდივარ თვითონ!

პოი, ქალაქო, რად შეგვეჭიდე,  
 რატომ გვარგუნე ხვედრი ამგვარი!  
 ეგ ტელეგრაფის ბოძები მინდვრებს  
 გულს ჩასობიათ, როგორც ლახვარი.

დაძარლვული აქვს ურჩხულს კუნთები,  
 წნულბოგირებზე გადმოვა მჩატედ.  
 ჩვენ დიდად მაინც არ შევწუხდებით —  
 მიგვარყის და დაგვლუპეს ადრეც.

რა ვჟყოთ, რომ გულს ნალველით აქსებს:  
 მხეცის კანონის სიმღერა მკვლელი!...  
 მონადირენიც წრეს კრავენ ასე,  
 რომ მოიმწყვდიონ მარწუხში მგელი.

მხეცი გაეკრა მიწას, ვით ლანდი.  
 თოფი იქცხებს ვიღაცის ხელში,  
 მაგრამ უეცრივ ორფეება ნადირს  
 მგელი ნახტომით ეცემა ყელში.

ო, ჩემო კარგო, სალამი შენდა!  
 ვერავინ დაგცემს იოლად დანას.  
 შენებრ დევნილი შენსავით ვბედავ  
 იქ გავლას, რენის მტრები რომ დგანან.

მეც შენებრ თვალი ფხიზლად მექნება  
და თუმცა ხარობს ნაღარის ცემით —  
მტრის სისხლით მიწის მაინც შელებავს  
უკანასკნელი ნახტომი ჩემი.

და, დავეც თოვლიან ველზე  
და დავიმარხო, არ მენანება...  
შურისძიება რაღვანაც შევძელ,  
გაღმა ნაპირზე მეტყვიან ქებას.

თარგმნა გიორგი სალუჩვაძე

ეპერ საგენერაცია

## აღ. წულუკი და გევოლუციური მოძრაობა ბათუმი

ლენინური სკოლის პროცესი-  
ონალი რეფოლუციონერის, მარ-  
ქსიმის პროპაგანდისტისა და თე-  
ორეტიკოსის ალექსანდრე (საშა) გრიგოლის ჟე წულუკიდის (1876-  
1905 წ.წ.) ხანძოკლე მოღვაწეო-  
ბაში ნათლად გამოირჩევა ბათუ-  
მის პერიოდი. დიდმა რევოლუცი-  
ონერმა ჩვენს ქალაქში მცირე  
დრო დაპყო (დაახლოებით წელი-  
წადი და ხუთი თვე), მაგრამ უდ-  
იდეს როგორ შეასრულა მარქსის-  
ტულ თეორიაში პროლეტარიატის  
გათვითცნობიერებასა და პოლი-  
ტიკურ შეკვეთისებაში, ქალაქის  
პარტიული ორგანიზაციის შექმ-  
ნაში. მან აქვე დაწერა თეორიუ-  
ლი ხსიათის რამდენიმე შესანიშ-  
ნავი ნაშრომი და სტატია, რომ-  
ლებშიც გამუქა მარქსისტული  
ფილოსოფიის, პოლიტეკონომიი-  
სა და ლიტერატურისმცოდნეო-  
ბის საკითხები.

აღ. წულუკიდე ბათუმში ჩა-

მოეიდა 1900 წლის ივნისში. ეს  
არ იყო შემთხვევითი. პირველი  
მარქსისტული წრე, რომელიც  
1895 წელს შექმნეს ქართველმა  
და რუსმა მარქსისტებმა, 1898  
წელს დაარბია პოლიციამ. ამის  
შემდეგ ქალაქში თითქმის შეწყ-  
და იატაკებება. არალეგალური  
საქმიანობა. ასეთ ვითარებაში მუ-  
შათა მოძრაობის ხელმძღვანელო-  
ბის სადაცები ხელო იგდეს „მე-  
სამე დასის“ მეუმრავლესებმა,  
რომლებიც უარყოფნენ პოლუ-  
ტიკური ბრძოლის იდეას და  
მთლიანად კულტურულ - საგნ-  
მანათლებლო საქმიანობით იფარ-  
გლებოდნენ. ამან საშიშროება  
შეუქმნა მრავალეროვნული და  
მრავალრიცხვანი პროლეტარუ-  
ლი ქალაქის რევოლუციურ მომა-  
ვალს. ამიტომ რსდმპ თბილისის  
კომიტეტმა თავისი ერთ-ერთი ხე-  
ლმძღვანელი ბათუმს სამუშაოდ  
მოავლინა. საშას აქ უნდა გადაე-

წყვიტა ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა, კერძოდ, დაეძლია მესამედასელი მეუმრავლესეები და ემნილებინა მათი ოპორტუნისტული შეხედულებანი, თავის გარშემო დაერაზმა მუშები, ჩამოეყალიბებინა წრეები და შემდეგ, მათი გაერთიანების ბაზაზე, შეექმნა ჟუშარიტად რევოლუციური ორგანიზაცია, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ბათუმის მშრომელთა ბრძოლას პროგრესისათვის.

ამ დიდი ამოცანის მოგვარება აღ. წულუკიძემ მუშათა ე. წ. საკვირაო სკოლიდან დაიწყო და საგებით სწორადაც. ჭერ ერთი, აქ მოღვაწეობდნენ მესამედასელები და მაშასადამე მუშების თვალშინ მათი შეხედულებების კრიტიკას გაცილებით მეტი ეფექტი ექნებოდა. და მეორეც, ეს სკოლა ქალაქის პროლეტარულ უბანში — ბარცხანაში მდებარეობდა. იქ კი გაცილებით ადვილი იყო მუშათა „ცხოვრების, შრომის პირობების, მასების განწყობილების ფართოდ გაცხობა“, აგრეთვე იმის დაღვენა თუ „ვისი მიმხრობა და ჩაბმა შეიძლებოდა ორგანიზაციაში“ (ნ. კ. ურუპსკაია). სწორედ ამ სკოლაში წაუკითხავს საშას ლექციების ის ცილი მარქსისტულ პოლიტეკნიკიში, რომელიც 1902 წელს რსდმპ ბათუმის კომიტეტმა, პროპაგანდისტული მიზნით, ცალკე პროკლამაციებად დაბეჭდა არალეგალურ სტამბაში და დღეს ცნობილია პირობითი სახელმწიფო „რსდმპ ბათუმის კო-

მიტეტის მიერ გამოცემით უკაცლები“. ამას გვაუქმენებულ ავტორის მსჯელობისთვის უკაცლებობის განვითარება, არამედ განსახილველი საკითხების გამართივებული გადმოცემაც. ჩანს, აღ. წულუკიძეს საგანგებოდ უზრუნველი, რომ მცირე განათლების მუშებისათვის გასაგებად მოეთხოო პოლიტეკნიკის ურთულესი საკითხები.

გაკვეთილების შემდეგ აღნიშნულ სკოლაში დამატებით იმართებოდა „ერთგვარი (ე. ი. რევოლუციური შინაარსის — ა. ს.) საუბრები“<sup>1</sup> მუშათა მოძრაობის კარინალურ საკითხებზე, რომლის ინიციატორი აღ. წულუკიძე იყო. კავალია, საშას ლექციებმა და ამ საუბრებმა მებრძოლი სულისკვეთება შეიტანეს საკვირაო სკოლის ცხოვრებაში და დააჩქარეს რევოლუციურ-მარქსისტულ თეორიაში მუშათა გათვითცნობიერება. ამიტომაც იყო, რომ ბარცხანის უნის უანდარმი, რომელიც ფარულად თვალს ადევნებდა სკოლის საქმიანობას, თავის პატივში აღნიშნავდა: „ეს საკვირაო კი არა, რევოლუციური სკოლა არისო“.<sup>2</sup>

მშრომელთა გათვითცნობიერებისათვის დიდი მნიშვნელობა, ჰქონდა აგრეთვე ბიბლიოთეკის

1. დ. კლიფიშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, იხ. მოთხოვნები და პირვებები, თბილისი, 1974, გვ. 779

2 ბათუმის რევოლუციური მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 10, ფურც. 9.

განსანას, რაც 1901 წლის გაზაფხულზე განახორციელეს აღ. წულუკიძემ და ფ. მახარაძემ. იგი მდებარეობდა დღევანდველი პიონერთა პარკის მიდამოებში და, თანამედროვეთა სიტყვით, „მუდამ სავსე იყო მკითხველი ხალხით“. ის რევოლუციური საუბრები, რომლებიც საკვირაო სკოლაში იმართებოდა გავეთილების შემდეგ, საშას აქაც გაუგრძელებია. მართალია, საჯაროდ და ისიც ბიბლიოთეკაში, ხადაც „ათასი ჯურის ხალხი ირეოდა“, ეს რამდენადმე სარისკოც იყო, მაგრამ ლიტერატურულ და პოლიტიკურ კომებზე ან წაეკითხული წიგნების გარშემო ჩატარებული საუბრები. თავისი შედეგებით, გაწეულ შრომას უხვად ანაზღაურებდა.

სხვათშორის, აღნიშნული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდას აღ. წულუკიძე ფიქრობდა ამხანგობა „ცოდნის“ საგამომცემლო საქმიანობის გაფართოების პაზარზე. ეს საზოგადოება. 1899 წელს დაარსეს მესამე დასის ინტელეგნტებმა და მიზნად ისახავდა თეოთვანეოთარებისათვის საკიტო ე. წ. იაფასიანი წიგნების გამოცემის. გათუმში ჩამოსკლისანავე საშა გახდა „ცოდნის“ წევრი, ესტრებოდა მის კრებებს და მხურვალედ მონაშილეობდა საგამომცემლო საკითხების გარკვევაში. სწორედ საშას რჩევით დაბეჭდა „ცოდნამ“ ეგ. ნინოშვილის მოთხოვბა „ქრისტინე“, რუბაინის ნაშრომი „ბუნების საოცარი

მოვლენები“, ბიკოვის გამოკვეთვა „ამბები ინგლისის მაროკი დან“ და სხვ. უკრავული კულტურულ-საგანმანაბრლეტლო

საქმიანობის პარალელურად აღ. წულუკიძე იღვწოდა ბათუმის პროლეტარიატის ორგანიზაციული შეკავშირებისათვის. სკოლის მოწინავე და სანდო მსმენელების მეშვეობით იგი დაუკავშირდა როგორილდის, მანთაშევისა და სიცერიდისის მსხვილი საწარმოების მუშებს და შეუდგა ოსებული წყობილების წინააღმდეგ. ბრძოლისათვის მათ მოშზალებას. არსებითად ეს იყო პროპაგანდიდან მასობრივ-პოლიტიკურ აგიტაციზე გადასცლის დასაჭყიის, რითაც ბათუმის პროლეტარული ძმძრაობა განვითარების ახალუფრი მაღალ საცეცურზე ადიოდა.

აღ. წულუკიძის პრაქტიკული საქმიანობიდან აღსანიშნავია წრე-ობრივი მუშაობის გაჩალება. უკვე 1901 წლის ზაფხულში როტ-შილდის ქარხანაში შეიქმნა მუშათა პირველი არალეგალური წრე, რომელშიც ცხრა კაცი ერთიანდებოდა.<sup>3</sup> მალე ასეთივე წრეები ჩამოყალიბდა გორიოდოქსა და მანთაშევის ქარხანაშიც.<sup>4</sup> ამან და-აჩქარა მუშათა ორგანიზაციული დარაზმევა და არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის გააჭირება. ქუთაისის გუბერნიის ფა-

3 სცა, ფ. 102, ს. 5, ფურც. 31.

4 მლისფა, ფ. 8, ს. 16, ფურც. 223-235.

ნდარმთა გაყიდვილების უფრო-  
ს 1901 წლის ნოემბერში აღნიშ-  
ნავდა: „უკანასკნელ ხანს შეიმჩი-  
ნევა ბათუმის მუშების პოლიტი-  
კური გამოცოცხლება. აგნერუ-  
ლის ცნობით ისინი ხშირად იქრი-  
ბებათ თბილისელი ინტელიგენ-  
ტის თავად ალექსანდრე გიგოს ძე  
წულუკიძის ბინაში და მსჯელო-  
ბენ არსებული წყობილების წინა-  
აღმდეგ ბრძოლის გზებსა და სა-  
შეალებებზე. 1901 წლის ზაფხუ-  
ლსა და შემოდგომაზე როტშილ-  
დისა და მანთაშევის საწარმოებში  
შომხდარი არეულობა ამ მავნე  
საობრების უშუალო ნაყოფია“.<sup>5</sup>

წრეების შექმნა იყო მნიშვნელ-  
ოვანი ნაბიჯი ბათუმის რევოლუ-  
ციური ორგანიზაციის გაფორმე-  
ბისაკენ. სამწუხაროდ, ეს დამაგ-  
ვირგვინებელი აქტი ვერ განხორ-  
ცელდა თვით ალ. წულუკიძის  
მძიმე ოჯახური პირობების გამო.  
ამ არას სისტემატურად ვედი-  
ჭოფობდა მისი მეუღლე, რომე-  
ლიც ვერ იტანდა ბათუმის ჰავას  
და თავის ტკივილებს უჩიოდა.  
ამას დაერთო დიდი მწუხარება  
(ორი მცირეშლოვანი ბავშვის გა-  
რდაცვალება), რამაც უარყოფი-  
თად იმოქმედა საშას სულიერ  
მდგომარეობაზე. იგი ლოგინად  
ჩაიგარდა და რამდენიმე ხნით ჩა-  
მოშორდა კიდეც პრაქტიკულ სა-  
ქმიანობას. მაშინ რსდმპ თბილი-  
სის კომიტეტმა ბათუმში გამოგ-  
ზავნა გ. ჩხეიძე. მას, დროებით

მაინც, საშა უნდა შეეცვალა, მაგ-  
რამ მეუმრავლესების  დეგობის გამო საქმეს თვითურავული  
მოაბა და მალე უკანე გამოიყენება  
და. ბათუმის რევოლუციური ორ-  
განიზაციის მომავალს საფრთხე  
დამუქრა. ამიტომ კომიტეტმა,  
ნოემბრის შუა რიცხვებში, აქ მო-  
ავლინა იოსებ ჭულაშვილი, რო-  
მელმაც მარჯვედ გამოიყენა უფ-  
როსი მეგობრის დიდი მუშაობის  
შედეგები, თავის მხრივაც მოკლე  
დორში ჩამოაყალიბა მუშაობა 11-  
მდე წრე და მათი წარმომადგენ-  
ლების არალეგალურ კონცერტუ-  
ლიაზე 1901 წლის 31 დეკემბერს  
გააფორმა კიდეც რსდმპ ბათუმის  
ორგანიზაცია.

საგულისხმოა, რომ თავის მოღ-  
ვაშეობაში ალ. წულუკიძე ბათუ-  
მით არ იფარვლებოდა და ხშირად  
მიემგზავრებოდა საქართველოს  
სხვა ქალაქებშიც. ილია ბახტაძე  
ადასტურებს, რომ „ალექსანდრე  
წულუკიძე იმ პერიოდშიც, როდ-  
ესაც მსახურობდა ბათუმში... ხში-  
რად დადიოდა თბილისში, ბაქო-  
ში, ქუთაისში, ხონში და... აქ მო-  
წინავე ახალგაზრდებიდან, ინტე-  
ლიგენტებიდან, მუშებიდან, ნოქ-  
რებიდან აყალიბებდა ვიწრო არა-  
ლეგალურ წრეებს“.<sup>6</sup> ცხადია,  
ასეთ მუშაობას სათანადო შედეგი  
უნდა გამოელო და გამოიღო კი-  
დეც. ვ. ძიძიგურის სიტყვით  
„ხონის საოსტატო სემინარიის  
მოსწავლეთა გაფიცვები, კერძოდ

5 სცსა, ფ. 157, ს. 52, ფურც. 18.

6 მლისფა, ფ. 8, ს. 4, ფურც. 263.

1901 წლის ვაურცევა, ერთ-ერთი შედეგი იყო იმ არალეგალური შექმაბისა, რასაც ხონისა და მის შიდამოებში აშარმოებდა ჯგუფი საშა წულუკიძის მეთაურობით".<sup>7</sup>

აღ. წულუკიძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა არალეგალური ლიტერატურის გავზავნას ბათუმიდან საქართველოს სამრეწველო ცენტრებსა და ორინებში. ილ. ჩახტაძე წერდა: „სპეციალური დავალებით ბათუმში ჩაედი, ვინახულე ალექსანდრე წულუკიძე და იქიდან მასწავლებლებში, მოსწოვლე ახალგაზრდობაში, მუშებში და გლეხებში გასავრცელებლად ხონში ჩამოიტანე სხვადასხვა შინაარსის პროკლამაციები... რომელიც ხონში და მის მახლობელ სოფლებში კუხში, გუბში, ჯიხაშში, მთხოვში, ლანირში, შეიტირში და სხვაგან გვაერცელე".<sup>8</sup>

აღ. წულუკიძის რევოლუციური მოღვაწეობა ბათუმში და მის დარგლებს გარეთ შეუმჩნეველი იჩ დარჩა ხელისუფლებას. უანდარმერიამ, ზედიშედ რამდენჯერმე, „გაჩხრივა და ააფორიაქა“ მისი ბინა. მაგრამ იშვიათი კონსპირაციის გამო საეჭვო ვერაფერი უნდა.

ბათუმში აღ. წულუკიძის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერულ-შემოქმედებითი საქმიანობა, სწორედ აქ

დაწერა საშამ შესანიშნავი ნაშრომი „ოცნება და სინამდვირი“, რომელიც შემდეგ ახალი ჭრამუშავები ბით შეაფსო და 1903 წელს უმუშესმყოფა ისში ცალკე წიგნად გამოსცა. იმ ნაშრომში უდიდესი შენშენელობა ჰქონდა ნაროვნიკობის მხილებადასამარებისათვის. მართ აღ ია, ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაასრულა მისი იდეური განადგურება, მაგრამ ობიექტური მიხედვების — საქართველოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო ჩვენში იგი ბოლომდე მოყვანილი არ იყო. სწორედ ეს მისია იყისრა აღ. წულუკიძმ, რომელმაც აღნიშნული ნაშრომით, ქართულ სინამდვილეში, საბოლოოდ უკუაგდო ნაროვნიკული სოციოლოგია და მით დააჩქარა მარქსისტული ფილოსოფიის დამკვიდრება.

ბათუმში ყოფნისას აღ. წულუკიძმ დაწერა სტატია „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“, რომელიც გას. „ბრძოლის“ 1901 წლის ნოემბერ-დეკემბრის ნომრებში გამოქვეყნდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო პირველი პროგრამული, ჰეშმარიტად მარქსისტული დეკლარაცია,<sup>9</sup> რომელმაც განმათვალისუფლებელი მოძრაობის დასკვნით, ე. წ. პროლეტარულ ეტაპზე ამიერკავკასიელ რევოლუციონერებს მისცა სრული ბასუნი ეროვნული საკითხის ადგილსა და

7 ვ. ძიძეგური, მასწავლებლის მოგონებაზე, თბ., 1957, გვ. 32.

8 მოისფა, უ. 8, ს. 4, ფურც. 263.

9 იხ. კრებული, ალექსანდრე წულუკიძე — რევოლუციონერი, მოაზროვნე, თბ., 1975, გვ. 106.

როლზე, პროლეტარიატის სოციალურ ბრძოლასთან მის დამოკიდებულებაზე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მე-20 საუკუნის დამდევისათვის ამ საყითხებზე ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშავება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, ხოლო მარქსის და ენგელსის შეხედულებანი მეორე ინტერნაციონალის ლიდერებს დავიწყებული ჰქონდათ,<sup>10</sup> მაშინ აღნიშნული სტატიის მნიშვნელობა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისათვის კიდევ უფრო ცხადი გახდება.

1900 წლის 13 აგვისტოს ალ. წულუკიძემ გაჩ. „კვალში“ დაბეჭდა წერილი „ახირებული პრეტენზია“, რომელშიც მკაფრად გაფრიტიკა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ქართველ მიმღევართა შეხედულებანი და ამხილა მათი იდეური უმეტება. ამით საშა ქართულ პუბლიცისტიკაში მარქსისტული პოლიტეკონომიის საფუძვლების პროპაგანდასაც ეწეოდა. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესო იყო ბათუმში დაწერილი მისი „რსდმპ ბათუმის კომიტეტის მიერ გამოცემული ფურცლებიც“. ამან და განსაკუთრებით მოგვიანებით, 1904 წელს, გამოქვეყნებულმა საყურადღებო ნაშრომმა „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, რომელიც

10. პრ. რატიანი, ალ. წულუკიძე როგორც მოაზროვნე. ეურნ. „მნათობი“, № 9, 1976, გვ. 167.

ასებითად იყო პირველი ჭარბი ლი მეცნიერულ - პოპულარული დამხმარე სახელმძღვანელების მიერ დესი როლი შეასრულეს ჩვენში მარქსისტული პოლიტიკონომიის დამკვიდრებაში.

ალ. წულუკიძე, როგორც ცნობილია, ნაყოფიერად მუშაობდა ლიტერატურისმცოდნეობის საკითხებზეც და შესანიშნავი წერილით „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ საქართველოში მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა. ამ მხრივ იგი ბათუმშიც მუშაობდა. სწორედ აქ დაწერა საშამფელებონი „მკითხველის შენიშვნები“, რომელიც 1900 წლის 19 დეკემბერს გაჩ. „ნოვო ობოზ-რენიში“ გამოქვეყნდა. ამ სტატიაში მან განიხილა და ყოველმხრივ გაანალიზა დ. კლდიაშვილის შესანიშნავი მოთხოვნა „ქამუშაძის გაჭირვება“, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა მარქსიზმის პოზიციები ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.

ბათუმში ყოფნისას ალ. წულუკიძე აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობაშიც,<sup>11</sup> რის შესახებაც, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირდა.

11 ალ. წულუკიძე მკაფრად აკტიურებდა თვითმმართველობასთან დაკავშირდული ქართველი ინტელიგენტების ბურჟუაზიულ შეხედულებებს, რის შესახებაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის დ. კლდიაშვილი (მისი, ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 725-726).

ებით, რუსულ პრესაში ხუთი სა-  
ინტერესო წერილი დაბეჭდა.<sup>12</sup>

1901 წლის შუა ნოემბერში ალ.  
წულუკიძე ქუთაისს გადავიდა,  
მაგრამ ბათუმის რევოლუციურ  
მოძრაობასთან კავშირი მაინც არ  
გაუწყვეტია. როგორც რსდმპ კავ-  
კასის კავშირის კომიტეტის წევ-  
რი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი,  
იგი 1903-1905 წლებში ხშირად  
ჩამოდიოდა ბათუმში შინაპარტი-  
ული ბრძოლის საკითხებთან და-  
კავშირებით. ამ დროს იგი აწყო-  
ბდა დისკუსიებს მენშევიკების წი-

ნააღმდეგ და განუმარტოვდა  
სებს ბოლშევიკების პრეტრიტულ  
განამტკიცებდა ბათუმში უკამინთურ  
ტის ორგანიზაციულ სტრუქტურ-  
ას, მონაწილეობდა ბოლშევიკო  
არალეგალური სტამბის შექმნა-  
სა და საგამომცემლო საქმიანო-  
ბაში.

ბათუმში ალ. წულუკიძის პრა-  
ქტიული და თეორიული მოღვა-  
წეობა საინტერესო ფურცელია  
ჩვენი ქალაქის რევოლუციური  
მოძრაობის სახელმისამართის მატიანეში.

---

12 ალ. წულუკიძე, თხზულებანი, თბ.,  
1967, გვ. 369-382.

პროც. ე. ჩავდეიშვილი

## ა ვ ტ რ ი რ ი ს ა დ ა პ ე რ ს ი ნ ა შ ი ს უ რ თ ი მ ა რ თ დ ა მ ა რ გ ი დ ე ბ ლ ე ბ ი ს ს ა კ ი მ ი ს ა თ ვ ი ს

ვ ე ტ რ ი რ ი ს ა დ ა პ ე რ ს ი ნ ა შ ი ს უ რ-  
თ ი ე რ თ დ ა მ ა რ ე ბ ლ ე ბ ი ს ს ა კ ი მ ი ს  
მ რ ა ვ ა ლ ი ა ს პ ე ქ ტ ი ა ქ ვ ს . ა მ ა მ ა დ  
ჩ ვ ე ნ მ ხ ო ლ ი დ ა მ პ რ ი ბ ლ ე ბ ი ს ე რ-  
თ ი მ ხ ა რ ე გ ვ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ს , რ ო მ-  
ლ ი ს ფ ო რ მ უ ლ ი რ ე ბ ა ა ს ე შ ე ი ძ ლ ე-  
ბ ა : ნ ა წ ა რ მ ა მ ე ბ ი ს ზ ო გ ი ე რ თ ი პ ე რ-  
ს ი ნ ა შ ი ს ა რ ე მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ვ ე ტ რ ი ს .  
ე უ რ ჩ ე ბ ა მ ა ს დ ა ზ ო გ ე რ ი ს ე ფ ა  
რ ა მ ე ს ჩ ა ი დ ე ნ ს , რ ა ს ა ც ა რ მ ა ე ლ ი მ-  
დ ა თ ვ ი თ რ ი მ წ ე რ ა ლ ი . ა მ ი ს ს ა ი ღ-  
ს ტ რ ა ც ი მ დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ე ნ ა ლ . პ ე-  
შ ე ი ნ ი ს ა დ ა ლ . ტ რ ლ ს ტ რ ი ს მ ა გ ა-  
ლ ი თ ე ბ ს . ე რ თ ხ ე ლ ლ . ტ რ ლ ს ტ რ ი ს  
უ ს ა ყ ვ ე დ უ რ ე ს , რ ო მ ი გ ი ე რ თ ბ  
მ კ ა ც რ ა დ მ ა მ ე პ ყ რ ო ა ნ ა კ ა რ ე ნ ი ნ ა ს  
ა მ ა ზ ე დ ი დ მ ა მ ე რ ა ლ მ ა უ პ ა ს უ ხ ა :  
ე ს ა ზ რ ი მ ე მ ა ღ მ ნ ე ბ ს ე რ თ შ ე მ თ-  
ხ ვ ე ვ ა ს . ე რ თ ხ ე ლ პ უ შ ე ი ნ მ ა უ თ ხ რ ა  
თ ა ვ ი ს მ ე გ მ ბ ა რ ს : წ ა რ მ ი ი დ გ ი ნ ე თ ,  
რ ა მ ი ნ ი მ ი ყ უ რ ი ს ტ ა რ ი ა ნ ა ს წ ა რ ი ნ ა მ ა წ ე ბ

დ ა ! ა მ ა ს მ ე მ ი ს გ ა ნ ა გ რ ძ მ ა ს :  
ა ს ე ვ ე შ ე მ ი ძ ლ ი ა ვ თ ქ ვ ა ა ნ ა კ ა რ ე ნ ი-  
ნ ა ს უ ს ა ხ ე ბ . ს ა ე რ თ რ თ ი ჩ ე მ ი გ მ ი-  
რ ი კ ა ც ე ბ ი დ ა ქ ა ლ ე ბ ი ზ ო გ ე რ  
ო ნ ე ბ ს მ ი შ ყ უ ბ ე ნ , ა კ ე თ ე ბ ე ნ ი მ ა ს ,  
რ ა ც უ ნ დ ა გ ა კ ე თ რ ი ნ ა მ დ ვ ი ლ  
ც ხ ვ ე რ ე ბ ა შ ი , დ ა ა რ ა ი მ ა ს , რ ა ც შ ე  
მ ს უ რ ს .<sup>1</sup> მ ე ტ ა დ ს ა გ უ ლ ი ს ხ მ ი ა ზ-  
რ ი ა . ა ნ ა ლ ი გ ი უ რ ი მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი  
ს ხ ვ ა მ წ ე რ ლ ე ბ თ ა ნ ა ც გ ვ დ ე ბ ა . ა ქ  
გ ა ს ა კ ვ ი რ ი ა რ ა ი ს , რ ო მ პ ე რ ს ი ნ ა-  
შ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ ი ქ ც ე ვ ა , ა რ ა მ ე დ  
ი ს , რ ო მ მ ი ს ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა უ პ ი რ ი ს-  
პ ი რ დ ე ბ ა ვ ე ტ რ ი ს წ ი ნ ა ს წ ა რ ი ნ ა ს  
ა ზ რ ე ვ ს .

ც ხ მ ი ბ ი ლ ი ა , რ ო მ ა კ ა კ ი წ ე რ ე-  
თ ე ლ ს ს უ რ დ ა ბ ა შ ი - ა ჩ უ კ ს ხ მ ლ ი თ

<sup>1</sup> А. Цейтлин — Труд писателя. 1962, стр. 336-337.

თავი მოქედეთა ქვეყნის მოღალა-  
ტე სეიმონ მაყაშვილისათვის. წა-  
რმოედგინოთ, რომ ბაში-აჩუკი  
მიიჭრა ს. მაყაშვილთან, მაგრამ  
ხმლის მოქნევის ნაცვლად გადა-  
კოცნა, ე. ი. იმოქმედა აქავის სუ-  
რვილის საწინააღმდეგოდ, არ და-  
ემორჩილა აეტორს.

კიდევ მოვიტანთ მსგავს ფაქ-  
ტებს.

სხვა ლეგილის ლ. ტოლისტო მ-  
ბობს ანა კარენინას შესახებ: იგი  
სასტუმროში დაბინავდა არა იმ  
სართულზე, რომელიც მე მსუბ-  
ული. მან კი ორშეანის ადგილების  
გადაჯგუფება გამოიწვიათ.

სოციალისტური რეალიზმის  
ფუძემდებელი მაქსიმ გორკი  
წერს: „მიმინდონა, რომ მოქმედ პი-  
რებს არ შეიძლება უკარ-  
ნახო, თუ როგორ უნდა  
მოიქცნენ ისანი, თვითე-  
ცლ მათვანს აქვს მოქმე-  
დების თავისი ბიოლოგიური და  
სოციალური ლოგიკა, თვისი ნე-  
ბისყოფა. ამ ლირსებით იღებს მათ  
იგტორი სინამდევილისაგან, რო-  
გორც თვის მასალას“.<sup>2</sup> აი, რას  
ამბობს ილია ერებნბურგი: ნაწარ-  
მოების წერის პროცესში, დად-  
გება ისეთი მომენტი, როდესაც  
იგტორს ბევრი რამის შეცვლა მო-  
უხდება და თურმე იმიტომ, რომ  
„მოცემული გმირის მოქმედებაში  
შეერთი რამ არასწორი აღმოჩნდე-  
ბა. გმირები ეწინააღმ-“

გეგებიან ავტორის, მის ნების უძრავი კავშირის წერტილის მიხედვით ერენბურგი ხშირად ფრთხოების უზრუნველყოფას კითხს. ჩვენ კიდევ მოვიტან ერთ ამონაშერს: „ახალგაზრდა ავტორებისაგან საკმაოდ ბევრ ხელნაწერს ვლებულობ, ისინი მეკითხებიან, როგორ ვწეროთო. მე მათ ვურჩევ, ბევრი ივითხონ, მაგრამ არა იმდენად ლიტერატურა ლიტერატურს შესახებ, რამდენადაც ოვითონ ლიტერატურა. ამასთანავე, ნუ დაივიწყებენ მთავარს, — ხელოვნების კანონებს. ხელოვნებაში დაუშვებელია გმირის ძალდატანებითი დამორჩის ძალდატანებითი დამორჩის თვითნებობობა... ეს არღვევს ცხოვრების სისა და ხელოვნების სიმართლეს<sup>4</sup>.

ზოგჯერ პერსონაჟი მართლაც  
ისეთ რამეს აქტებს, რასაც ავ-  
ტორი არ მოელოდა. ამით თვი-  
თონ ავტორი რჩება გაკვირვებუ-  
ლი და მკითხველის გაკვირვებაც  
ბუნებრივია. ზოგიერთი კრიტიკო-  
სი ასეთ მოვლენას ეძახის პერსო-  
ნაჟის აჯანყებას, „ბუნტს“ ავტო-  
რის წინააღმდეგ.

არცერთ ავტორს არ შეუშევე-  
ტია წერა და არ შეუჩერებია პე-  
რსონაჟთა მოქმედება. თვითონ  
ნაშარმოებებს, „ანა კარენინას“

2. 3. զոհվո, Խայբարո օխալցածնեցն-  
տան. 1967. 22. 282. Խաչակիս Բամօ. 2. Բ.

З. И. Эренбург — «Главное — страсть», «Вопросы литературы», № 4, 1969, 23. 138, బెంగాల్‌బొర్డో—ఎ. ఫ.

4 И. Эренбург — О природе искусства. «Вопросы литературы», 1960, № 1, 22, 168.

და „ევგენი ონეგინის“ კანონიკურ ტექსტებს არ ამჩნევია პერსონაჟთა აჯანყების კვალი. ამიტომ ზოგიერთი კრიტიკოსი იმასაც ამ-ბობს, რომ ავტორებმა იხუმრეს და მას სერიოზულად არც კი უნდა მოვეკიდოთო.

სწორედ ამის მიზეზი იყო ის, რომ ზოგიერთმა კრიტიკოსმა და მწერალმა გაამასხრა „ბუნტის“ თეორია. მოვიტან ამის რამდენიმე მაგალითს. ამ თეორიის კრიტიკის ანარეკლი მოჩანს ბ. მახვილაძის პატარა იუმორისტულ მოთხოვაში „თათე და მათე“ („ნიანგი“, 1964, № 15).

„დავიწყე მოთხოვას წერა და სწორედ მაშინ, როცა ვაუმა გადაწყვიტა, როგორმე დაეღწია თავი ცოლის კლანჭებისაგან, ვიღაცამ დააკაკუნა კარზე... გაიღო კარი და შემოვიდა უნაზესი მომხიბლავი არსება, რომელიც პირდაპირ საწერი მაგიდისაკენ წამოვიდა.

— ვინ ხართ? — ხმის კანკალით ვკითხე.

— თქვენი მოთხოვას გმირი.

— კი, მაგრამ თქვენ ჭერ არ უნდა გამოჩენილიყავით!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჭერ მე თქვენ უნდა გეძებოთ ცაში, კლდეში, ლრეში.

— რად უნდა მეძებოთ, აქ არა ვარ?

ამის შემდეგ მე არაფერი დამრჩა, გარდა იმისა, რომ გავყოლოდი, და გავყევი! ახლა ჩვენ მივ-

დიგართ, ჭერ არ ვიცი საჭ,  რამ დიდია ქვეყანა“. უკრაინული როგორც ვხედავთ, პეტერბურგი მართვებისა მოქმედი პირი, რომელიც ავტორის ჩანაფიქრის საპირისპიროდ მოქმედებს და მას თავზე ახვევს თავის ნებისყოფას, მწერალი მიჰყავს თავის ჰკუაზე. ამ მოვლენას მოხდენილად დასცინა პოლონელმა მწერალმა ირენა ტომსკაიამაც თავის მოთხოვაში „ჩემი ემა“, რომლის ქართული თარგმანი დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეოში“ (1959, № 11).

ი. ტომსკაია წერს: „წინასწარ მოვიფიქრებდი ხოლმე ყველაფერს, თვით უმცირეს დეტალებამდე. მე ვადგენდი მომავალი ნაწარმოების გმირთა სიას. განუსაზღვრავდი ხოლმე ყოველ გმირს თავის ბიოგრაფიას და შევუსებდი ანექტას. შემდეგ ამ ადამიანებს ავამოქმედებდი, ვალაპარაკებდი მათ ჩემს მიერ წინასწარ მოფიქრებულ სიტყვებს, ვაიძულებდი ევლოთ ჩემს მიერ ნაჩვენები გზით. ამგვარად დაწერილ მოთხოვაებს რედაქტორები მაინც არ მიბეჭდვდენ, გმირებს მიწუნებდნენ, ყალბი და მუყაოდან გამოჭრილი არიანო. არ ვუთმობდი და იყო გამუღმებული დავა... მაგრამ მეშველა, 1959 წლის 15 დეკემბერს „ტრიბუნა ლიტერაციაში“ დაიბეჭდა ინტერვიუ ილია ერებულგთან. ამ ინტერვიუმ თვალები ამიხილა. აქ ი. ერებულგი გარკვევით ამბობს: „ნაწა-

რმოების პერსონაჟებს მივცეთ თავისუფლება, იცხოვრონ საკუთარი ცხოვრებით, ავტორის ნებისა და სურვილისაგან დამოუკიდებლად. ავტორს არა აქვს უფლება, განაგებდეს მთ ბედს“. ახლა ვიცი თუ როგორ მოვეპყრა მოქმედ პირებს და შეეუძლები ნოველის წერას კულტურის აქტიურ მუშავზე. მალე დავწერე ნოველა. გამოვიყენე ასეთი მუშავი და სახელად დავარქვი ადამი. სახელის შეტი მისთვის არაფერი მიმიცია. რაც შეეხება დანარჩენს „დაე, ადამმა თვითონ ამოქმედოს“. ავტორი გადმოვცემს ნოველის დაწერის ეტაპებს: „ადამი წავიდა მოხსენების წასაკითხავად და როგორც იქნა იმ ქალაქში ჩაეთვა“. — აქ შევწყვიტე წერა, იმის მოლოდინში, თუ რას ჩაიდგნის ადამი. როგორიც იქნება მისი შემდგომი ნაბიჯები. მიღის ადამი და მე უკან მივყვები. უცბად ადამმა მოისურვა „წასულიყო რესტორანში. მოითხოვა საუზმე და არაყი. მე ეს არ მომეწონა, მაგრამ რა უნდა მექნა: პერსონაჟს ჩემს სურვილს თვიზე ხომ ვერ მოვხევვდი...“

— ჩემო ადამ, — ვეუბნები მას, — იქნებ იქმარო. არ დაგავიწყდეს, რომ ერთი საათის შემდეგ მოხსენება უნდა წაიკითხო.

— მომწყდი თავიდან — მიყვარა ადამმა, — მე თვითონ ვიცი როგორ უნდა მოვიქცე“. ავტორს არ დაუჭერა პერსონაჟმა, მაგრად დათვერა და კლუბში მივიდა, ტრა-

ბუნაზე ძლივს ავიდა, მაგრამ არაფერი თქვა გარდა იმიშემსახული დაიძახა „ყოყლიყო“. „სირცევილისაგან თავზარი დამეცა, ხალხი აღმფოთდა და ადამი სამარცხვინოდ გააძვევს კლუბიდან“. მოთხობა ასე დავამთავრე, გადავწერე და მაგიდაზე მიდევს. „საინტერესო მოწონება იგი ერენბურგს თუ არა“. ნოველა მაიც არ დაუბეჭდეს, დაუწუნეს პოლიტიკურად: დაცინვაო. „მაგრამ მე ფარხმალს არ დავყრი, მე ვიბრძოლებ იმისათვის, რათა ლიტერატურულ პერსონაჟებს თავისუფალი მოქმედების ნება მიეცეთ! გაუმარჯოს თავისუფლებას!“

მოთხობა ნიჭიერად არის დაწერილი, იგი მოხდენილად დასცინის უკიდურესობამდე მიყვანილ „ბუნტის“ თეორიას. მწერლობა რომ მეტი არაფერი იყოს, ვიდრე მწერლის დაქვემდებარება პერსონაჟის სურვილებისადმი, მაშინ მწერლის კალამს ფოტოგრაფის აპარატი შესცვლიდა: მიყვანი პერსონაჟს, გადაიღე მისი მოქმედებები და მზად იქნება კინოსურათიც, სცექტაკლიც და რომანიც. მწერლობა ასე უბრალო და მარტივი საქმე არ არის. იგი მოვლენების ღრმა ტიპიური განხოვადებაა, პერსონაჟი შემოქმედებითი ანალიზ-სინთეზის შედეგია და არა ფოტოგრაფიული სურათი.

მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით, ხელოვნებაში გაღამწყვეტია არა სახეებით ა ზროვნება, არამედ ავტორის



აზროვნები სახეების  
საშუალებით. თუ ავტორი  
მხოლოდ პერსონაჟს მიკვეა და  
თვისი როლი მხოლოდ რეგი-  
სტრატორის ფუნქციაშე და-  
იყვანა, მაშინ მწერლის აქტი-  
ური როლი სულ გაუქმდება და  
გამოითხება მისი მსოფლმხე-  
დველობა შემოქმედების პროცე-  
ტიდან. მწერლის იდეებისა და  
მსოფლმხედველობისაგან დაც-  
ლილი ნაწარმოები უერასოდეს  
ვერ გახდება „მასების სულივრი  
აღწრდის საშუალება“. ყველა  
მწერალი არ ემხრობა „ბუნტის“  
თეორიას, ე. ი. გადაჭარბებულ  
მნიშვნელობას არ ძლევს შერსო-  
ნების „თავისუფლების“, ერთხელ  
ალბერტო მორავის პირზე: „თუ  
გეონიათ შემთხვევა, რომ გმირე-  
ბი თავს აღწევდნენ თქვენს კონტ-  
როლს?“ ამ შეკითხვას მწერალმა  
ასე უპასუხა: „ამას ადგილი არ  
ჰქონია ჩემს წიგნებში. თუ გმირ-  
ბი თავს აღწევს კონტ-  
როლს, ეს იმის უტყუა-  
რი ნიშანია. რომ მიგა-  
როვა შთავონებამ. მაშა-  
სალამე, უნდა შეჩერდე“.<sup>5</sup>

აქ გამოთქმული აზრი ხელვ-  
ნების საყოველთაო კანონია. ყვე-  
ლა მწერალი არსებითად ამ კანონს  
ახორციელებს.

ამასთან არ უნდა დაგვავიშუდეს. მწერალი როცა ქმნის რომელიმე  
პერსონაჟს, ადლევს მას გარკვეულ

ხასიათს, ე. ი. აყილის და მუშავიძის  
რითად ნიშანთვისებების. მაგალი-  
თად, ოთარაანთ ქვრივის. ოთ-  
ვორც ხასიათის, ძირითადი ასეუ-  
ბითი ნიშნებია: შრომის სიყვარუ-  
ლი, სამართლიანობა, პირდაპი-  
რობა, ოჯახის ერთგულება, ძლიე-  
რი დედაშვილური სიყვარული,  
სხვებისადმი დახმარება და სხვ;  
ავტორმა ამ შერსონაჟს ისეთი აზ-  
აფერი არ უნდა გააკეთებინოს.  
რაც მისი ხასიათისაგან არ გამომ-  
დინარეობს. ოთარაანთ ქვრივი თა-  
ვისი ხასიათის შესაბამისად უნდა  
მოქმედებდეს. მწერლის ისტატო-  
ბა სწორედ ის არის, რომ შეჩ-  
სონაჟი ისე ამოქმედოს, მერჩ-  
ველს ევონოს: პერსონაჟი ასე  
მოქმედებს არა ავტორის, არამედ  
თავისი ნება-სურვილით. ერთა  
მხრივ, ეს საკითხი თითქოს ასე  
ესმის მცვლევარ ა. ცეიტლინს.  
მაგრამ მეორე მხრივ, გაკვირვებას  
იწვევს მისი დასკვნა: „პერსონა-  
ჟის განყი ავტორის წინაღმდეგ  
ძალზე ნაყოფიერი მოვლენაა:  
უკი ხელს უშლის ხელვანის დე-  
სპოტიზმს“ (იხ. დასახელებული  
წიგნი გვ. 339). ჩვენი აზრით,  
სწორედ აქ შეიძლება აღმოცენ-  
დეს კონფლიქტი პერსონაჟებსა და  
ავტორს შორის. ეგების პუშკინმა  
და ტოლსტოიმ ისეთი რამე მრა-  
წერეს პერსონაჟებს, რაც არ გა-  
მომდინარეობდა მათი ხასიათისა-  
გან. მართლაც, ცნობილია, რომ  
ლ. ტოლსტოიმ თავიდან ისეთი  
პერსექტივა დაუსახა ნატაშასა  
და ნებლუდოვს („აღდგომა“), რომ

5 А. Моравиа — Воображение романиста. «Вопросы литературы», 1964, № 9, გვ. 78, ხაზგასმა ჩემია—ა. ჩ.



ისინი უნდა შეულლებულიყვნენ და ლონდონში დასახლებულიყვნენ. როგორც ჩანს, ამგვარ გადაწყვეტილებას „არ დაემორჩილენ“ პერსონაჟები და წინააღმდეგობა გაუწიეს ავტორის პირველ ჩანაფრექს: ნატაშა არ მისთხოვდა ნებლუდოვს. მრავალი მასალით მტკიცდება, რომ ყოველი ნიჭიერი მწერალი იმას ცდილობს, ზუსტად შეაფასოს პერსონაჟის მოქმედება და მას ისეთი ნაბიჯი გადაადგმევინს, რომელიც მისი ხასიათისგან გამომდინარეობს.

ამის ბრწყინვალე მაგალითია ვაკა-ფშაველის დამოკიდებულება ჭოყოლასა და აღაზის მოქმედებისამდე.

როგორც პოემიდან არის ცნობილი, თემმა შეიძყრო ზეიადაური, წაიყვანა და დარწლას საფლავზე დაკლა. ზეიადაური არ გატყდა და სულ იძახდა „ძალო იყოს ოქენი მკვდრისადათ“.

ზეიადაურის ამ გმირულმა ქცევამ მოხიბლა ჭოყოლას ცოლი აღაზია:

და ამ სურათის მნახველი  
ერთი დიაცე ბნედებოდა,  
ცერმლებს ჰმალავდა ლამაზი,  
ხაოსზე უკანი დგებოდა,  
მიშველებასა ჰლაშობდა:  
„რც ჰლაშოტ!“ ეძახის გული,  
უკრობდა ბრაზორეული:  
ნერავი მომცა ცელი,  
ნერავი ნებას მაძლევდეს  
ფედაკაცობის ჩერლი,  
რომ ეგ ვაკოცხო, სხვას ყველას  
გაფართხობინო სული.

აღაზის ბევრი ამბავი გრძელდა და აღელვებული მივიღა გამოიწვევა, ჭოყოლამ ეს შეამჩნია და ჰქონდა, რაოდ ტირიო. აღაზიმ ასე უპასუხა:

აა დაუიმალო ჭოყოლაუ,  
ან რაღ შემრისხე თქმისაღა?  
...ცრემლები შემიწირია  
იმ შენის მეგობრისადა.  
ძლიერ შემბრალდა ბეჩავე,  
რომ უცხოეთში კვდებოდა,  
არც ნათესავი, არც მომტე,  
რომ ეცსმე შებრალებოდა!  
შეგრამ როს ჰკლავონენ ხანგრიია,  
რდნავაც არა პეტოებოდა.  
იქნებ შენც ვპოვა, ღმერჩიავა,  
მაგრამ ვეტირე, რა ვქნაო!

ჭოყოლა ალტერნატივის წინაშე დადგა. რა უპასუხოს ცოლს: შეუნდოს ზეიადაურის დატირება, თუ დასახოს იგი როგორც ქმრის მოლალატე. ან ერთი, ან მეორე. რომელი პასუხი იქნებოდა გამართლებული ჭოყოლას ხასიათისაგან გამომდინარე არე? ამ გარემოებამ მეტად დააფიქრა ვაკა-ფშაველი, რაც ჩანს შემდეგოდან: „იმ ადგილმა, როცა ქმარი ჭოყოლა ჰკითხავს ცოლს აღაზია. ნამტირალევი რადა ხარო, ამის გამო ცოლ-ქმარის ბასმა მთელი ორი თვე შემაჩერა, ნამეტნავად იმ ადგილმა გამოიწვია ჩემი სულიტრი რყევა, თუ რა პასუხი უნდა

შეიცა ჭოყოლას ცოლისათვის, როგორ შეჰქვედრიყო აღაზას სიტყვებს, როცა იგი ეუბნებოდა ზვიადაურზე: „ცრემლები შემიწირია იმ შენის მეგობრისთვისათ“.<sup>6</sup>

სწორედ აქ შეიძლებოდა დაწყებულიყო პერსონაჟის „ბუნტი“. ვაჟას მისთვის თავზე არ უნდა მოეხვია ისეთი პასუხი, რომელიც არ გამომდინარეობდა ჭოყოლას ხასიათისაგან. რომელი პასუხი იქნებოდა სწორი: რომ ეთქვა — ცუდი გიქნიაო, ამის საფურველიც ჰქონდა, რადგან თემის ტრადიციის მიხედვით ცოლი ქმრის მონაა და მის გარდაუვალს ვერ ჩაიდენს. ეთქვა — კარგი გიქნიაო, ამის სახაბიც ჰქონდა, რადგან ზვიადაური გმირია, მან მოხიბლა არამც თუ ჭოყოლა და აღაზა, მთელი თემი. სასაფლაოდან მომავალი თემი აშბობდა: ამას არ მოუკლავდით მტერს, კარგი ვაჟკაცი ყოვლია, მაგრამ რა ვქნათ, თვითონ უფალმა გვიბრძანა, მტერს მტრულად მოექცეოთ. ამას ისიც დაერთო, რომ ჭოყოლამ უარყო სისტელის აღების წესი, დაიცვა სტუმარ-მასასპინძლობის ტრადიცია და

ამით თავისი ახალი, პროგრესული მორალი გამოავლინდა დამე, საქმე უფრო იქითვენ იხრებოდა, რომ ჭოყოლას აღაზასათვის უნდა ეპატიებინა დანაშაული, უნდა შეენდო მისთვის. ეს იქნებოდა სწორი პასუხი და სწორედ ამიტომ იფიქრა ვაჟამ არ თვეს. ბოლოს ავტორმა ჭოყოლას ასეთი პასუხი გააცემინა აღაზაზე:

რტარე? მადლი გიქნია,  
მე რა ვამგვე ვარ ამისა.  
ღიაცა მუდამ უხდება  
ჯლოვა ვაჟეაცის კარგისა.

სწორედ რომ ბრწყინვალე პასუხია, რომელიც მართებულად გამომდინარეობს ჭოყოლას მთელი ხასიათისაგან. ვაჟას კრიტიკული წერილი შემონახული რომ არ ყოფილიყო, ამ ფაქტის შესახებ არაფერი გვეცოდინებოდა. აშკარაა, პერსონაჟისათვის თავისუფლების მიცემა არ არის მექანიკური საქმე. რომ მიუშვას მწერალმა პერსონაჟი, ნება დართოს, რაც უნდა ის აკეთოს, ხოლო თვითონ უკან მიჰყვეს და პერსონაჟის ნამოქმედარი აღრიცხოს, ეს იქნებოდა მწერლის როლის დამცირება.

<sup>6</sup> ვაჟა-ფშაველა, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, 1967, ვ. 229.

მაშასადამე, შეიძლება გამოვი-  
ტანოთ ასეთი დასკვნა: აფტორი  
რის მთელი შემოქმედებითი პრო-  
ცესის ორგანიზატორი, მაგრამ ეს  
ოდნავადაც არ ნიშნავს პერსონა-  
ჟის დამოუკიდებლობისა და თა-  
ვისუფლების შეზღუდვისა და მი-  
მკირდებას. პერსონაჟის ეკვიპური და  
როლირებული თავისუ ფლებით  
ვინც ამ ორ მხარეს ლტატურად  
შეათავსებს ერთმანეთან, დადა  
შემოქმედიც ის არის.

## ნები დამპა

# ლიტერატურული მიმართულების არსისა და რაობის გარკვევისას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი წარმოშობის საკითხის სწორ მეცნიერულ ახსნას.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში საბოლოოდ გარკვეული და მათითებულია სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული საფუძვლები, რომლებიც აძირობებენ ამა თუ იმ ლიტერატურული მიმართულების წარმოშობა - განვითარებას. მხედველობაში უნდა მივიღოთ წინა ლიტერატურული მიმართულებებიც.

ამჯერად ჩვენი ინტერესის სფერო ვანისაზღვრება საკითხით — რევოლუციამდელი ქართული სალიტერატურო კრიტიკა სიმბოლიზმის წარმოშობის შესახებ.

ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში სიმბოლიზმის წარმოშობის შესახებ რამდენიმე ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოიყვა. ამ საკითხს პირველი შეეხო კ. აბაშიძე. 1909 წელს უურნალ „ფასულნიში“ გამოქვეყნებულ წერილში ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ კ. აბაშიძემ სცადა გარკვევია ქართულ მწერლობაში სიმბოლისტური მიმართულების წარმოშობის საკითხი და... ვაჟა-ფშაველა ქართული სიმბოლიზმის ფუძემდებლად გამოაცხადა. ეს შეცდომა იქიდან მომდინარეობდა, რომ ლიტერატურული მიმართულების ოღონცენებისა და განვითარების საკითხის გარკვევისას კ. აბაშიძე კოსმოპოლიტურ პოზიციაზე იდგა და ეყრდნობოდა ბრიუნეტიერის მეორე ლიტერატურულ კანონს, რომლის

შინაარსი ასეთია: „არსებობს სა-  
ერთო „ევროპის ლიტერატურა“,  
ამ ლიტერატურის ესა თუ ის საე-  
რთო მიმართულება, ხოლო სხვა-  
დასხვა ერის, ქვეყნის ლიტერა-  
ტურა ამ საერთო ლიტერატურის  
და მისი საერთო მიმართულების  
კერძო, თავისებური გამომსახვე-  
ლა“.<sup>1</sup> კრიტიკოსი ფიქრობდა,  
რომ ლიტერატურული მიმართუ-  
ლებები იცვლება საერთო „ევრო-  
პული ლიტერატურის“ კვალდა-  
კვალ. უნდა გავითვალისწინოთ  
ისიც, რომ რეალუციამდელ სა-  
ლიტერატურო კრიტიკაში ხშირად  
სიმბოლისტურ მიმართულების არ  
მიიჩნევდნენ დეკადენტურად, ლი-  
ტერატურული მიმართულების —  
სიმბოლიზმის ცნებას უშეტესწი-  
ლად თვივებდნენ სიმბოლოს,  
როგორც მხატვრული ხერხის ცნე-  
ბასთან. სიმბოლიზმის კითასეული  
გავეხა წინააღმდეგობრივია, იგი  
რეალიზმთან შედარებით უპირა-  
ტესობას სიმბოლიზმს ანიჭებდა  
შემდეგი მოტივით: „თუ რეალის-  
ტი მოვლენის ზედაპირით კმაყო-  
ფილდება და იმას იქით არას ეძ-  
იებს, რაკი სწამს, რომ „იქით“  
არა იყო რა, სიმბოლისტი ზედა-  
პირის გაგლევას ცდილობს და ზე-  
დაპირის ქვეშ ეძებს საიდუმლო  
მექანიზმს ჩვენი ცხოვრებისას“.<sup>2</sup>

მაშასარამე, რეალისტი ემპი-  
რიულად ხატავს, სიმბოლისტი კი  
გვიჩვენებს არსებითს — „გვიჩ-

ვენებს საიდუმლო მექანიზმს  
ჩვენის ცხოვრებისას“. ნუ გვთ  
ვეღევნებით იმის ამოცნობებულებების  
რას გულისხმობდა კრიტიკული სიმბოლიკა  
„ცხოვრების საიდუმლო მექანიზ-  
მში“, მიუყვეთ შემდგომ მსჯელო-  
ბას: „შეს ზედაპირი იმდენად ეინ-  
ტერესება, რამდენადაც იგი ერთ-  
გვარი ნიშანია, ერთგვარი მხატვ-  
რული ციფრი, სიმბოლო. რომე-  
ლიც აღნიშნავს ტრადიციულ ძა-  
ლასა და ცხოვრების იდუმალე-  
ბას“.<sup>3</sup> თუ „ტრადიციული ძალა“  
და „ცხოვრების იდუმალება“ სა-  
გნის ან მოვლენის ზედაპირზეა და  
იგი სიმბოლოა, რეალისტი კი ამ  
ზედაპირით კმაყოფილდება, მაშინ  
სიმბოლისტს რაღად სჭირია ზე-  
დაპირის გაგლევა?! აღბათ იმი-  
ტომ, რომ ზედაპირის ასახვა ჭერ  
კიდევ არ ნიშნავს არსებითის,  
აზრის, შინაარსის, და ისიც დაფა-  
რული შინაარსის, ასახვას, შეც-  
ნობას. ამ უკანასკნელის ამოცნ-  
ბა კ. აბაშიძემ სიმბოლისტი და-  
კისრა და რეალიზმთან შედარე-  
ბით უპირატესობა სიმბოლიზმს  
მიანიჭა, ვაჟა-ფშაველა კი პირველ  
სიმბოლისტად გამოაცხადა: „ვაჟა  
საუკეთესო ტიპია სიმბოლისტ  
მწერლისაო“.<sup>4</sup>

ჩვენ ვიზიარებთ მკვლევარი. ი.  
ბოცაძის შეხედულებას, რომ  
კ. აბაშიძეს „სწორად არა აქვს გა-  
გებული ამ ცნების (სიმბოლიზმის

1 კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, ობ., 1962,  
გვ. 14.

2 იქვე, გვ. 372.

— 5. დ.) შინაარსი და მნიშვნელობა. კ. აბაშიძემ ვერ შეამჩნია, რომ სიმბოლიზმის ფესვები იდეალისტური ფილოსოფიიდან მომდინარეობდნენ და რომ სიმბოლისტის სამყარო ემპირიული ბუნების მიღმა იმყოფებოდა".<sup>5</sup>

როგორც სამართლიანად აღნიშნავს თანამედროვე კრიტიკა, საერთოდ კ. აბაშიძის „ეტიულებში“ გვხვდება წინააღმდეგობრივი შეხედულებები. ეს იმის შედეგია, რომ „კ. აბაშიძე არ ყოფილა მარქსისტული მოძღვრებით შეიარაღებული კრიტიკოსი“.<sup>6</sup> სიმბოლიზმის წარმოშობის საკითხი „ეტიულებში“ ახსნილია იდეალისტური ოვალთახედვით. რაც შეეხება სიმბოლისტი პოეტისა და სიმბოლისტური პოეზიის დახასიათებას, აქ კ. აბაშიძე თავიდანვე ერთი აზრისა იყო, სავსებით ეთანხმებოდა დასავლეთ ევროპის სიმბოლისტური მიმართულების ცნობილ თეორეტიკოსებს და მათი ესთეტიკური კონცენტრიდან არ გადაუხევია.

სიმბოლიზმის წარმოშობაზე, მის წარმომავლობაზე საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული არჩილ ჭორვაძეს. მართალია, მას სიმბოლიზმის გენეზისის

5 იმსებ ბოკვაძე, „ეფე უშეელა და მისი კრიტიკოსები“, 1965, გვ. 47.

6 „ეტიულები“, დ. გამეზარდაშვილის შესვალი წერილი, გვ. 11.

საკითხი არ გაურკვევია, მცრავ 1908-1910 წლებში დაწერილი მისი წერილები, რომ ჭორვაძე მის წერილებით ვტორის ესტეტიკური მიმართულების ტერატურულ შეხედულებებს, უშუალოდ ეხება სიმბოლიზმის წარმომავლობის საკითხს.

მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაში ა. ჭორვაძემ სავსებით სწორად შეამჩნია ორი ერთმანეთის საპირისპირო ლიტერატურული მიმართულების — სიმბოლისტურისა და რეალისტურის განვითარება. „ლიტერატულ პოეზიაში. — აღნიშნავდა ა. ჭორვაძე წერილში „სიტყვაკაზმული მწერლობა“ (1910 წ.) — ამჟარად ვემოიხატა ორი მიმართულება. ერთი მიმართულება დახასიათდება რაციონალურის ხასიათით და მოქალაქეობრივის მოტივებით. მეორე მიმართულება კი არსებითად ირაციონალური და თითქმის მისტიკურია. მასვე სქესობრივი გრძნობელობის ბეჭედი აკრავს“.<sup>7</sup> ამ ორი მიმართულებიდან ა. ჭორვაძე უპირატესობას ანიჭებდა უკანასკნელს და თავგამოდებით იცავდა მისტიკურ პოეზის კრიტიკოსთა თავდასხმისაგან. მას ღრმად სწავდა, რომ რეალისტური პოეზის განვითარება, პოეზიის უტილიტარული გაგება მწერლობის, საერთოდ მთელი ხელოვნების დაქვეითების უპირველესი პირობა იყო და საყვედურობდა

7 არჩილ ჭორვაძე, თხისულებანი, წიგნი მესამე 1911, გვ. 5.

მათ, რომელიც ირაციონალურ, მისტიკურ ხელოვნებას აკრიტიკებდნენ და ორალისტურს იცავდნენ. „თუ ჩვენი ახალგაზრდა პოეტების წინააღმდეგ ვალაშქრებას მხოლოდ ის ახრი აქვს, რომ ზოგიერთ ჩვენებურ ლექტორს აფიქტებს და აშინებს ირაციონალური ხასიათის მოტივების დამკაიდრება ლიტერატურაში, არ შეიძლება არ აღნიშნოთ ის, რომ „კრიტიკული“ ამ შემთხვევაში ცუდ სამასახურს უწევენ არა მარტო ჩვენს სალიტერატურული პოეზიის გაფურჩქვნას, არამედ ჩვენს სულიერ გამიზიდულების საქმესაც. უტილიტერიზმის გამეფება ხელოვნებაში ხშირად სულიერ უმოძრაობის გამეფებას მოაწევებს“.<sup>8</sup> ილაშქრებდა რა უტილიტარული ხელოვნების წინააღმდეგ, ა. ჯორჯაძემ ილევალად დასახა მისტიკური პოეზია და ალტროვანებული დარაჯობდა მომავალ პოეტურ მაკისცემის, ეგრეთწოდებულ ირაციონალურ ხელოვნებას, რომლის სასულიერები ანალიზორების აზრით ვანუშომელია, „ამ საზღვრების ფარგალი ცოდნის გადაღმაც კი მოჩანს“. რაც შეეხება ხელოვნების მიზანს, ა. ჯორჯაძის აზრით, უნდა გააჩვეოს „ჩვენი დიდი ხინის წყურვილი სიცოცხლისა და სიყვარულისა და ჩვენი გაუგებრიობა და გაუჩვევლობა სიცვდილის წინაშე“.<sup>9</sup>

8 იქნ, ვ3. 4.

9 იქნ.

ამგვარად, ა. ჯორჯაძემ წინაშე გვამცნ დევადენტური ლიტერატურული მიმართულების უარისზე კი გამდებარება მწერლობის აღორძინება დააკისრა, მან სრულიად კანონზომიერ მოვლენად მიიჩნია ქართულ მწერლობაში ირაციონალური მწერლობის — სიმბოლიზმის განვითარება.

სიმბოლიზმის საკითხებს შეეხო ივ. გომართელი თავის სტატიებში „სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წელს“ (გაზ. „ერთობა“ 1919 წ. № 1, 2), „სალიტერატურო შენიშვნები“ (გაზ. „ერთობა“, № 41, 42), „კ. ნადირიძე“ (უურნ. „ცისარტყელი“, № 9) და „სალიტერატურო შენიშვნები“ (უურნ. „სხივი“, 1909, № 1, 2, 3). ამ უკანასკნელში მან განიხილა ვაჟა-ფშაველს შემოქმედება სიმბოლიზმთან. მიმართების კუთხით.

ივ. გომართელი სიმბოლიზმის ხასიათებს, როგორც „რთულ მამდინარეობას“ და საკსებით სწორად მიუთითებს მის სპეციფიკურ ნიშნებს: „სიმბოლიზმი უარყოფს რეალურ ცხოვრებას და მიმართავს ოცნებას, ოცნებიდან ლებულობს სახეს პოეზიისათვის.“

სიმბოლიზმი მთავარ ყურადღებას უთმობს ფორმის და უგულებელყოფის აზრს.

სიმბოლიზმი ისწირავებს აზრაჩვეულებრივისაკენ.

სიმბოლიზმი იცავს ბუნდოვნებას პოეზიაში.

სიმბოლიზმისათვის დამახსია-  
თებელია განყენებული აზრი და  
სხვ.

ტოვორც ვხედავთ, ყოველივე  
ეს ძირითადი ნიშნებია სიმბოლუ-  
ზმისა. აქედანაც ნათლად ჩანს,  
რომ მკვლევარი სიმბოლიზმის გა-  
ნსაზღვრისას სწორ პოზიციაზე  
იდგა და მას (სიმბოლიზმს) მიი-  
ჩნევდა ხელოვნებაში რეალისტუ-  
რი მიმართულების სრულიად სა-  
წინააღმდეგო მოვლენად. მიუხე-  
დავად ამისა, ივ. გომართელმა  
მაინც გამოუძებნა ვაჟას შემოქმე-  
დებას სიმბოლისტური ნიშანი.  
მან განიხილა „დაუსრულებელი  
კვენესა“ და გამოიტანა დასკვნა,  
რომ „ამ ლექსში იხატება პოეტის  
ნიჭის ერთი თვისება — სიმბოლი-  
ზმი“.<sup>10</sup>

საც შეეხება სიმბოლიზმის წა-  
რმოშობის საკითხს, ივ. გომარ-  
თელს იგი მიაჩნია საფრანგეთიდან  
მომდინარედ და ორავერს ამბობს  
იმაზე, თუ რამ განაპირობა ამ მი-  
მართულების აღმოცენება საქარ-  
თველოში. „ის (სიმბოლიზმი —  
ნ. დ.) დაიშუო პირველად საფრან-  
გეთში, — წერდა ივ. გომართელი,  
— და შემდეგ გავრცელდა ევრო-  
პაში“.<sup>11</sup> აქ ორავერია ნათქვემი  
ლიტერატურული მიმართულების  
წარმოშობის სოციალურ - ისტო-  
რიულ საფუძვლებზე.

სიმბოლისტური მიმართულების  
წარმოშობის საკითხს შეახე-  
ს. დანელია წიგნი „ვაჟა-ფშაველა“  
ლა და ქართველი ერთიანული მან  
უარყო ვაჟას სიმბოლისტობა  
და კიტა აბაშიძის მისამართით  
იქვა: „ვინც ნამდვილად იცის,  
თუ რას ნიშნავს სიმბოლიზმი, ის  
ამ სახელს ვაჟას შემოქმედებას  
არ დაარქმევს“.<sup>12</sup> ს. დანელია სი-  
მბოლიზმის ფილოსოფიურ საფუ-  
ძლად აცხადებდა იდეალიზმს,  
ძირითად ნიშნებად — მისტიკიზ-  
მსა და პესიმიზმს. ამ სწორი არ-  
გვმენტით მკვლევარი შეეცადა  
გაერკვია სიმბოლისტური მიმარ-  
თულების წარმოშობის საკითხი,  
მაგრამ თვითონვე მოექცა იდეა-  
ლიზმის გავლენის ქვეშ; სიმბოლ-  
იზმის წარმოშობის საფუძლად  
მან მიიჩნია არა საზოგადოებრივ  
ცხოვრებაში მომხდარი ცვლილე-  
ბები, არამედ იგი ახსნა „თვით ხე-  
ლოვნებაში მოცემულ იმმანენ-  
ტურ ძალთა ლოგიკით“.<sup>13</sup> ეს იმას  
ნიშნავდა, რომ რომანტიზმის ებრ-  
ძოდა რეალიზმი, რეალიზმს — ნა-  
ტურალიზმი, ნატურალიზმს —  
სიმბოლიზმი და მთელი ეს ბრძო-  
ლა მიმართული იყო ხელოვანის  
აბსოლუტური განთავისუფლები-  
საკენ. „ამგვარად, — წერდა ს. და-  
ნელია, — სიმბოლიზმი იყო გამა-  
თვისისუფლებელი მოძრაობა და  
სავლეთ ქვეყნების ლიტერატუ-  
რაში, რომელიც უბრუნებდა მხა-

10 ივანე გომართელი, რჩეული თხზუ-  
ლებანი, ტ. I, 1966, გვ. 354.

11 იქ 30.

12 ი. დანელია, „ვაჟა-ფშაველა და ქა-  
რთველი ერთ“, 1911, გვ. 25.

13 იქ 30.

ტვერს იმას, რაც მას უსამართლოდ წაართვა ნატურალიზმა“.<sup>14</sup>

ს. დანელია ლიტერატურული მიმართულების, კერძოდ სიმბოლიზმის, წარმოშობის საკითხს ხსნიდა გენეტიკურად და მეორებით პერვერჩევისა და მისი სკოლის შეცდომებს, უგულვებელყოფდა ბაზისისა და ზედნაშენის დიალექტიკური მთლიანობის კანონს.

რევოლუციამდელ სალიტერატურო კრიტიკაში არც თუ ისეითად გვხვდება ტერმინები „სიმბოლიზმი“, „სიმბოლიური პოეზია“ (ა. ხეხანაშვილი, ი. ვართაგავა და სხვ.), მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა სიმბოლიზმში გულისხმობს სიმბოლოს, ალეგორიას, ერთი სიტყვით, მხატვრულ გამომსახველობით ხერხს და ამ უკანასკნელს სრულიად კანონზომიერად თვლის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთ სპეციფიკურ და ამასთან დადგებით ნიშნად. ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კრიტიკოსთა უმრავლესობა გვერდს უვლის სიმბოლისტური მიმართულების ნამდვილი არსის. მისი დევალენტური შინაარსის მხილებას. ამ ფონზე ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ვლ. ბ-ძის წერილი ვაჟა-ფშაველაზე (გაჩ. „თანამედროვე აზრი“, 1915, № 127), რომელშიც მითითებულია სიმბოლიზმის სპეციფიკური ნიშნები — ხელოვნურობა,

ფრამით გატაცება, სწრაფეა არა-ჩევულებრივის, არაბუნებრივის კენ. წერილის ვატორი იყვნის ვაჟა-ფშაველას სტობას და შემდეგ განმარტებას იძლევა: „თუ ვაჟა-ფშაველა წარმომაღვენელია ჩვენში იმ ლიტერატურული მიმდინარეობის, რომელსაც სიმბოლიზმი ეწოდება. უნდა ითქვას ისცც, რომ მისი სიმბოლიზმი სრულიად ორიგინალური და თვისებურია, იგი (სიმბოლიზმი) არ არის შედეგი ახალი ლიტერატურული მიმდინარეობით გატაცების, არამედ იგი სრულიად ბუნებრივი და უხელოვნოა...“<sup>15</sup> ამ სტრიქონების ავტორი ემხრობა „თავისუფალ ხელოვნებას“ და უპარტიო ლიტერატურას. ვაეს სატირებით უკიდუობო ვლბ-ძე წერს: „სატირებიდან ისეთ შთაბეჭდილებას ღებულობთ, თითქოს პოეტისათვის ზაკაზი მიუციათ დაეწერა განსაზღვრულ „პარტიულ“ თემაზე და პოეზიის ღმერთს დაესაჭოს იგი თავისუფალი შემოქმედების ღალა-ტისათვის არა მარტო პოეტური აღმაფრენა, არამედ უბრალო საღი აზროვნების უნარიც“.<sup>16</sup>

ასეთი დაუნდობელი მსჯავრი იმიტომ არგუნა წერილის ავტორი მამხილე ვაჟას, რომ სატირები მამხილე-

14 ა. წ. ვ. გვ. 26.

15 ი. დასახელებული წერილი.

16 ივე, (ხაზგასმა ჩემია — ნ. დ.)

ბელი იდეების მატარებელია. ასე რომ, ვლ. ბ-ძემ სიმბოლიზმის ნიშნები სწორად მიუთითა, მაგრამ გაილაშქრა ლიტერატურის პარტიულობის, მისი კლასობრივი შინაარსის წინააღმდეგ.

საინტერესოა გავივოო როგორ განმარტავდნენ ცისფერყანწელები სიმბოლიზმს, როგორია მათი შეხედულებანი ქართულ მწერლობაში სიმბოლიზმის წარმოშობის შესახებ?

ცისფერყანწელები იზიარებდნენ იმ განმარტებას, რომელსაც რემი და გურმონი იძლევა თვის „ნიღაბთა წიგნის“ წინასიტყვაობაში.

რა არის სიმბოლიზმი? — ამ კითხვას რემი და გურმონი უპასუხებს: „სიმბოლიზმი ნიშნავს ინდივიდუალიზმს და იდეალიზმს ლიტერატურაში. ამასთან ხელოვნების, კერძოდ ლიტერატურის, სიმბოლურობას და თავისუფლებას ყოველგვარი შეზღუდვისაგან, სწრაფვას ყველაფერი ახლისა, არაჩვეულებრივისა და უცნაურისკენაც კი. დაბოლოს, სიმბოლიზმი პოეტისათვის ნიშნავს „ვერძიბრიზმთან“ უშუალო კავშირს. სიმბოლიზმი პოეტისათვის ყოველგვარი „არტახების“ მოხსნას ნიშნავს“.<sup>17</sup>

სიმბოლიზმის ამგვარი განმარტება სავსებით გამოხატავს იდეალისტური ესთეტიკის ძირითად

17 რემი და გურმონი, „ნიღაბთა წიგნი“, მოსკოვი, 1913.

შინაარსს, „ჩვენ ვიღებთ ამ / კ-რმულას. — წერდა უურბნიშვილი / სფერი ყანწები“, — უკანასკნელი გურმონი სიმბოლიზმის შემთხვევაში რეალიზმის ახსნას იძლევა“.<sup>18</sup> „ჩვენში სიმბოლიზმს ღამეც არ გაუთვევა... მხოლოდ ახლა იწყება ხაზების გახსნა, მხოლოდ დღეს ხდება ეს შეჯგუფება. მართალია ჭერ კიდევ ბინდია, მაგრამ ბინდია საგარეულოებო“,<sup>19</sup> — წერდა ტიციან ტაბიძე ცისფერყანწელთა პირველი უურნალის პირველ ნომერში იმათ საბასუხოლ, რომლებმაც სიმბოლიზმის წარმოშობის საკითხი ვაჟა-ფშაველას სახელთან დააკავშირეს, ვაჟა-ფშაველა სიმბოლიზმის დაწყებად აღიარეს. ყველაუერი ეს. ტ. ტაბიძის აზრით, იმ გაუგებრობიდან მომდინარეობდა, რომ ქართულ კრიტიკაში ცნებები ერთმანეთში აურიეს, არ განასხვავეს სიმბოლო და ალეგორია, სიმბოლო, როგორც ლიტერატურული სკოლა. „სწორედ ქედან დაიბადა ლეგენდა ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტობისა“.<sup>20</sup>

18 „ცისფერი ყანწები“, № 2, 1916, ტიციან ტაბიძის წერილი „ცისფერი ყანწებით“.

19 ი. ვ. გ.

20 ვ. ვ. ტიციანი ვაჟას სიმბოლისტთა მიტომ უარყოფდა, რომ არ შოთ წონდა მისი სტილი. იგი მოწევდა წინძეს: „გერმონტი ქიქოძემ წათლავ და გვენახა თუ სანძილი მიიყრინა ვაჟაშ სიტყვა“ (ძევე). ჩანს, გ. ქიქოძის ამ აღნიშვნელ შეხედულებას ტ. ტაბიძეც იშარებდა.

ქართული სიმბოლიზმი ტ. ტაბიდებაც აღიარა უცხოეთიდან, კერძოდ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მომდინარედ: „სიმბოლიზმი ჩვენში რომ უცხოეთიდან მოდის, ამაში არაფერი საფრთხე არ არის...“<sup>21</sup> იმედოვნებდა პოეტი, ამასთან ივიწყებდა, რომ ყოველთვის ყველა ლიტერატურული მიმართულების, სკოლის უპირველესი განმსაზღვრელია სოციალური გარემო, ქვეყნის ისტორიული პირობები, ეროვნული ნიადაგი და არა გარეშე ძალები.

სიმბოლიზმის წარმოშობაზე მსგავსი შეხელულება განავითარა შ. ავხაძემაც. იგი წერდა: „სიმბოლიზმი, როგორც სკოლა, დასავლეთიდან მოდის ჩვენში“.<sup>22</sup>

მაშასადამე, ცისფერყანწელები, ისევე როგორც კაბაშიძე, იძეორებდნენ ბრიუნე ტერი რის მცდარ დებულებას. რომლის თანახმად ასეზომს ერთი ევროპული ლიტერატურა და მისგან მომდინარეობს ყველა ქვეყნის ლიტერატურა და მიმართულებაც.

ტიცან ტაბიძე შეეცადა გაემართლებია ქართულ შეერლობაში სიმბოლიზმის წარმოშობა: „არის ჩვენში ნიადაგი სიმბოლიზმისათვის?“ — კითხვას სვამდა იგი და სიმბოლიზმის მასაზრდოებელ პირველ წყაროდ მიიჩნევდა ქართ-

21 ტ. ტაბიძე „ცისფერი ყანწებით“, ფურ. „ცისფერი ყანწები“, 1916, № 1.

22 შ. ავხაძე, ქართული პოეზიის პერსპექტივები, ფურ. „მეოცენებე ნიამორები“, 1919, თებერვალი.

ველი ხალხის ფსიქოლოგიურ თავისებებს, მის სულიერ ფიზიონომიურ ურუცებებს: „ქართული ხალხში ცხოვრობს უკვდავი აქტორული სული, იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების. რატომ იდებება ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არის. ამას ხომ ჩვენში დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც იგივეა. ეს აქტიორიბა და თეატრალიზაციაა ცხოვრების... ქართველ ხალხს უყვარს ნიღბაი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბების და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“<sup>23</sup>

გამოდის, რომ ხელოვნებას არავითარი საერთო არა აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების მდელებრებასთან. ცხადია, ცისფერყანწელები არ იზიარებდნენ ხელოვნების განვითარების იმ თეზისს, რომლის მიხედვით ხელოვნება ვითარდება ცხოვრების საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პირობების შესაბამისად, რომ ცხოვრება დედაა და ჰერმარიტი ხელოვნება ის არის, რომელსაც წარმოშობს და ასაზრდოებს სინამდვილე, და რომ ხელოვნების დანიშნულებაა გარდაქმნას ცხოვრება. ხელი შეუწყოს მის წინსვლა-განვითარებას, იყოს ცხოვრების სახელმძღვანელო. ცისფერყანწელები მართალი იყვნენ,

23 ტ. ტაბიძე „ცისფერი ყანწებით“, ფურ. „ცისფერი ყანწები“, № 1, 1916.

როცა წერდნენ, სიმბოლიზმის აღმოცენებისათვის საქართველოში ნიადაგი მომზადებულიათ, მაგრამ მთ ვერ მიუთითეს იმ ისტორიულ პირობებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქართულ მწერლობაში დეკადურისტური ლიტერატურული დაჯგუფებების, კერძოდ სიმბოლიზმის, აღმოცენებას.

საინტერესოა ვიკოდეთ, რა შეხედულებისა იყვნენ ცისფერყანწელები ქართული მწერლობის თვითმყოფობის საკითხებზე.

ისინი უპირველეს ყოვლისა სიმბოლიზმის ფესვებს ექცედნენ შორეულ წარსულში და მთელ ქართულ კულტურას, კერძოდ ჩვენს საერთო მწერლობას, განიხილავდნენ, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შედებას და ამის ბედნიერ გამოხატულებად თვლიდნენ „ვეფხისტყაოსანს“. „რუსთაველის სიტყვა ასახავდა ორ ქვეყანას, ორ აზრს“,<sup>24</sup> — წერდა შალვა აფხაძე და „ორი ქვეყნის ორ აზრში“ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურების შერწყმას გულისხმობდა. მაგრამ ამ ორთაგან „ვეფხისტყაოსანის“ უშუალო წყაროდ მინც აღმოსავლეთის მწერლობას მიიჩნევდა: „იყო წარსულში მხიანი გურჯისტანი, პოლიტიკურმა ვენიამ შორს გადაიტანა მის მიერ

დანთებული ჩირალდნები და ლაშინა გზა მწველი ბაფფრიცხული კენ მიმავალი, ძვირფას ჰუმისტურებას ბით და ნოხებით დატვირთული აქლემები, როგორც დღეები, იმაწრებოდნენ ამ გზაზე. ძვირფას ჰუმებს კინძავდნენ ქართველი ჯენტლემენები მაცდურ კრალოსნებად. ფერად მირაებში და ამ ჰვებში დაიბადა რუსთაველის სიტყვა. უნივერსალურად განეითავებული საქართველო რუსთაველის მოწყვეტილმა სიტყვამ დაავიტოგვინა. ასეთივე გვირგვინით უნდა შეამკოს გათავისუფლებული საქართველო ახალმა შეკოლამ სიმბოლიზმა.

შოთა რუსთაველიდან დაიწყო გზა ძვირფას კენჭებით მოკირწყლული. უსსოვარ დროში დაიკარგა იგი, „ცისფერმა ყანწებმა“ მოძებნა და განიხირახა მასზე სირული<sup>25</sup>.

როგორც ვხედავთ, აქ არის ულმოდგინე ცდა ქართული მწერლობის თვითმყოფობის უარყოფისა. სამწუხაროდ, მოსახრებას, რომ ქართული კულტურა, ქართული მწერლობა დასავლური და აღმოსავლური ქვეყნების კულტურათა სინთეზია, აღრეც ბევრი ავტორიტეტული მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი იზიარებდა.

ცისფერყანწელები ისე შორს წავიდნენ, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში თვად იყისრეს დასა-

24 შ. აფხაძე, ქართული პოეზიის პერსპექტივები, უსრბ. „მეოცენებე ნიამორები“, 1919, თემერვალი

ვლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა შედება: „ჩვენ გვწამს საქართველოს შესიანიზმი: შედება აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურისა, მიმქრალი იყო ეს იდეა, დღეს კვლავ გაიზმორა ის ჩვენს წინ, ეს მისია უნდა შეასრულოს ხელოვნებაში სიმბოლიზმი გაშალაშინებული სიტყვის საშუალებით“.<sup>26</sup> იუწყებოდა კურნალი „მეოცნებენიამორები“.

საკითხი, თუ რამ განაპირობა ჩვენი სიმბოლიზმის გავრცელება, გამუქა ფ. მახარაძემ. იგი ცისფერყანწელთა სამოღვაწეო ისარეზნე გამოსვლის პირველი გამოემაურა პოლემიური წერილით „საბრალონი“, რომელიც დაიბეჭდი 1916 წლის განხეთ „თანამედროვე აზრის“ 56-ე ნომერში. ფილიპ მახარაძის ეს წერილი საყურადღებოა, მასში ციონირად არის ასსილი დეკადენტური მიმართულების წარმოშობის იტორიული მიზეზები და მითითებულია მავნე შედეგებზე, რომლებსაც დეკადენტური მწერლობა ასრულებს საზოგადოებრივი ცხოვრების წინვლის საქმეში.

სიმბოლისტური მიმართულების წარმოშობის საკითხს ეხება ვარ-

ლამ ხუროძე<sup>27</sup> წერილში „სიმბოლიზმი ქართულ ლიტერატურულ ში“, რომელიც ორ ნაწილადაა დაგენდა განხეთში „ერთობა“. წერილის ვეროჩი ახსნათებს სიმბოლიზმს და მიუთითებს, რომ იგი (სიმბოლიზმი) იმპერიალიზმის ეპოქის ღვიძლი შეიღია. „სიმბოლიზმი თანამედროვე ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა და მსოფლურებელებაა. ეს ფილოსოფია, რომელიც უახლოვდება დრომოვმულ ფოლოგიას, ჩამავალი კლასის მწამეთა და სასიკვდილოდ გამზადებულთა სულისკვეთება. უსისტემობა და ულოლიკობა, რომელიც სიმბოლიზმს ახსიათებს, ყოველთვის თან მოჰყება ხოლმე საზოგადოებრივ აზროვნებას რაიმე კატასტროფის მოვლინების წინაშე... ამ იცის რას მოუტანს ხვალინდელი დღე და მუდამ შიშით ორთის — აი იმ დროს ყოვლად შეუძლებელია ირაციონალური აზროვნების შეჩერება, გონიერი ცარგლებში დარჩენა და საზოგადოებრივ მოვლენათა საღი ანალიზი. სეთ ხანაში გონიერა და აზროვნება უკან დგება და პირველ აღგალს გრძნობა იჭერს, გრძნობა ბურჟუაზინი, ულოლიკო და ცვალებადი“.<sup>28</sup>

ამ ზოგადი მსჯელობის შემდეგ ვაჩლამ ხუროძე სიმბოლიზმის წარმოშობის კონკრეტულ ისტორი-

27 კრიტიკა, პედაგოგი, რომან „სამის“ ვეტოჩი.

28 გა. „ერთობა“, 1919, 8 ქვემშე-რი.

ულ ეტაპს შემდევნაირად ახასიათებს: „გამარჯვებულმა ბურუუაზიამ დაშალა განკერძოებული მდგომარეობა კუთხისა, პიროვნებისა, საქმიანობისა და შექმნა კოლექტივი: ყველა პირი ერთმანეთისაგან დამოკიდებულია და ერთმანეთს ანგარიში უნდა გაუწიონ. მაშასადამე, საკუთარი „მეს“ სურვილებიც უნდა შეზღუდონ და სხვას შეეგუონ. ამ შეგვებაში იბადება საშინელი დრამა, ძლიერი ინდივიდუალისტები პროტესტს უცხადებენ არსებულ წესრიგს და უპირისპირდებიან საზოგადოებას, კოლექტივს. ამგვარი ბრძოლის ფილოსოფიაა ნიცვეს იდეა ზეკაცის შესახებ. ლიტერატურაში ჰ. იბსენი თავისი „ბრანდით“, „ექიმ შტოკმანით“ გამოხატას „ზეკაცის“ ბუნებას. შტოკმანი უპირისპირდება საზოგადოებას და უკანასკნელ სისხლისწვეთამდე ებრძის გაერთიანებულ უმრავლესობას. ბრანდი არაფრის წინაშე ქედს არ იხრის — „ან ყველაფრი, ან არაფრერი“ გაიძახის ანარქისტულად და მანამდე არ ცხრება, სანამ მთით მოხეთქილი ზეავი არ მთანთქავს. ესაა ბურუუაზიის ერთი ფრთა.

მეორე ფრთა პირველივით აფასებს მდგომარეობას და რაյი ხედავს, „ბედს მაინც ვერ წაუვა“, თავს ანებებს ბრძოლას და პირიდ სიამოვნებაზე ოცნებობს — ლави минути наслаждения — აა, მისი დევიზი.

მიმდინარეობა სიმბოლიზმისა უბედურების წინაშე კრიზისის მოხრაა, ბედის წინაშე მომარჯვება ად წამოჩინქება და საკუთარი უძლურების აღიარება. ბურუუაზია როგორც კლასი იღუპება, დავიღუპებით ჩვენც — ამბობენ სიმბოლისტები, მაშასადამე, იყავნ ნება შენი“. სული მაინც მწარეა. ამიტომ იქმნება ერთგვარი იღუზია, თავის მოტყუება მეორე ჯცნობი და ჭადოსნური ქვეყნის შესახებ. დავივიწყოთ ეგ საზიტლარი წუთის სოფელი... მოვკიდოთ ხელი ჰაშიშს, კონიაკს, ლვინოს, ქალებს, ათამაშეთ გრძნობები, უკუაგდეთ გონება და ლოლიკა, იხედეთ ზეცისაჟენ, იფიქრეთ მისტიკურად სულისწმინდაზე... ასეთია სიმბოლიზმი, როგორც ფილოსოფიურ-ლიტერატურული მიმდინარეობა“,<sup>29</sup> ასკენიდა ვ. ხუროძე. ამონაშერი გავვიგრძელდა იმის გამო, რომ სიმბოლიზმის ამგვარი ფართო მნიშვნელობით დახასიათება რევოლუციამდელ ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში მხოლოდ და მხოლოდ ვ. ხუროძეს ეკუთვნის.

არის მეორეგვარი სიმბოლიზმი. — წერს ხუროძე, — სიმბოლიზმი მხატვრული განზოგადებისა, რომლის უდიდესი წარმომადგენელია ემილ ვერპარნი. ამ სიმბოლიზმის არაეითარი კავშირი არა აქვს ჩვენ მიერ განხილულ სიმბოლიზმთან.

29 ვ. გ. ვ.

ქართველი სიმბოლისტები, ხურძის აზრით, ჯერჯერობით დეკლარაციისა და მანიფესტების ხანში არიან. „მათში ბატონობს თეორია და გულშრფელ და ფართო შემოქმედებას ნაკლებად აქეს აღგილი. ჩვენი სამბოლისტებიდან დიდ ს არაფერს არ უნდა მოვეელოდეთ, ნახევრად ნასესხები აზრი და გრძნობა აბი რას მოუტანს, ვინაიდან რაიმე თვალსაჩინო ლიტერატურული მიღწევა ამ მიმართულებას არც სხვაგან შეუძლია იან.

მართლაც ჩვენი ცისფერყანწელები ნასესხები ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებებით საზრდოობდნენ, მცირე გამონაკლისის და საერთოდ ზოგიერთი მხატვრულ - გამომსახველობითი სისტემის გარდა საგულისხმო ლიტერატურული პროდუქცია არ მოუციათ.

1919 წლის გაზეთ „ერთობაში“ ვლ. ბაქრაძის ხამი წერილია დაბეჭდილი საერთო სათაურით „ჩვენი სიმბოლისტები“ (ცრიტიკული შენიშვნები). წერილის ვეტორი აანალიზებს ცისფერყანწელთა შემოქმედებას (განხილულია ელენე დარიანის, კ. ნადირაძის, ვ. რობაქიძის ლექსები და შ. აფხაძის თეორიული სტატია „ქართული პოზიციის პერსპექტივები“) და

მას მიიჩნევს რეალიზმის უკიდურეს ფორმად, ე. ი. ნატურალიზმად. „ჩვენი სიმბოლისტები უდაბნო ნატურალიზმს ვერ სცმილდებიათ ან“;<sup>31</sup> — ასკვიდა ბაქრაძე.

ვლ. ბაქრაძე იმოქმებს გ. ქიქეძეს, რომელსაც ტიციან ტაბინის საღამოზე (საღამო ჩატარებულა 1919 წლის 17 აპრილს) ცისფერყანწელთა შემოქმედება დაუხსაიათებია როგორც ნატურალიზმი, რეალიზმის უკიდურესობამდე მიყვანა.

ვლ. ბაქრაძის მოსაზრება, რომ ცისფერყანწელთა შემოქმედება ნატურალისტურია, მომდინარეობდა დებულებიდან, რომლის თანახმად სიმბოლიზმი დასავლეთ ეკროპის ლიტერატურაში ნატურალიზმის რეაქცია იყო. „საფრანგეთში სიმბოლიზმი, ეს იყო ნატურალიზმის რეაქცია. — წერდა ბაქრაძე, — ოქვენ ხედავთ, რომ ქართველი სიმბოლისტები იმ პერიოდის ნაწილს აგვიწერენ. რომლის წინააღმდეგ ასე გაილაშერეს სიმბოლისტებმა ზოლას რომანში „ნანა“.<sup>32</sup>

ვლ. ბაქრაძეს არ მიაჩნდა მართვულად ცისფერყანწელთა შემოქმედებისათვის სიმბოლისტური გვეწოდებინა. „საყურადღებოა, რომ თავიანთ მიმართულებას „ცისფერი ყანწელები“ უწოდებენ სიმბოლიზმს, ნამდვილად კი მათ ლექსებში სიმბოლიზმის მაგიერ

31 გაზ. „ერთობა“, 1919, 3 მაისი

32 იქვე.

ჩვენ ვხედავთ ამის სრულ წინააღმდეგობას და სეთი სურათების აღწერას — „პერანგის ნაწილი“, „ცელქი ფეხები“, ორმლებიც პირდაპირ ნასესხებია ნატურალიზმის სკოლის ნაწარმოებებიდან“.<sup>33</sup>

ვლ. ბაქრაძემ პირველმა უწოდა ცისფერყანწელთა შემოქმედებას ნატურალისტური.

როგორც ვხედავთ, ამ საუკუნის ათიანი წლების ბოლოს კრიტიკის მსჯელობის სავნად იქცა ქართულ მწერლობაში სიმბოლიზმის წარმოშობის საკითხი. კრიტიკის ინტერესის გაღვიძება იმის პირდაპირი შედეგი იყო, რომ მენშევი-

კების ბატონობის წლებში ცისფერყანწელთა შემოქმედებას რთოდ გაიშალა და იმ დროის ლიტერატურული ცხოვრების ინტერესთა წრეში მოექცა. რაც შეეხება სიმბოლიზმის წარმოშობაზე, ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებს, შეპირობებული იყო იმით, რომ ლიტერატურისცოდნეობა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შეიარაღებული მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მეთოდოლოგიით, რომელსაც შესწევს მოვლენების მიზეზ-შედეგობრივად ასსნის და ჰეშმარიტების დაზგენის უნარი.

## ნაცენტი ცოდაიღაღი

# ხატოვან სიტყვა-თამათა ზოგიერთი ნიმუში აჭარულ დიალექტი

ქართული ენა ოქმის ხატოვანობის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმდიდრესი ენათაგანია. ხატოვანობის ნიადაგზე წარმოშობილი სიტყვათა მყარი შეერთებანი გაღმოვლენ გარკვეულ მოკვეთილ აზრს და ალეგორიული თუ გადატანითი შენშეცელობა აქვთ. ასეთი შესიტყვებები მოსწრებული გამოიტანების, ფრთიანი სიტყვების, სიტყვის მასალების და სხეათა სახითაა დამკვიდრებული ენაში და ფრთო აღვილს იქნება ყოველდღიურ მეტყველე ბაში. მათ გარეშე, „მხოლოდ ცალკეული სიტყვების მეშვეობით ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელიც იქნებოდა ადამიანის აზრის ნიუანსე-

ბის მთელი სიმღიდრე გამოვიდა-ტა“.

ქართულ სალიტერატურო ენაში ბევრი ასეთი ხატოვანი გამოიყენება, რომლებიც გარკვეულ ლექსიკურ ერთეულებს ქმნიან და ამდიდრებენ, ამრავალფეროვანებენ ენის საერთო ლექსიკურ შეჯვენილობას. მიუხედავად კაზათულ საენაომეცნიერო ლიტერატურაში არსებული გამოკვლევებისა, შრომებისა, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმები ნაკლებადად შესწავლილი, მით უფრო ნაკლებადად ყურადღება გამახვილებელი მის შესწავლაზე ქართული ენის ცალკეული დიალექტების მიხედვით. დიალექტებში ასებუ-

1 ა. თაყაიშვილი, „ქართული ფრანგულოვნის საკითხები“, თბ., 1961, გვ. 6.

ლი ბევრი ხატოვანი სიტყვა-თქმა გამოიღებდა ჩვენს სამწერლო ენას და უფრო მოჰქონდა შექს ქართველი ხალხის, საქართველოს, სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა სულიერ საყიაროს.

ამ საკითხზე აჭარულ დიალექტში ყურალება უჭეს მიეცეც ლი შ. ნიკარაძეს წიგნში „ქართული ენის აჭარული დალექტი, ლექსიკა“, მაგრამ ხალხის ხატოვანი ენობრივი საგაძმური ამოუწურავა. აქ წარმოვადგენთ რამდენიმე ხატოვან გამოთქმას, რომლებიც დამახასიათებელია აჭარის მკვიდრთა მეტყველებისათვის.

გზას სიმღერა ვუთხრათ — „მგზავრული“ ვიმღეროთ. „წავიდოდით, წავიყვანდით დედოფალს. გზაში იტყოლნენ — გზას სიმღერა ვუთხრათ! ...და ვიმღერებდით „მგზავრულს“.

დავალამებიებთ მიწას — მოვაცენთ მიწას. „იმ ცუდი კარტოფილისათვის როგორ დავალამებიებთ მიწას“.

დაიკავე მჭადი ხელში — უტყუარი სიმართლე თქვი. მჭადი (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში), როგორც პური — ადამიანის ასებობისათვის აუცილებელი საზრდო, სათაყვანო კულტის საგნად იქცა აღრიდანვე. ახლაც, პურის ან მჭადის ნატეხი ძირს თუ დავარდა, მშრომელი კაცი იღებს, მტვერს გააცლის, ეამბორება და მაღალზე დადებს... და იმდენად ძლიერია მშრომელ ადამიანში საზრდოს პატივისცე-

მის გრძნობა, რომ ადამიანი, ოთხელიც ამ გამოთქმას ერჩიათ და, უტყუარ სიმართლეს პრიულიყდება. ეს ფრაზა ყველა ფიცხე უფრო წმინდა და მტკიცეა სიმართლის გამოსახატავად. „იგი ცუდი მეტყოდა... მც ვყალბებდი რაღაცას... დაიფიცე მერე, რომ მართალი ხარ — დაიკავე მჭადი ხელში!“

ოფალების წათხრა — ცუდი მომავლის შიშით წინასწარ იმედის დაკარგვა (შდრ. „ნუ დაითხრი წინწინ თვალებს“). ამ გამოთქმას გადატანით მნიშვნელობით აბრეშუმის ჭიათუ უკავშირებენ. „ბობლები (აბრეშუმის ჭიები) გააბამენ, გამოაბამენ, წაითხრიან თვალებს და გაკეთებენ პარკებს“. აბრეშუმის ჭია პარკის კეთებისას თვეის გარშემო ქსელავს, ახვევს ძაფს და, თითქოს, სიკვდილის მოლოდინში პარკში შიგნიდან, სრულ სიბნელეში ეჭევა. ამ შემთხვევაში გამოთქმა ამ მომენტს უკავშირდება. ამ გამოთქმის პარალელურად ხალხში არსებობს გამოცანაც:

ერთი პაწაწა მანანა  
ილაშვილს ყელსა,  
სასიყვდილო სახლს იშენებს  
უკუჯდება ბნელსა.

ეს გამოცანაც ძალზე ლაკონიურად ახსიათებს აბრეშუმის ჭიის თვისებას.

თვეში ფეხჩადგმული — ორსულობის უკანასკნელ თვეში, მშობიარობის, მოახლოებულ პერიოდში მყოფი ქალი ან საქონელი.

„მოლოგინების (მშობიარობის) დრო რომ მოდის, ამბობენ „თვეუ-ში ფეხსაცმლიათ“.

თოვლმა შიწა მოწათხა — წათხეა, ჩეულებრივ, რაიმეზე (მაგ. ხორციე, ყველზე...) პარილის მოყრას, დამარილებას პქვია. იმ გამოთქმას ხმარობენ, როცა თოვლი მიწას ოდნავ დაფარავს.

კისერს იტეხს ჭურჭლები — ბეჭირი ჭურჭელია. „ჩაღს (კარქეს) ქოთაში ჩივდებდი, აბა, შეტი ხადიყო... ახლა კისერს იტეხს ჭურჭლები!“

მატყლა ყურს შეჭაშს — მატყლი რეცხვით ითელება, სიგრძეში იქლებს მისი ყოველი ბეჭვი. ხალხის თქმით: „მატყლს რომ გარეცხავ, წველები (ზეწვები) დამოკლდება, მატყლი ყურს შეჭაშს!“

მიმიგორავს, მიმიტირის გული! — ვესწრაფეი, გულით მსურს, მინდა. „აქ რომ ჩემი ტოლები არ არიან, ბარში მიმიგორავს, მიმიტირის გული!“

მოკვდებოდა ბრუნვაში (წის-ქვილი) — განუწყვეტლად იბრუნებდა (წისქვილის ქა უსაფქაოდ). წყლის წისქვილი ისეა მოწყობილი, რომ საფქვაინს გამოლევის შემთხვევაში ღარში ლაფიტი ჩაშვება, წისქვილზე წყლის მიწოდება შეწყდება და ქაც ბრუნვას შეწყვეტს. ასე რომ არ იყოს მოწყობილი, „წისქვილი მოკვდებოდა ბრუნვაში და თავისით არ გადეიგდებოდა“ (გადავდება — წყლის სხეა არში გადაშვება).

აქარაში სიტყვა „მოკვდებოდა“ ამავე ნიუასით ბევრ სხვა ვასთან ურთიერთობაშიც ჭრული გვიდგება: მოკვდებოდა ჭრიშვილება ძალზე ბევრს შეჭამდა; მოკვდებოდა ტრილში — ბეჭრს იტიორებდა; მოკვდებოდა მუშაიძაში — ბევრს იმუშავებდა და სხვ.

იაილმ პირი დაიბანა — იაილები მთაშია. სიცხის შემდეგ თუ ცოტა წამოწვიმა, ცა საოცად მოისარება, პარი შემსუბუქდება, ჩამჭენარი ბალახი გამოციცხლდება და საცხოვრებლების ირვლივ და იალალებზე სისუფიავე, და სიწმინდე დაისადგურებს. ამავე იტყვიან: „ცოტა ნამი (წვერი) იყო და ის ეყო, იაილმ პირი დაიბანა“. (შლრ. მზე პირს იბანს).

პირის გამოლება, პირის შესმა-აქარაში და, საერთოდ, საქართველოში ხალხურ სამშენებლო ტერ-მინოლოგიაში კარგადაა ცნობილი ეს შესიტყვებები. მათი პირდაპირი მნიშვნელობით გაგება შეცდლებელია. როცა სახლის შენებისას იატაკის, კედლის ან კერისათვის ფიცრებს ამზადებენ, ითვალისწინებენ, რომ ყოველი ფიცრის ისე უნდა მოერვოს ერთმანეთს, რომ მათ შორის პაწაწა ადგილიც კი არ დარჩეს. ამიტომ ფიცრის კიდეებს ნახევრად ამოღარავენ — „პირს ამოუღებენ“. ამოღარული, პირამოლებული ფიცრების კიდეებით ერთმანეთში მჰიდროდ და-მაგრება შეიძლება. ამას კი „პირის შესმას“ (შლრ. პირშესმა — ნიჟ. ლექსიკი) ეძახიან.

პრასა ქუდას მოიხდის — ყვაველობის პერიოდში პრასის სათესლე მრგვალი ბარკი გაიცემა; სიმრიცეში შესვლისას კი პარკის კანი ვასკდება და სათესლე ფუნქი გიცხლება. მას ხატოვნად „ქუდას მოხდას“ ეძახიან.

რჩეს სამსახური უნდა — აჭარის მცხოვრებთაოვის რჩე, როგორც მჭადი, ერთ-ერთი ძირითადი მასაზრდოებელი პროდუქტია. მისგან, ჩვეულებრივ, ბევრი სახის პროდუქტს ღებულობენ. რჩის პროდუქტების ღამზადებისათვის დიდი ჯაფა საჭირო. ხალხის თქმით რჩეს ორც უდიერი დამოკიდებულება „შუვარს“. მას ნაზად, სათუთად მოპყრობა სჭირდება. სწორედ ამ შრომატევადმა სამუშაომ და რჩისაღმი უსაზღვრო პატივისცემის გრძნობამ წარჩინშვა ხალხში ეს ხატოვანი ჟამოქმაც: — რჩეს სამსახური უნდა! „ბალანაა (ბავშვი) კი წველის ძროხას, მავრამ რჩეს სამსახური უნდა!“

ქვამ მისი ადგილი იცნო — (შდრ. ქვა ადგილზე მძიმეა) — მაღალმთიან აჭარაში რელიეფის, კლიმატის და სხვა თავისებურებებმა განაპირობა სახლების ისე შშენებლობა, რომ მის საძირკეოში რამდენიმე განსაზღვრულ ადგილას დიდი ქვები — მინები უნდა ჩაეწყოთ. მიწას საძირკვლისათვის თხრიან მანამ, სანამ მყარ ნიადაგზე არ დავლენ. აქ ჩაიწყობა მინებიც. ქვა კარგად უნდა მოერგოს ადგილს, რომ სახლიც კარ-

გად და საიმედოდ აიგოს მასშე, ამიტომაც მშობენ „ჭვავები მიზანი ადგილი იცნოო“. „ტაბერებულებულებები“ (ტაბერებულებულებები) რომ დახვალ, ჭვავებულებას სი ადგილი იცნო, მერე დაიწყება სახლის შენება“.

შავი სანთელი ვწირე — ცუდი საქმე ჩავიდინე, დავაშავე, შევცოდე. „ნეტად, რა შავი სანთელი ვწირე, რომ ასე დამაგდო ავალმყოფობაში!“

ჩემი ქეტო დალეულია — ჩემი ცხოვრების დასასრული მოახლოებულია. „ჩემი ქეტო (ფქვილის გამონაცარი) თუ დალეულია, რაც უნდა იგი დამემართოს!“

ცეცხლი წინწკალში იცინის — მბობენ, როცა კერაზე ჩემელ ტორტებს და წვრილ შეშებს შორის გალვივებული ნაკვერჩელები მოჩანს.

ძუძუები მღერიან — წველისას ჭურჭელში რჩის ჩხრიალი ხალხის მიერ სიმღერასთანაა გაიგივებული. ქართველი კაცი ოდიოგანვე დიდი სიყვარულით ეპყრობა პირუტყვს, მითუფრო მეწველ საქონელს. საკმარისია დაგასახელოთ თუნდაც ის ძველი ეთნოგრაფიული ფაქტი, რომ აჭარაში მწველავი ქალი წველისას ძროხას აუცილებლად მიეფერებოდა. მიუმღერებდა:

„მოწველე, ჩემო გოგოვ (ლამაზვ), კარგი ხარ და ლამაზი ხარ; ნარეცხს მოგიტან, (ლამაზვ), ჩამოყარე, ჩემო გოგოვ (ლამაზვ)...“

ზოგი მთხოვნელი ირცხენს, ვერ ასრულებს სასიმღერო ტექტს

და ამპობს: „ჩემი სიმღერა რად  
უნდა, ძუძუები მღერიანო!“

ლექსში მოტანილი „ჩამოყარე,  
ჩემო ვოგოვ“... თავისთავად ხა-  
ტოვანი გამოთქმაა. ძროხას შეუ-  
ძლია არ მოიწეველოს და რძე ხბოს  
შეუნხოს. ასეთ შემთხვევაში  
